ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

უნივერსიტეტი

3
ოქტომბერი, ხუთშაბათი, 2013 წ., №13

გვ. 3

ივანე კილურაძე:

კაცი, რომელიც რექტორის სავარძელში მოთავსდება, დაკომპლექსებული არ უნდა იყოს იმ ფიქრის გამო, რომ ამ პოსტზე მოსახვედრად ვიღაცამ ხელი შეაშველა. ლადო პაპავამ, საზოგადოებაში საკუთარი ავტორიტეტის მოპოვების წყალობით, დამოუკიდებლად მოახერხა რექტორის სავარძლის დაკავება და დიდი იმედი მაქვს, რომ იგი ღირსეულად ატარებს ამ ტვირთს.

გვ. 5

რამაზ საყვარელიძე:

უნივერსიტეტმა სხვა ინსტიტუტებს მორალური გამარჯვების მაგალითი უჩვენა. დღეს მე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ამაყი ვარ.

ახალი სასწავლო წლის დაწყების ცერემონია თსუ-ში

16 სექტემბერს უნივერსიტეტის ეზოში ახალი სასწავლო წლის დაწყების ცერემონია გაიმართა. პირველი კორპუსის წინ შეკრებილ სტუდენტებს სწავლის დაწყება უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ მიულოცეს.

ყველაზე მაღალრეიტინგიან პირველკურსელებს უნივერსიტეტის რექტორმა უნივერსიტეტის, კომპანია „მაგთიკომისა“ და გამომცემლობა „პალიტრა L“-ის მიერ დაწესებული საჩუქრები გადასცა.

ღონისძიების პარალელურად უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტთა საპროტესტო აქცია გაიმართა, სადაც სტუდენტები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ჯერაც მოუგვარებელი პრობლემების გამო.

საპროტესტო მუხტი და ადეკვატური რეაქცია

კითხვა-პასუხის რეჟიმში მრგვალ მაგიდასთან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წლის დაწყებას, საზეიმო განწყობასთან ერთად, სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლებიც ახლდა. 16 სექტემბერს პირველკურსელთათვის გამართულ ღონისძიებაზე სტუდენტთა ერთი ჯგუფი ტრანსპარანტებით შეიარაღებული გამოცხადდა და უნივერსიტეტის ეზო საპროტესტო შეძახილებით აავსო. „ნუ ატყუებთ სტუდენტებს!“ — იყო მათი ძირითადი ლოზუნგი, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ უნივერსიტეტში აკადემიური რეგისტრაციის დაწყებისთანავე იჩინა თავი ტრადიციულმა პრობლემებმა. სტუდენტთა ამ ჯგუფს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა შეხვედრა და იმ საკითხებზე საუბარი შესთავაზა, რაც მათ ყველაზე მეტად აწუხებთ.

12 საათზე ეს შეხვედრა შედგა. „დროში შეზღუდული არ ვართ, მოგისმენთ და შემდეგ მოგახსენებთ, რას და როგორ ვაპირებთ!“ — მიმართა მათ რექტორმა ლადო პაპავამ და თითქმის სამი საათი უსმენდა და პასუხობდა სტუდენტთა მიერ დასმულ კითხვებს.

მე-2, 7 გვერდზე

ვიცე-რექტორების პოზიციიდან



რა იგეგმება უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით? — ამ საკითხზე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ კითხვებს პროფესორმა, ვიცე-რექტორად ახლად დანიშნულმა მერაბ ელიავშვილმა უპასუხა.

მე-4 გვერდზე

მარინე ჩიტაშვილი: ჩვენ წარმოდგენა არ გვაქვს — ვინ, რას, როგორ და როდის აკეთებს. ასეთ ვითარებაში ხშირად აქცენტი გადაგვაქვს მეორეხარისხოვან საკითხებზე და სინამდვილეში კი ის, რაც მთავარია უნივერსიტეტში – სწავლება და კვლევა – გვრჩება განზე.

მე-4 გვერდზე

ინტერვიუ

ნომერში

რექტორის მრჩეველთა საბჭო განახლებული შემადგენლობით აღდგა.....3

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი გადადგა.....6

რექტორთან შეხვედრის შემთხვევაში რა საკითხს წამოწევდით?.....6

2013 წელი ნიკო ლორთქიფანიძის წლად გამოცხადდა.....13

კონფერენცია თსუ-ში გვ. 10-11

ახალი კვების ობიექტი, ახალი ფასები, ახალი მენიუ გვ. 6

სტუდ-ფეხი

სტუდენტური ჩანართი

სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა გადასახედია.....8

თვითმმართველობა რექტორთან შესახვედრად ემზადება.....8

„ახალგაზრდა ადვოკატები“ სტუდენტებისგან საუკეთესო საპროექტო წინადადებებს ელიან.....9

არა! — ხუდონჰესის მშენებლობას.....9

საპროტესტო მუხტი და ადეკვატური რეაქცია

პირველი გვერდიდან

სტუდენტებთან შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ჩომახიძე და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები, ასევე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ნანი მაჭარაშვილი.

შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ რექტორთან მსგავსი შეხვედრები ყოველ ორ თვეში გაიმართება.



ბაზების გაუმართაობა და პროფესიონალიზმის პრობლემა

16 სექტემბერს რექტორთან შეხვედრა სტუდენტებმა იმ პრობლემებზე საუბრით დაიწყეს, რომელიც წლებია უნივერსიტეტის აქილევსის ქუსლად იქცა — მოუწესრიგებელი ბაზები და შეზღუდული ადგილები საგნებზე. გამომსვლელთაგან ყურადღებას ყველა კომუნიკაციის არარსებობაზე, საგნების არჩევის მარათონსა და ფაკულტეტების სასწავლო დეპარტამენტების თანამშრომლების უყურადღებობაზე ამახვილებდა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა თეკლა ჯამრულიძემ მოკლედ ჩამოაყალიბა ის პრობლემები, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებთ უნივერსიტეტის სტუდენტებს: „პირველ რიგში ეს არის ბაზებთან დაკავშირებული პრობლემა, თუმცა მხოლოდ ბაზები არ გვიშლის ხელს, არანაკლებ პრობლემურია ფაკულტეტებზე პროფესორებისა და საგნების ნაკლებობა, რაც გადაულახავი ზღუდეა — ჩვენი მიმართულების საგნებსაც კი ვერ ვირჩევთ ზოგჯერ," — აღნიშნა მან.

ამავე საკითხზე გაამახვილა ყურადღება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა ირაკლი ირემაძემ: „მთავარი პრობლემა ამ 4 წლის განმავლობაში, რაც უნივერსიტეტში ვსწავლობ, არის ბაზების გაუმართაობის და საგნებზე საკმარისი ადგილების არარსებობის პრობლემა. წარმოუდგენელია, რომ ფაკულტეტი სწავლობს 2005 წელს დამტკიცებული საშტატო განრიგით. მაშინ მიღება იყო 400 კაცი და დღეს არის 900. სულ ასარჩევად 20 საგანია გამოტანილი, მათგან ყველა გავლილი მაქვს და ამ სემესტრში უკრედიტოდ ვრჩები. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი გვაძლევს უფლებას — სხვა ფაკულტეტზე ავირჩიოთ საგნები, ესეც პრობლემაა, რადგან იმ ფაკულტეტების საგნებზე გამოყოფილი არის კვოტა — 5 ადამიანი. ამ პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ სტიპენდიატი ვარ, ვერ დავამთავრებ უნივერსიტეტს და იძულებული გავხდები, მეცხრე სემესტრი გავიარო, რადგან ბაზა არ გვაძლევს საშუალებას, რომ საგნები ავირჩიოთ," — განაცხადა მან.

საგნების არჩევის პროცესის გაიოლების გზაზე ისაუბრა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომელმა ვახტანგ ბერიკაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პრობლემა, რომელიც სემესტრის დასაწყისში ყოველწლიურად დგება, არ არის სერვერის გაუმართაობის ბრალი: „სინამდვილეში პრობლემა არის ის, რომ ის პროგრამა, რომელიც სტუდენტებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის მუშაობს, არ არის სრულყოფილი და მის გამართულობაზე სულ რამდენიმე ადამიანი ზრუნავს. როდესაც ერთ მიმართულებას პროგრამაში რამის დამატება სჭირდება, შესაძლოა ორი თვე მოანდომონ ამას, მხოლოდ იმიტომ, რომ სამუშაოს ვერ აუდიან. კარგი იქნებოდა ამ საკითხზე გვეზრუნა. რაც შეეხება საგნების არჩევას, ჩემი აზრით, ამის მოგვარება უპრობლემოდ შეიძლება თუნდაც იმით, რომ არ არის საჭირო ყველა ფაკულტეტის სტუდენტს ერთ დღეს გაეხსნას ბაზები..." — აღნიშნა მან.

16
ნოემბერს შევხვდეთ. ჩვენ მოგახსენებთ — რა გავაკეთეთ, თქვენ კი კვლავ გვითხარით თქვენი მოსაზრებები — ლადო პაპავა.

იმის გამო, რომ შეხვედრაზე დამსწრე სტუდენტთა უმრავლესობა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან იყო, აღნიშნულ საკითხებზე მათ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ნანი მაჭარაშვილმა უპასუხა. მან აღნიშნა, რომ სრულად ეთანხმება სტუდენტთა მოსაზრებებს საგნების არასაკმარისი რაოდენობისა და აკადემიური რეგისტრაციის დროს წამოჭრილი პრობლემების თაობაზე და გააცნო ინიციატივა, რომელიც ამ ფაკულტეტზე შემდეგი წლიდან უკვე განხორციელდება. „სტუდენტებს დავპირდი, რომ მომავალ წელს ეს პრობლემა არ შეექმნებათ – დაიწყება საგნებზე წინასწარი რეგისტრაცია და მოთხოვნის მიხედვით დაკომპლექტდება ჯგუფები... ამ მოდელის გამოცდილება აქვს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს და ჩვენც გავიზიარებთ", — აღნიშნა ნანი მაჭარაშვილმა.

„ბაზების პრობლემა დიდი ხანია მესმის და არ იყო საჭირო რექტორად გახდომა, რომ ეს პრობლემა გამეგო. როგორც კი დასრულდა საზაფხულო შვებულება, მე შევხვდი IT-ის წარმომადგენლებს. ძალიან სერიოზული საუბარი გვქონდა. როგორც ამიხსნეს, უნივერსიტეტს ყველა ტექნოლოგიური უზრუნველყოფა აქვს იმისთვის, რომ ხარვეზი არ ყოფილიყო, მაგრამ მივადექით პრობლემას, რომელიც ცალკეულ პირთა პროფესიონალიზმთან, მომზადებასთან და პასუხისმგებლობის გრძნობასთანაა დაკავშირებული. მე გავაფრთხილე ისინი, რომ თუ სემესტრის დასაწყისში საპროტესტო გამოსვლები დაიწყებოდა, მოუწევდათ სამსახურიდან წასვლა. ეს პირობა პრაქტიკულად შესრულების სტადიაშია და შევეცდებით, რომ სამომავლოდ მსგავსი პრობლემა უნივერსიტეტში აღარ იყოს", — აღნიშნა უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ ბაზების გაუმართაობასთან დაკავშირებით.

პროტესტი მომსახურების პროცესში უხეშ დამოკიდებულებებს!

სტუდენტთა ნაწილმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ადმინისტრაციის თანამშრომელთა მათდამი დამოკიდებულება ზოგჯერ ყოველგვარ ზღვარს სცილდება. „ძალიან გულდასაწყვეტია ის უყურადღებობა და უხეშობა, რაც ხშირად შეგვინიშნავს სტუდენტებს. ასევე მტკივნეულია კომუნიკაციისა და „გადამისამართების" პრობლემაც. როცა ჩვენ მივდივართ კონკრეტულ პირთან პრობლემის მოსაგვარებლად, გვეუბნება, რომ ეს მისი კომპეტენცია არ არის და გვამისამართებს სხვასთან, ის კიდევ — სხვასთან და ასე დაუსრულებლად... მიმართულებებზე „ცხელ ხაზზე" ჩართულ ტელეფონს საერთოდ არ პასუხობენ და ელემენტარული შეკითხვისთვის უნივერსიტეტში მოსვლა გიწევს. უნივერსიტეტი ადმინისტრაციული კადრების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. უზარმაზარი თანხა იხარჯება ბიუჯეტიდან მათ ხელფასებზე და ეს პრობლემა მართლაც გასაოცარია", — აღნიშნა სტუდენტმა თეკლა ჯამრულიძემ.

პროფესურის ნაკლებობის პრობლემა სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის ფონზე

უნივერსიტეტი, სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის ფონზე, მართლაც ითხოვს პროფესურის დამატებას და მოწვეულ ლექტორთა დაინტერესებას ანაზღაურების გაზრდის თვალსაზრისით. ამ საკითხზე უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ განაცხადა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სულ მალე გამოცხადდება დამატებითი აკადემიური კონკურსი. „თუმცა, არ მინდა ვიჩქაროთ, რადგან ფაკულტეტმა კარგად უნდა გაიაზროს — რა მოყვება ამას, ვინაა ის პოტენციური კადრი, ვინც უნივერსიტეტში უნდა მივიღოთ", — განაცხადა ლადო პაპავამ და აქვე დასძინა, რომ აკადემიური კონკურსი ერთნაირ პირობებში უნდა აყენებდეს ყველა კონკურსანტს: „დღეს ახსენეს ის პროფესორები, ვინც ადრე იყვნენ უნივერსიტეტში და ცნობილი მოვლენების დროს გაუშვეს. ჩემი პოზიცია ასეთია: არ მაინტერესებს აწმყო და წარსული – კონკურსის დროს ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი პირობები. ვინც დღეს არის უნივერსიტეტში და კარგი ლექტორია, დარჩება და თუ გარეთაა ვინმე კარგი, ავიყვანთ", — განაცხადა რექტორმა.

ფაკულტეტების დეცენტრალიზაციის საკითხი

შეხვედრაზე სტუდენტმა თეკლა ჯამრულიძემ დასვა ფაკულტეტების დეცენტრალიზაციის საკითხიც: „ფაკულტეტებს არ აქვთ ელემენტარული თავისუფლება, რათა თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვიტონ პრობლემები, დაგეგმონ ფაკულტეტის ან მიმართულების პოლიტიკა — როცა დგებიან სამეცნიერო კვლევის ან რაიმე პროექტის განხორციელების საჭიროების წინაშე, ხშირად ცენტრალური ადმინისტრაციიდან მისი დაკმაყოფილება არ ხერხდება," — აღნიშნა მან, რაზეც უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ განაცხადა, რომ მას დიდი სურვილი აქვს ხელი შეუწყოს ფაკულტეტების ავტონომიურობას. „ჩვენ გვაქვს ორი ტიპის ფაკულტეტი: მონოდარგობრივი და მრავალდარგობრივი, რაც გარკვეულ სპეციფიკას ქმნის ამ ფაკულტეტების მართვაში. შეიძლება უფრო ადვილი იყოს რაღაც პროცესების წარმართვა იურიდიულ ფაკულტეტზე და საკმაოდ რთული — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რადგან აქ ძალიან ბევრი მიმართულებაა გაერთიანებული. ქალბატონ ნანი მაჭარაშვილთან შეხვედრის დროს ვისაუბრეთ ამ საკითხებზე და გააზრებული გვაქვს, რომ ინიციატივა უნდა მოდიოდეს ფაკულტეტებიდან. ჩვენ მზად ვართ, მათ ავტონომიურობა მივცეთ," — განაცხადა ლადო პაპავამ.

მოამზადა **მაია ტორაძემ**

მე-7 გვერდზე

ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

ᲗᲣᲠᲛᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝ!

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡᲗᲐᲜ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲕᲐᲜᲝ ᲙᲘᲚᲣᲠᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ

ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐ ძᲜᲔᲚᲘᲐ. ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲘᲐᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲮᲘᲡᲢᲛᲐ ᲒᲔᲒᲛᲐᲛ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲑᲔᲕᲠ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲣᲛᲬᲕᲐᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲐ. ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲛᲯᲝᲑᲘᲜᲐ. ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲛᲐ ᲛᲐᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲧᲝᲤᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲐᲪ ᲓᲐᲐᲕᲘᲬᲧᲓᲐᲗ. ᲡᲬᲠᲔ ᲐᲛ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲔᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡ — ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲡᲣᲚ, ᲠᲘᲡᲘ ᲒᲐᲒᲔᲑᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲠᲝᲓᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ. ᲛᲔᲐᲛᲑᲝᲮᲔ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲣᲠᲘᲡ ᲠᲘ�გᲔᲑᲨᲘ ᲘᲓᲒᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲝᲡᲘ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲜᲝ ᲙᲘᲚᲣᲠᲐᲫᲔᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ ᲣᲙᲐᲕᲐ. ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲓ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲠᲩᲔᲣᲚ ᲯᲔᲛᲐᲚ ᲛᲔᲑᲝᲜᲘᲐᲡ ᲛᲘᲐᲑᲐᲠᲔᲡ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲑᲠᲣᲜᲐ ᲞᲘᲠᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲕᲐᲜᲝ ᲙᲘᲚᲣᲠᲐᲫᲔᲛ ᲘᲛ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡᲙᲔᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲓ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲚᲐᲓᲝ ᲞᲐ�პᲐᲕᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲐᲚᲝ�გᲘᲪ ᲨᲔᲓᲒᲐ.

ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲕᲐᲜᲝ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲗ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ” ᲣᲐᲠᲡ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲝᲓᲘᲗ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲖᲔ. ᲛᲝᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲛᲔᲪᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲒᲐᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘ�გᲨᲘ, ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲙᲘᲗᲮᲝᲗ, ᲠᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲚᲐᲓᲝ ᲞᲐ�პᲐᲕᲐᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ?

— ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲐᲓᲝ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲐ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲛᲐᲡ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲐᲪ ᲘᲪᲘᲡ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛ, ᲘᲡᲔ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐᲪ. ᲗᲣ ᲨᲔᲔᲪᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲘᲫᲘᲝᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲘᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ, ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜ ᲣᲪᲮᲝᲣᲠ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲘᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲛᲘᲕᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ. ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲞᲚᲔᲐᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ — ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲙᲘᲠᲕᲐ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ იᲧᲝᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲪ ᲛᲐᲥᲕᲡ. ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲚᲐᲓᲝᲛ, ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲯᲓᲝᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲛ „ᲕᲐᲠ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ” ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲡ, ᲠᲐᲪ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲓᲐ ᲔᲚ-ᲔᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲡ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲬᲠᲝᲠᲔᲑᲐ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲝᲓ, ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲛᲘᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ. ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲡ�გᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲐ. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲗ, ᲝᲥᲠᲝᲡ ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲘᲓᲔᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲘᲛ „ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ” ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲘᲡ — ᲪᲣᲓᲐᲓ ᲒᲐᲡᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲮᲣᲑᲣᲐᲡ ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲝ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲔᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲐ. ᲕᲐᲛᲐᲧᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲩᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐᲜ — ᲯᲔᲛᲐᲚ ᲛᲔᲑᲝᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲬ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲡᲐᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲛᲔ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲕᲗᲥᲕᲘ: ᲡᲐᲜᲐᲛ ᲮᲣᲑᲣᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲐ, ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲬᲐᲕᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗ ᲤᲝᲤᲮᲘᲡᲐᲪ ᲐᲠ შᲔᲕᲐᲓᲒᲐᲛ. ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲕᲗᲥᲕᲘ, შᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲔᲡ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ.

— ᲛᲐᲡ შᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲠᲐᲖᲛᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲗᲡᲣ-Ს შᲔᲣᲔᲠᲗᲓᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲛ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲘᲜᲢᲔ�გᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲢᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲐᲓᲐᲪ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲘᲗ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ შᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ?

— ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲬᲘᲙᲚᲝ იᲧᲝ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲔ ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲙᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ Ა�გᲠᲔᲡᲘᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ �გᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ. ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲓ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ იᲧᲝ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲠᲝᲑᲐ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲔ ᲕᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲘᲡᲘ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲪ ᲛᲐᲥᲕᲡ. ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲚᲐᲓᲝᲛ, ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲯᲓᲝᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲛ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲩᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐᲜ — ᲯᲔᲛᲐᲚ ᲛᲔᲑᲝᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲬ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲡᲐᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲛᲔ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲕᲗᲥᲕᲘ, ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲔᲡ ᲒᲐᲓᲐწᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ.

— ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠᲘ ᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ იᲧᲝᲡ Ი�გᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲓᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲗ. ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲠᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲗ „ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ” ᲘᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ, ᲠᲐᲪ ᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ?

— ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ. ᲐᲠ ᲦᲘᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ ᲝᲠᲛᲐ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐᲛ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲝᲡ. ᲛᲔ ᲒᲔᲢᲧᲕᲘᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲐᲖᲠᲡ: ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲣᲜᲓᲐ იᲧᲝᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ! ᲛᲝᲛᲫᲔᲑᲜᲔᲗ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ შᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲐᲓ �გᲐᲓᲐᲙᲔᲗᲓᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲥ ᲬᲔᲠᲘᲐ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲠᲝ�გᲝᲠᲘᲪ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ, ᲘᲡᲔ ᲨᲘᲓᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ მᲮᲠᲘᲕᲐᲪ. ᲔᲡ ᲐᲡᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲡ. ᲫᲕᲔᲚᲛᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲔᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲐ ᲬᲐᲐᲠᲗᲕᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲡ, ᲠᲐᲪ ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲬᲠᲝᲠᲓᲔᲡ.

— ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲛᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲗᲐᲜ შᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲡ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲛᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲐᲥᲕᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲮᲔᲓᲕᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ. ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ, ᲠᲐ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ?

— ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲡᲐᲣᲑᲠᲝᲗ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ თᲐᲝᲑᲐᲖᲔ. ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲡ ᲘᲡᲔ „ᲛᲘᲣᲒᲓᲔᲡ“ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ �გᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲜ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲜᲢᲠᲐᲪᲘᲝ ᲑᲐᲜᲐᲙᲔᲑᲨᲘ Ა�გᲖᲐᲕᲜᲘᲓᲜᲔᲜ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ. ᲔᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲣᲤᲚᲔᲑᲝ ᲐᲠᲘᲐᲜ დᲦᲔᲛᲓᲔ, ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐᲗ. ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲗᲝ, ᲙᲐᲪᲘ ᲪᲣᲓ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲬᲠᲝᲠᲔᲑᲐ ᲫᲜᲔᲚᲘᲐ. ᲐᲮᲚᲐ, ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ

ვიცე-რექტორების პოზიციიდან

თსუ უნდა იყოს მყარი სამოქალაქო ინსტიტუტი

ინტერვიუ ვიცე-რექტორთან მარინე ჩიტაშვილთან

„რაც უნდა მოხდეს ქვეყანაში, თსუ უნდა იყოს მყარი სამოქალაქო ინსტიტუტი – გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული", – ასეთი იყო თსუ-ის სრული პროფესორის მარინე ჩიტაშვილის მიერ წარმოდგენილი კონცეფციის ძირითადი არსი, როდესაც მან განაცხადი შემოიტანა თსუ-ის რექტორის პოზიციის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსზე, თუმცა კონკურსის დასრულებამდე მარინე ჩიტაშვილმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, რის მიზეზადაც ჩვენთან ინტერვიუში განათლების შესახებ კანონში შეტანილ იმ ცვლილებას ასახელებს, რომლის საფუძველზეც ა(ა)იპ-ის ნაცვლად უმაღლეს სასწავლებლებს სიპ-ის სტატუსი მიენიჭათ. ჩიტაშვილის თქმით, მისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო ეხელმძღვანელა დაწესებულებისთვის, სადაც შეუძლებელი იქნებოდა თავისუფლად და ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე განესაზღვრათ ორგანიზაციული საჭიროებებიდან გამომდინარე საკითხები და ხარჯები. მოგვიანებით მარინე ჩიტაშვილი დათანხმდა უნივერსიტეტის ახალი რექტორის შეთავაზებას ვიცე-რექტორის პოზიციაზე. მარინე ჩიტაშვილის თქმით, ამ შემთხვევაში რექტორის პასუხისმგებლობაა, რამდენად მოახერხებს სსიპ-ის ფარგლებში უნივერსიტეტის მართვას და მეორეც — პარლამენტში უკვე მიმდინარეობს მსჯელობა უმაღლესი სასწავლებლებისთვის სპეციალური სსიპ-ის სტატუსის მინიჭების თაობაზე, ეს კი თვითგანვითარების მეტ შესაძლებლობას მისცემს უნივერსიტეტს. თვითგანვითარებასა და თსუ-ის ორგანიზაციულ გაძლიერებას ითვალისწინებდა ჩიტაშვილისეული კონცეფცია, რომლის განხორციელებასაც იგი ახლა უკვე ახალ რექტორატთან ერთად აპირებს.

ლელა კურდღელაშვილი

— რა სიტუაცია დაგხვდათ უნივერსიტეტში, რამდენად მოახერხეთ მდგომარეობის გაცნობა მოკლე დროში?

— როდესაც ბატონმა ლადომ შემომთავაზა ეს თანამდებობა, პირდაპირ მითხრა, რომ სურდა განმეხორციელებინა ის, რაც კონცეფციაში მეწერა. კონცეფციაში კი წერია, რომ პირველ რიგში უნდა ჩატარდეს სიტუაციის შეფასება, ე.წ. „სვოთ ანალიზი", რადგან ერთია ის, თუ რა წერია საჯარო ინფორმაციაში და მეორეა ის, თუ რას აღმოაჩენ სინამდვილეში.

მაგალითად, ასე აღმოვაჩინე, რომ აქვე, 107-ე აუდიტორიაში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობს ოთხი ქვეყანა, რომ რამდენიმე ჩვენს პროფესორზე არის დიდი მოთხოვნა და მათ იწვევენ სხვადასხვა ქვეყნებში ერთობლივ სადოქტორო პროგრამებში მონაწილეობისთვის და ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცით.

— ანუ პრობლემა იმაშია, რომ ვერ ვრცელდება ინფორმაცია და არასაკმარისი კომუნიკაციაა?

— აბსოლუტურად გეთანხმებით. ჩვენ წარმოდგენა არ გვაქვს — ვინ, რას, როგორ და როდის აკეთებს. ასეთ ვითარებაში ხშირად აქცენტი გადაგვაქვს მეორეხარისხოვან საკითხებზე და სინამდვილეში კი ის, რაც მთავარია უნივერსიტეტში – სწავლება და კვლევა – გვრჩება განზე. ამ ეტაპზე გამიჭირდება რამის თქმა, გარდა იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში მხვდება ბევრად უფრო უარესი სიტუაცია, ვიდრე ველოდი და ზოგან კი იმდენად კარგი სიტუაცია, რომ ვერც წარმოვიდგენდი. ამიტომ, მანამ, სანამ ამ სიტუაციის ოფიციალურ ანგარიშს არ დავდებ, გამიჭირდება რამის თქმა. სავარაუდოდ, ნოემბერში მექნება იმის შესაძლებლობა, რომ გიპასუხოთ — რისი გაკეთება შეიძლება არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე. თუმცა, ერთი რამ ახლავე შემიძლია გითხრათ: ძალღონეს არ დავიშურებთ საიმისოდ, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი შეიცვალოს, რადგან ეს გვერდი არ იძლევა არანაირ ინფორმაციას უნივერსიტეტის შესახებ და ძალიან რთულია მომხმარებელმა მიაგნოს საჭირო ინფორმაციას.

არსებული მდგომარეობის შეფასების გარდა, უკვე დაწყებულია რამდენიმე პროექტის განხორციელება. აქვე ვიტყვი, რომ ჩემი მხრიდან აუცილებელი პირობა არის აკადემიური პერსონალის ჩართულობა ნებისმიერ საუნივერსიტეტო პროექტში. თუ აქამდე ადმინისტრაცია წყვეტდა, რა და როგორ უნდა გაკეთებულიყო და შეხედულებისამებრ ინვევდა აკადემიურ პერსონალს, დღეიდან პრაქტიკა შეიცვლება: ადმინისტრაცია ვალდებულია, განახორციელოს სერვისი, მაგრამ პროექტის ხარისხზე პასუხისმგებელია აკადემიური პერსონალი. აქედან გამომდინარე, ჩემი ვიცე-რექტორობის პერიოდში, ყველა პროექტში ჩართული იქნება აკადემიური პერსონალი.

— რა იგეგმება სწავლებისა და კვლევის მიმართულების გასაუმჯობესებლად?

— სწავლება ძირითადად ევალება ბატონ ლევან ალექსიძეს, კვლევა — ბატონ მერაბ ელიაშვილს. მე მათთან მომიწევს მუშაობა, რადგან ჩემი ფუნქციაა ნებისმიერი პროგრამის შეფასება იმ პერსპექტივით, რომ მისმა განვითარებამ უნივერსიტეტს კონკრეტული შედეგები მოუტანოს. ამაში არ ვგულისხმობ მხოლოდ ფინანსებს. მაგალითად, თუკი ჩვენ განვავითარებთ სპარსული ენის სწავლებას და ავიყვანთ მას ძალიან მაღალ დონეზე, შესაძლებლობა გვიჩნდება — ძალიან მომგებიან მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ და დასავლეთიდან სტუდენტების მოზიდვა შევძლოთ, რადგან მოგეხსენებათ, რომ დასავლეთის მოსახლეობა არ ჩადის ირანში.

ასევე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წინა პლანზე წამოწევა ჩვენს უნივერსიტეტს ერთბაშად მაღლა ასწევს რეიტინგის სიაში, რადგან დღეს ყველაზე დიდი გრანტების მომტანი სწორედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებია.

თუმცა, იმის თქმას, რამდენი პროგრამა უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტს, შეფასება სჭირდება და მხოლოდ ამის შემდეგ, აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, გადაწყდება — რა და როგორ უნდა განვითარდეს.

— სტუდენტური თვითმმართველობა რამდენად იქნება ჩართული პროცესებში?

— სტუდენტები აუცილებლად იქნებიან ჩართულნი, თუმცა რა ფორმით, ვერ გეტყვით, რადგან თვითმმართველობა საკმაოდ უცნაური ორგანიზაციაა და მის პარალელურად არსებობს საკმაოდ ბევრი და საინტერესო სტუდენტური გაერთიანება. დასავლეთის უნივერსიტეტებში სტუდენტური გაერთიანებები მუშაობენ იმაზე, რომ თავიანთი კვლევითი და სასწავლო ინტერესები მაქსიმალურად დაიკმაყოფილონ, მაგრამ სტუდენტური გაერთიანება, რომლის მთავარი საზრუნავი იქნება ექსკურსიები და გართობა, არსად შემხვედრია. თუმცა, თუ სტუდენტები შემოიტანენ პროექტს, რომელიც, სოციალური სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან მოსული სტუდენტების მდგომარეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებს, ჩემთვის ასეთი პროექტი მისასალმებელი იქნება.

ასევე, საინტერესო იქნება პროექტები, სადაც სტუდენტები საკუთარ შეხედულებას გაგვიზიარებენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და არ არის აუცილებელი პროექტი თვითმმართველობიდან შემოვიდეს. მთავარია, რომ სტუდენტების მიერ მოწოდებული იდეა საღი იყოს.

პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შექმნისთვის მუშაობა დაიწყო

ინტერვიუ ვიცე-რექტორთან მერაბ ელიაშვილთან

მაია ტორაძე

— ბატონო მერაბ, თქვენი დანიშვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის პოზიციაზე განპირობებულია იმით, რომ გაქვთ გარკვეული სტრატეგია სამეცნიერო-კვლევითი გარემოს გაუმჯობესების თაობაზე. რას მოიცავს ეს სტრატეგია და რა ხედვები გაქვთ უნივერსიტეტში მეცნიერების ხელშეწყობის გაუმჯობესების თვალსაზრისით?

— პირველ რიგში ჩვენი როლი და დანიშნულებაა იმ სამეცნიერო რესურსის გამოყენება, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია.

ყველაზე პრობლემატური ამ მიმართულებით არის ახალგაზრდა სამეცნიერო კადრებთან მუშაობა, რომლის გააქტიურებაზე რექტორის საარჩევნო პროგრამაშიც იყო საუბარი. ეს ძალიან მტკივნეული საკითხია არა მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტის, არამედ, ზოგადად, საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებისთვის, რადგან ახალგაზრდა კადრების შემოდინება მეცნიერებაში, ფაქტობრივად, აღარ მიმდინარეობს. ამას აქვს ობიექტური მიზეზები, მაგალითად, მწირი ფინანსური რესურსები, რის გამოც ახალგაზრდისთვის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმზიდველი აღარ არის. მართალია, არის სტუდენტების კატეგორია, რომელსაც სამეცნიერო მუშაობის სურვილი და ინტერესი აქვს, მაგრამ ისინი გამონაკლისები არიან და თანაც მათთვის თავის დამკვიდრების ერთადერთი საშუალება უცხოეთში წასვლა და იქ დასაქმებაა. ამ მიზეზის გამო არაერთმა ნიჭიერმა ახალგაზრდა მეცნიერმა დატოვა საქართველო და ევროპისა და ამერიკის ლაბორატორიებს შეაფარა თავი.

პრობლემის ნაწილობრივ მოგვარებისთვის, რექტორის აზრით, აუცილებელია პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შექმნა, ისე, როგორც ეს ხდება ბევრ ქვეყანაში, რაც გულისხმობს იმას, რომ მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა დაასრულებს დოქტორანტურას და მოიპოვებს ხარისხს, თუ მას სამეცნიერო მუშაობის მიდრეკილება აქვს, პოსტდოქტორანტის პოზიცია გარკვეული ანაზღაურებით დაენიშნება. ეს, ცხადია, ყველას არ შეეხება. დოქტორანტურის კურსდამთავრებულთაგან სისტემატურად აირჩევა გარკვეული რაოდენობის პერსპექტიული ახალგაზრდა მეცნიერი, რომელიც აქტიურად ჩაერთვება სამეცნიერო კვლევაში. ამასთან, სასურველი იქნება, რომ ახალგაზრდა მკვლევრებმა მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობაში.



გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ამოცანაა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების მოდერნიზება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება – მოგეხსენებათ, ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი, თუ მასშტაბურად ვერ შევწვდებით ამას, ის მაინც უნდა გაკეთდეს, რომ დავაინტერესოთ პარტნიორები, ვაჩვენოთ, რა შეგვიძლია და ტექნიკური ბაზის მოწესრიგების შედეგად შესრულდეს გარკვეული სამუშაოები. ეს ორმხრივად სასარგებლო იქნება, რადგან, შესაძლოა, აქ გაცილებით იაფი დაუჯდეთ იგივე სამუშაო, რასაც უცხოეთის პრესტიჟული ლაბორატორიები აკეთებენ.

— რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ყოველწლიურად გასცემს სამეცნიერო გრანტებს, რომელიც მეცნიერთა მხოლოდ ერთ ჯგუფს აკმაყოფილებს. ცხადია, გრანტირებული სამეცნიერო პროექტები იმდენი ვერ იქნება, რამდენი კარგი პროექტიცაა წარდგენილი. ხომ არ არის განსაზღვრული შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო დაფინანსება იმ პროექტებისთვის, რომლებსაც რუსთაველის ფონდის ექსპერტების მიერ მაღალი ქულა აქვს მინიჭებული, დაფინანსებაში კი ვერ მოხვდა?

— ეს ძალიან კარგი იდეაა და მისი რეალიზაცია ნამდვილად სასარგებლო იქნება.

— არის თუ არა გათვალისწინებული იმ სამეცნიერო ინსტიტუტების ხელშეწყობა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემოუერთდნენ?

— ჯერჯერობით აქ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით. ამჟამად მზადდება პროექტი ეროვნული სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ, სადაც გაერთიანდება ამგვარი ინსტიტუტები და ცალკეული სამეცნიერო ცენტრები. იმედია, რომ ამ პროექტის განხილვის და დამტკიცების შემდეგ სიტუაცია შეიცვლება. თქვენი გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდილია სტატია, სადაც საუბარია თსუ-ის შემადგენლობაში არსებული ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან. ამ ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მათ უმეტესობას უნივერსიტეტის სისტემიდან გასვლა უნდა. ამდენად, ეს საკითხი ჯერ კარგად უნდა გაირკვეს და შემდეგ გადაწყდება, რა და როგორ გაკეთდეს.

— ხომ არ არის განსაზღვრული მიმართულებების მიხედვით სამეცნიერო ჟურნალის გამოშვება?

— ცხადია, ესეც დასაფიქრებელია და სწორედ ამ ორი კვირის წინ ვისაუბრეთ ამ საკითხზე. ვფიქრობთ სამეცნიერო ჟურნალზეც, რომელსაც კარგი სარედაქციო კოლეგიები უნდა ჰყავდეს და ღირსეულ ნაშრომებს დაუთმოს ადგილი, მაგრამ ამას ძალიან სერიოზული მოსამზადებელი სამუშაო დასჭირდება.

ჯერ ბევრი რამ საწყის ეტაპზეა, ვგეგმავთ, ვმუშაობთ და იმედია, რომ პირველი შედეგებიც გამოიკვეთება.

თსუ-ის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ამაყი ვარ

ინტერვიუ ექსპერტ რამაზ საყვარელიძესთან

ნინო კაკულია

— უნივერსიტეტს ახალი რექტორი ჰყავს, რომელსაც თქვენ, როგორც საზოგადოების წარმომადგენელი, მეტად გულშემატკივრობდით. რა მოლოდინები გაგიჩინათ ბატონი ლადო პაპავას გამარჯვებამ?

— ის ცვლილება, რაც აგვისტოში მოხდა უნივერსიტეტში რექტორის არჩევის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ყველასთვის საგრძნობი ჯერ ვერ იქნება, რადგან მას შემდეგ ცოტა დროა გასული. ჩემთვის, მაგალითად, ყურადღებამისაქცევი იყო ლადო პაპავას შეხვედრა პროტესტანტ სტუდენტებთან სწავლის დაწყების პირველსავე დღეს, საიდანაც სტუდენტები კმაყოფილები გამოვიდნენ. მათთვის ბევრი საჭირბოროტო პრობლემა დიდი ხნის მანძილზე მოუგვარებელი იყო. ამ საკითხების წინ წამოწევით და რექტორისგან ამჯერად მხარდაჭერის გამოცხადებით ნეგატიური მუხტისგან, შეიძლება ითქვას, „განიარაღდა" უნივერსიტეტი. ეჭვი არ მეპარება, რომ ლადო პაპავას ბევრი სირთულე და პრობლემა დახვდა აქ, მაგრამ საქმისადმი თავად მისი დამოკიდებულებაა იმედის მომცემი და, აქედან გამომდინარე, შემდეგ სტუდენტებიც გაგებით მოეკიდებიან პრობლემების ეტაპობრივად გადაწყვეტის მიბმას დროის ფაქტორზე.

— რექტორის არჩევნებამდე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს" თქვენ მიეცით ინტერვიუ, რომელშიც ეჭვს გამოთქვამდით, რომ აკადემიური საბჭოს დღევანდელ შემადგენლობას შეიძლება მხარი არ დაეჭირა ლადო პაპავას კანდიდატურისთვის რექტორის პოსტზე. საბჭოს ნდობის საკითხზე ჩვენს საუბრებს ზოგიერთი წევრისგან ერთგვარი გულისწყრომა მოჰყვა და ჩვენი შეკითხვა ჩასაფრებული კაცის პოზიციიდან დასმულ კითხვად მოინათლა. თქვენი აზრით, რამდენად ლეგიტიმური იყო არჩევნებამდელი შეკითხვა საბჭოს ნდობის შესახებ და რა შეფასებას მისცემთ დღევანდელი გადასახედიდან თსუ-ის უმაღლესი ორგანოს გადა-წყვეტილებას?

— საერთოდ, ჟურნალისტიკა „ჩასაფრებული" პროფესიაა, ოღონდ ჩასაფრებას თავისი მოტივიც უნდა ჰქონდეს. რა იყო არჩევნებამდელ ინტერვიუში ჩემი საუბრის მოტივი? — შევეცდები, ეს კვლავ თავიდან ავხსნა: საქართველოში 1 ოქტომბრის შემდეგ არჩევნები ბევრგან ჩატარდა, მათ შორის სასამართლო სისტემაშიც და ჩვენ ვნახეთ, რომ მივიღეთ კვლავ ნაციონალური ელიტა. ვხედავთ საზოგადოებრივ მაუწყებელში შექმნილ ვითარებასაც, სადაც პრობლემებს პოლიტიკურად მოტივირებული საბჭოს წევრები ქმნიან. ამ რეალობის ფონზე გაჩნდა სწორედ ის ვერსიაც, რომ საუნივერსიტეტო არჩევნებშიც „ნაციონალური მოძრაობა" შეინარჩუნებდა გავლენას. ასე რომ, ამ გარდამავალ პერიოდში უნდობლობა არსებობს ბევრი ინსტიტუტის მიმართ და ძალიან სასიამოვნო ფაქტია, რომ უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ, აკადემიური ინტერესებიდან გამომდინარე, „კრისტალური" გადაწყვეტილება მიიღო. საბჭომ საკუთარი თავი პოლიტიკური გავლენისგან გაითავისუფლა, რაც ამ წლის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვან გამარჯვებად მიმაჩნია. ნურავინ გაღიზიანდება იმით, რომ თავის დროზე საბჭოს ნდობის საკითხზე კითხვები დაისვა — ჩვენს რეალობას ასეთი კითხვები ბევრი მოსდევს, მაგრამ კმაყოფილნი კი ნამდვილად უნდა იყვნენ იმით, რომ უნივერსიტეტმა სხვა ინსტიტუტებს მორალური გამარჯვების მაგალითი უჩვენა. დღეს მე არ მეხამუშება იმის თქმა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ამაყი ვარ. ვფიქრობ, ამ პატიკას დღევანდელი უნივერსიტეტი მართლაც იმსახურებს.

საბჭომ საკუთარი თავი პოლიტიკური გავლენისგან გაითავისუფლა, რაც ამ წლის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვან გამარჯვებად მიმაჩნია.

— როგორც რექტორთან პროტესტანტი სტუდენტების შეხვედრაზე ითქვა, ლადო პაპავასგან ისინი რადიკალურ სისტემურ ცვლილებებს ელიან. თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურია ასეთი მოლოდინები?

— ეს აშკარად ზედმეტი მოლოდინია, თუმცა ვფიქრობ, რომ მსგავსი მოლოდინები მომდინარეობს იმ ტრადიციიდან, რაც არსებობს. რაღაც ანალოგიური მოთხოვნები აქვს მოსახლეობას ქვეყნის პრეზიდენტის მიმართაც ამ წინასაარჩევნო პერიოდში. ხალხს ჰგონია, რომ კვლავ იმ უფლებების მქონე პრეზიდენტს ვირჩევთ, რაც დღეს მიხეილ სააკაშვილს აქვს. არადა, ახალი პრეზიდენტი, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, პრობლემების იმ სპექტრს სრულად ვერ გადაწყვეტს, რაც მოსახლეობისთვის მტკივნეულია. ანალოგიურად ექცევიან უნივერსიტეტის რექტორსაც, რომელსაც, დიდი ხანია, უფლებები შეზღუდული აქვს. ახალი რექტორისადმი მოთხოვნები ისეთივეა, როგორიც უნივერსიტეტის პირველი პირისადმი წარსულში ჰქონდათ. სწორედ ამიტომაა არაადეკვატური ახლანდელი მოლოდინებიც. მაგალითად, საკადრო პოლიტიკის წარმოება იქ, სადაც არჩევითი მექანიზმები მუშაობს, ერთი კაცისგან ძალიან ძნელია, თუმცა იმ ერთ კაცს შეუძლია იმ ტიპის შიდა განაწესის შექმნა, რის საფუძველზეც ლექტორს შეეძლება — პროდუქტიულობის მაქსიმუმი აჩვენოს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ კარგად შეიძლება გამოიყენოს სტუდენტების შეფასება, თუმცა ეს შეფასება ყოველთვის ობიექტური არ არის.

— სტუდენტთა მხრიდან ლექტორთა შეფასების მნიშვნელობასა და ამ ტრადიციის დანერგვაზე ბატონი ლადო პაპავაც საუბრობს, მაგრამ რექტორი ყურადღებას იმაზეც ამახვილებს, თუ რა დაედება საფუძვლად სტუდენტთა შეფასებას — ანუ, ვინ არის კარგი ლექტორი? ის, ვინც ნიშანს ადვილად წერს თუ ის, ვინც კარგად ასწავლის და, ამავე დროს, მკაცრად მოითხოვს სტუდენტისგან ცოდნას? — სტუდენტთა შეფასების დროს მათი მოტივაციები როგორ უნდა დადგინდეს?

— ეს საკმაოდ რთული საკითხია. ლექტორის მიერ დაწერილი ნიშანი უდავოდ იქონიებს სტუდენტის მხრიდან გავლენას ლექტორის შეფასებაზე და მეორე — სტუდენტს მოსწონს, როდესაც მას შეფასების საშუალება აქვს, მითუმეტეს, რომ ეს შეფასებები, უმეტესწილად, ანონიმურია. აქედან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ, როდესაც სტუდენტი სტატუსით მასზე მაღლა მდგომ ადამიანს ანონიმურად აფასებს, შინაგანად მას ეს პროცესი სიამოვნებს და, ხშირ შემთხვევაში, უფრო აგრესიული და კრიტიკულია. ამ და კიდევ ბევრი სხვა მიზეზის გამო ამ შეფასებებს ბოლომდე ვერ დაეყრდნობი. ასევე, კარგი სტუდენტისა და ცუდი სტუდენტისეული შეფასება ერთნაირი წონისა არ უნდა იყოს, ანუ გასათვალისწინებელია — სტუდენტს, რომელიც გვაფასებს, რა აკადემიური დონე აქვს? პრობლემას, ჩემი აზრით, მოხსნიდა ღია შეფასების სისტემის შემოღება. სტუდენტიც უნდა იყოს პასუხისმგებელი თავის შეფასებაზე. დასამალი, ამ შემთხვევაში, არაფერია. და კარგი იქნება, თუკი ეს პროცედურა საგამოცდო სისტემას მიებმება. თუკი გამოცდები ტარდება ლექტორისგან დამოუკიდებლად, შეიძლება სტუდენტური შეფასებების პროცესიც საგამოცდო ცენტრმა ან სხვა სპეციალისტებმა აკონტროლონ. მაშინ უკვე სტუდენტისთვის სახიფათო აღარ იქნება ლექტორის კრიტიკა, რასაც ხელს მოაწერს და, ამ შემთხვევაში, არც „ანონიმშიკებს" გავზრდით.

— ახალმა რექტორმა უნივერსიტეტის გაზეთის ფუნქცია იმ მხრივ აამაღლა, რომ მოგვცა თავისუფლება — წარმოვაჩინოთ ის ხარვეზები და პრობლემები, რაც უნივერსიტეტში არსებობს. ამის უფლება, ფაქტობრივად, ადრე არ გვქონდა. ასეთი მიდგომა რედაქციასაც მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს — პასუხი აგოს გავრცელებულ ყველა ინფორმაციაზე. ესეც სიახლეა უნივერსიტეტის ცხოვრებაში...

— ლადო პაპავას პირადად ძალიან კარგად ვიცნობ და მისი მხრიდან სხვანაირ მიდგომას მედიის მისამართით არც ველოდები. ეს სწორედ ლადოსეული ნაბიჯია და აკადემიური საბჭოს არჩევანი იმდენადაც არის მისასალმებელი, რამდენადაც ამ პოზიციების და ამ ტიპის ადამიანი მოიყვანა უნივერსიტეტის სათავეში.

გამოკითხვა MYWORLD 2015

MY WORLD.
THE UNITED NATIONS
GLOBAL SURVEY
FOR A BETTER WORLD.

მიიღე მონაწილეობა და დაეხმარე სამყაროს — გახდეს უკეთესი

ხმა მიეცი ცვლილებებს, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესს გახდის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს უნიკალურ შანსს აძლევს — უშუალო მონაწილეობა მიიღოს გლობალური განვითარების ახალი წესრიგის შემუშავებაში.

მსოფლიო ლიდერებს თქვენი ხმა რომ მიაწვდინოთ და თქვენი შეხედულებების შესახებ უამბოთ, შეგიძლიათ ინტერნეტის საშუალებით უპრობლემოდ შეუერთდეთ გლობალურ და უპრეცედენტო მასშტაბის ინტერნეტ-გამოკითხვას ვებ-გვერდზე – Myworld2015.org, შეარჩიოთ სასურველი ენა და ხმა მისცეთ იმ პრიორიტეტებს, რომლებიც თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის მნიშვნელოვანია.

გამოკითხვა ტარდება როგორც ინტერნეტის, ისე ტრადიციული მეთოდიკის გამოყენებით, რათა შესაძლებელი გახდეს ნებისმიერი, განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველი ჯგუფების წარმომადგენლების მონაწილეობა.

Myworld2015-ის გამოკითხვაში მოყვანილი 16 საკითხის ფორმულირება იმ მოსაზრებების მიხედვით მოხდა, რომლებიც გაეროს წევრი ქვეყნების ყველაზე ღარიბმა მოსახლეობამ დაასახელა, თუმცა ჩამოთვლილ პრობლემებს შორის ჩართულია ათასწლეულის განვითარების პროგრამის მიზნები და, ასევე, მდგრადი განვითარების, უსაფრთხოების, მართვისა და გამჭვირვალობის საკითხები.

საინტერესოა, რომ უკვე არსებული შედეგებით, რომელთა გაცნობაც მარტივადაა შესაძლებელი ვებ-გვერდზე, მსოფლიოში და საქართველოშიც პირველ ადგილზე ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების მიღების მოთხოვნა დგას, მეორე ადგილს ჯანდაცვის ხარისხის ამაღლება იკავებს, თუმცა ამ შემთხვევაში საქართველოში ცოტა განსხვავებული შეხედულება აქვთ: ჩვენთან ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესებაზე მეტად სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა მიაჩნიათ აქტუალურად. ამავე გამოკითხვის მიხედვით, ჩვენი მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანია დანაშაულისგან და ძალადობისგან დაცვა, პატიოსანი და ეფექტური მთავრობა და დისკრიმინაციისა და თვალთვალისგან თავისუფლება. საინტერესოა, რომ ჩვენი მოქალაქეების პრიორიტეტულ ექვსეულში ვერ მოხვდა ბუნებისა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, მაშინ როდესაც მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში ეს თემები მნიშვნელოვანი და პრობლემურია.

გაეროს გლობალური გამოკითხვის ჩატარებაში ადგილებზე პარტნიორი ორგანიზაციები ეხმარებიან. საქართველოში გამოკითხვის შესახებ კონსულტაციებს არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი" მართავს, რომელსაც თსუ-ის სოციალურ-პოლიტიკური მიმართულების სრული პროფესორი ნანა სუმბაძე ხელმძღვანელობს. ორგანიზაციის ინიციატივით 25 სექტემბერს უნივერსიტეტში გამოკითხვის შესახებ პრეზენტაცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ, პროფესურამ და სტუდენტებმა მიიღეს. ნანა სუმბაძის თქმით, ამ პროცესში მნიშვნელოვანია ისეთი ავტორიტეტული სასწავლო დაწესებულების მხარდაჭერა, როგორიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია. Myworld2015-ის გამოკითხვაში ასევე აქტიურად არის ჩართული საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტი. ძირითადი დახმარება, ამ შემთხვევაში, გამოკითხვის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში გამოიხატება, რათა შესაძლებელი გახდეს, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა შეძლოს საკუთარი შეხედულების დაფიქსირება.

გამოკითხვის შედეგები გაეროს გენერალური სამდივნოს უმაღლესი დონის მმართველობის იმ ჯგუფს გადაეცემა, რომელიც 2015 წლის შემდგომი მსოფლიოს განვითარების პროგრამაზე მუშაობს. პირველადი შედეგების განხილვა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე შედგება. შედეგების მიხედვით ჯგუფი მოამზადებს დასკვნით ანგარიშსა და რეკომენდაციებს განვითარების ახალი პრინციპების შესახებ და გააცნობს მათ როგორც გაეროს გენერალურ მდივანს, ისე მსოფლიოს ქვეყნების ლიდერებს.

მოამზადა
ლელა კურდღელაშვილმა

სიახლე

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი გადადგა

ნატო ოგოლაძე

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე გადადგა. ფაკულტეტზე დეკანის გადადგომის ერთერთ სავარაუდო მიზეზად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსის შეცვლის შედეგად უნივერსიტეტის წესდებაში შეტანილ ცვლილებებს ასახელებენ. ახალი კანონის მიხედვით, ფაკულტეტების დეკანებისთვის აკადემიური ცენზი დაწესდა და აღნიშნული თანამდებობის დაკავება მხოლოდ სრული ან ასოცირებული პროფესორის სტატუსის მქონე პირებს შეუძლიათ. იმ შემთხვევაში, თუ დეკანს აკადემიური ხარისხი არ აქვს, უფლებამოსილება კანონის ამოქმედებიდან 30 დღის ვადაში ავტომატურად უწყდება. ამ დროისთვის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას დეკანის მოადგილე აკაკი მიქაბერიძე ასრულებს.

„აკაკი ხელაძის დეკანის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, როგორც დეკანის მოადგილე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას დროებით შევასრულებ და დაველოდებით არჩევნებს. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების ჩატარების კონკრეტული ვადების შესახებ ინფორმაცია კი ჯერჯერობით არ გვაქვს," — განაცხადა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ აკაკი მიქაბერიძემ.

ასევე უცნობია არჩევნების ჩატარების თარიღი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

„ამჟამად, რევაზ ჯორბენაძესა და უნივერსიტეტს შორის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში დავა მიმდინარეობს (პირველ ინსტანციაში დავა უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადაწყდა). დავის საბოლოო დასრულებამდე უნივერსიტეტი მოკლებულია შესაძლებლობას — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეკანის არჩევნები ჩაატაროს, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ დაკმაყოფილდა რევაზ ჯორბენაძის შუამდგომლობა და დროებით, სადავო საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, შეჩერდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 3 ივნისის №67/2013 დადგენილების მოქმედება", — განმარტა თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ვასილ ბარამიძემ.

თსუ-ში დეკანის არჩევის წესიც შეიცვალა. მოქმედი „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, დეკანს ფაკულტეტის საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით აირჩევს.

ახალი კვების ობიექტი, ახალი ფასები, ახალი მენიუ...

შურთხია გეროშვილი

სამტრედიის მოუხდელი ყველით გაკეთებული ხაჭაპური, ცხელი „ოსტრი" და „ბორშჩი", ევროპული კერძები: სალათები, „სენდვიჩი", „ჰამბურგერი", „ჩისბურგერი", სოსისი რაგუთი — ეს არასრული ჩამონათვალია მენიუსი, რომელსაც თსუ-ის სტუდენტებს და მომსახურე პერსონალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოში ახლად გახსნილ სასადილოში სთავაზობენ. ყველაზე სასიამოვნო კი ის არის, რომ ფასები სხვა კაფეებთან შედარებით დაბალია, რის გამოც, დღეს, სასადილოში, რომელიც ორ წელზე მეტია გაუქმებული იყო, ხალხმრავლობაა.

სტუდენტებიც და ლექტორებიც დაუფარავად ამბობენ, რომ კვების პრობლემა მათთვის ერთერთი მნიშვნელოვანი და მტკივნეული საკითხი იყო და მიესალმებიან უნივერსიტეტში ამგვარი ობიექტების გახსნას. მათი აზრით, ასეთი სასადილოები პირველი კორპუსის გარდა, სხვაგანაც უნდა გაიხსნას, რადგან ზოგიერთ კორპუსში განთავსებული აპარატები, სადაც გამაგრილებელი სასმელები და ტკბილეული იყიდება, მათ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის გიორგი ტალახაძის ინფორმაციით ასეთი კვების ობიექტი მაღლივ კორპუსშიც გაიხსნება. „მაღლივ კორპუსში სასადილოს გახსნა იმიტომ შეფერხდა, რომ ამ ობიექტზე მეორედ გამოცხადდა კონკურსი. იმედია, ოქტომბრიდან კვების ობიექტი იქაც ამუშავდება. ჩვენი მხრიდან მთავარი მოთხოვნა ფასები და ხარისხი იყო. ინდმეწარმე ვალდებულია, ფასი სხვა ობიექტებთან შედარებით 5%-ით დაბალი იყოს. დამოუკიდებელი აუდიტის შეფასებით, ეს პირობა შესრულდა და ვფიქრობთ, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და მომსახურე პერსონალისთვის მისაღები პირობები იქნება".

გიორგი ტალახაძის ინფორმაციით, ინდმეწარმეებს უნივერსიტეტმა კიდევ ერთი პირობა წამოუყენა — მომავალში სტუდენტების დასაქმება, რაზედაც ინდმეწარმეები დათანხმდნენ.

გზავნილი ადმინისტრაციას

რექტორთან შეხვედრის შემთხვევაში რა საკითხს წამოწევდით?

მაია მარგველაშვილი,

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი, ტურიზმის მიმართულების ხელმძღვანელი:

„ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ვაჟა-ფშაველას №4-ში მდებარე ხუთ სართულიან შენობაში ხორციელდება. აქ 1600 ახალგაზრდა სწავლობს. საკმაოდ პრობლემატურია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ძალიან აქტუალური და საჭირბოროტო საკითხია ისიც, რომ ამ შენობაში არ არსებობს გათბობა. იქნებ გამოინახოს თანხები და ეს პრობლემა მოგვარდეს, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არ შეშვენის სტუდენტებისთვის მსგავსი პირობების შეთავაზება.

ჩემი დიდი თხოვნა იქნებოდა, რომ ბატონი რექტორი დაინტერესდეს კოლეგებს შორის ეთიკური ნორმების დაცვის საკითხით. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გახშირდა სოციალური ქსელების მეშვეობით აკადემიურ პერსონალს შორის ურთიერთშეურაცხმყოფელი განცხადებები, რაც ჩვენი აკადემიურობის დონეზე მიანიშნებს. დღევანდელი პროფესურის ქცევა სამწუხარო და შემაშფოთებელია. ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს — მივმართო რექტორს, რათა რაიმე მექანიზმით მათი ურთიერთობები დაარეგულიროს. ეს წაადგება სწავლის ხარისხსაც და უნივერსიტეტის სახელსაც".

მანანა რუსიაშვილი,

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ენის მიმართულების ხელმძღვანელი:

„ჩვენს მიმართულებაზე არის ისეთი პრობლემები, რომელსაც მიმართულების ხელმძღვანელი და ფაკულტეტი ვერ გადაწყვეტს, შესაბამისად, მათი მოგვარება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. უნივერსიტეტში შემოსვლის დროს სტუდენტის ცოდნა ინგლისურ ენაში ბ1 დონეს უნდა აკმაყოფილებდეს, მაგრამ უკეთეს შემთხვევაში ეს არის ა2 დონე. ეს გავლენას ახდენს სტუდენტის ცოდნის დონეზე, რომელსაც იგი სწავლების დასრულების შემდეგ მიაღწევს. ევროპული ჩარჩოს მიხედვით სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტის ენობრივი კომპეტენცია ბ2 დონეს უნდა შეესაბამებოდეს. ჩემი დიდი სურვილია — ეს ზღვარი გაიზარდოს ც1-მდე, თუმცა ამ კომპეტენციას მხოლოდ ის სტუდენტები მიაღწევენ, რომლებსაც უნივერსიტეტში შემოსვლისას უცხო ენის ცოდნის დონე მაღალი ჰქონდათ. ვფიქრობ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აუცილებლად უნდა გაატაროს რიგი ღონისძიებებისა, რომ ინგლისური ენის მიმართულების კურსდამთავრებულების კომპეტენცია გაიზარდოს. უპირველესად, უნდა გაიზარდოს ინგლისური ენის კვირეული დატვირთვა. რეფორმამდე სტუდენტები ამ სპეციალობას 5 წელი, კვირაში 13-დან 18 საათიანი დატვირთვით სწავლობდნენ. ახლა კი 4 წლის განმავლობაში კვირეული დატვირთვა 8 საათია და ამასთან ინგლისური ენა პირველსა და მერვე სემესტრში არ ისწავლება. ასევე, აქტუალური პრობლემაა ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტების სემინარების ჯგუფები. სასურველია ეს ჯგუფები უფრო მცირერიცხოვანი იყოს, რადგან ერთი ან ორი საათის განმავლობაში პედაგოგი ყველა სტუდენტის გამოკითხვას ვერ ასწრებს.

პროფესურას, განსაკუთრებით კი უცხო ენების სპეციალისტებს, აუცილებლად ესაჭიროებათ ინტერნაციონალიზაცია, რისი საუკეთესო საშუალებაც საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობაა. ფაკულტეტზე გამოყოფილი თანხა პროფესორების კონფერენციებზე გასამგზავრებლად საკმარისი არ არის. ამიტომ აუცილებელია, უნივერსიტეტმა დამატებითი სახსრები გამოყოს. შესაძლოა, თსუ-მ ყველას დაფინანსება ვერ შეძლოს, მაგრამ საერთაშორისო კონფერენციაზე მიწვეული პროფესურისთვის დააწესოს შიდა კონკურსი და შედეგების მიხედვით გადაწყვიტოს — კონკურსის რომელი მონაწილე დაფინანსდება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია".

ამირან გერძენიშვილი,

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

„თსუ-ის რექტორმა ლადო პაპავამ იცის, რომ უნივერსიტეტში საკმაოდ ბევრი პრობლემებია მოსაგვარებელი, თუმცა მე, როგორც პროფესორი, გამოვყოფ რამდენიმე საკითხს, რომელსაც რექტორმა პირველ რიგში მინდა მიაქციოს ყურადღება. მინდა აღვნიშნო თსუ-ის მაგისტრატურაში არსებული პრობლემები. მდგომარეობა სავალალოა. ამას მაგისტრანტების რაოდენობაც მიანიშნებს. წარმატებულ უნივერსიტეტში მაგისტრანტების რაოდენობა ბაკალავრების რაოდენობის 30%-ს შეადგენს, ჩვენთან კი საუკეთესო შემთხვევაში 10%-იც არ არის. ეს მდგომარეობა რამდენიმე მიზეზით არის გამოწვეული — მაგისტრატურაში ლექციები, ძირითადად, საღამოს საათებშია დანიშნული, ამ დროს კი როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორების შრომისუნარიანობა კლებულობს. მოუწესრიგებელია საუნივერსიტეტო დაფინანსების სისტემაც. არის შემთხვევები, როდესაც მაგისტრატურის გამოცდების ჩაბარების შემდეგ სტუდენტები იღებენ დაფინანსებას, თუმცა თანხა სწავლის დაწყების შემდეგ ერიცხებათ, მანამდე კი თავად უწევთ საჭირო ფინანსების მოძიება, რასაც ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებენ. თუ მაგისტრატურაში ვითარების გამოსწორებაზე არ ვიზრუნებთ, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებასაც ვერ შევძლებთ. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც მოგვარებას საჭიროებს — მეცნიერების განვითარებაა. ამ პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მინისაგრანტო სისტემის შემოღება. ვისაუბრებ აუდიტორიებზეც, ეს არის ჩვენი „აქილევსის ქუსლი". უნივერსიტეტში არსებობს აუდიტორიები, სადაც ლექციების წაკითხვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. მაგალითად, მეორე კორპუსის 048 აუდიტორია, სადაც ისეთი აკუსტიკაა, რომ საუბრისას ხმის ექო უკან მიბრუნდება და ბოლო რიგებში მსხდომ სტუდენტებამდე ნორმალურად არ მიდის. მართალია, დადგეს მიკროფონი, მაგრამ საკმაოდ გაუმართავია. სამწუხაროდ, ორივე ლექცია ძირითად საგნებში ამ აუდიტორიებში მაქვს დანიშნული. ერთ ლექციას პირველ კორპუსში ვკითხულობ იმავე ჯგუფთან და არაჩვეულებრივი შედეგიც მაქვს. ამიტომ ვამბობ, რომ თუ არ გვაქვს საკმარისი აუდიტორიები, მაშინ ნუ მივიღებთ სტუდენტებს დიდი რაოდენობით. ასევე დაუშვებელია, სემინარის ჯგუფი 75 სტუდენტისგან შედგებოდეს. 50 წუთში შეუძლებელია, მათი საფუძვლიანი გამოკითხვა მოასწრო. აღნიშნულ პრობლემებზე დაფიქრება და მათ მოსაგვარებლად კონკრეტული ქმედებების დაწყება აუცილებელია".

მოამზადა **ნატო ოგოლაძემ**

ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ ᲛᲣᲮᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲔᲙᲕᲐᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ

მეორე გვერდიდან

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ

სწავლების ხარისხი, სასწავლო ლიტერატურის დეფიციტი, სილაბუსების სასწავლო პროგრამასთან შეუთავსებლობა და პროფესორთა კვალიფიკაცია – ეს იყო თემა, რომელზეც რექტორთან შეხვედრისას სერიოზული მსჯელობა გაიმართა.

ᲐᲠᲐᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ და უხარისხოდ თარგმნილი სასწავლო ლიტერატურის საკითხი დასვა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ანა მაჭავარიანმა. „ჩემს მიმართულებაზე არ არის ნათარგმნი სახელმძღვანელოები. ზოგიერთი საგნის გავლა ისე გვიწევს, რომ ამ საგანში სახელმძღვანელო არ არსებობს და ლექტორის მითითებით ვიკიპედიიდან ვთარგმნით მასალებს. ხოლო რა სახელმძღვანელოებიც გვაქვს, არავინ აქცევს ყურადღებას, არის თუ არა ეს სახელმძღვანელოები უნივერსიტეტის დონის შესაბამისი.

გარდა ამისა, გვაქვს კვალიფიციური ლექტორების პრობლემაც — უნდა განისაზღვროს, იძლევა თუ არა ლექტორი იმ ცოდნას, რაც უნივერსიტეტის დონეს შეესაბამება. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ დასწრებაა არა მარტო საგნების, არამედ, ლექტორების არჩევაზეც. ხშირ შემთხვევაში სტუდენტები იმის გამოც არ ირჩევენ საგანს, რომ ლექტორი არ მოსწონთ. ვფიქრობთ, ეს ორი პრობლემა აუცილებლად უნდა გადაიჭრას: ლექტორებს უნდა შეეძლოთ — აიმაღლონ კვალიფიკაცია და უკეთესები გახდნენ სწავლებაში“, — აღნიშნა ანა მაჭავარიანმა.

კიდევ უფრო კრიტიკული იყო ამავე ფაკულტეტის სტუდენტი ანამარია ბრაგვაძე: „როცა შარშან პირველად მოვდიოდი უნივერსიტეტში, მეგონა, რომ აქ არ ვისწავლიდი ზუსტად ისეთი ფორმებით და მეთოდებით, როგორც სკოლაში ვსწავლობდი. როცა ლექტორმა პირველად განაცხადა აუდიტორიაში: დაფასთან გამოდით და სოციოლოგიის ერთერთი თავი — დაახლოებით 30 თაბახი, მოყევით ზეპირად, ხოლო დანარჩენმა 50-მა კაცმა მოუსმინეთ და რომელ სიტყვაზეც გავაჩერებ სტუდენტს, იმ სიტყვიდან გააგრძელეთო, გაოცებული დავრჩი. ხოლო როცა გეოგრაფიის ლექტორმა პირველ სემინარზე გვითხრა — „ქვიზს“ ვწერთ, ორი თაბახი ამოხიეთ რვეულიდან და ევროპის ათი ქვეყანა ჩამოწერეთ თავისი დედაქალაქებითო, გამახსენდა ჩემი სკოლის მეცხრე კლასი — მას შემდეგ სწავლების ასეთი ფორმა გეოგრაფიის გაკვეთილზე აღარ ყოფილა. სიმართლე გითხრათ, ძალიან შემრცხვა და ახლა, როცა დედაჩემს და დეიდაჩემებს ჰგონიათ, რომ კარგ უნივერსიტეტში ვსწავლობ და, თსუ, როგორც საიტზე გვამცნობენ, ლიდერი უნივერსიტეტია საქართველოში, ძალიან ვღიზიანდები. ასევე, მინდა ვთქვა პრეზენტაციების თაობაზეც — ეს თურმე იმას ნიშნავს, რომ უნდა გამოხვიდე და მოცემული მასალა მოყვე ზეპირად — არანაირი მოსაზრება, კონტრარგუმენტი, ამ თემაზე ვინმე სხვა მეცნიერის მოსაზრება და ა.შ. არ მგონია, რომ რომელიმე წამყვან უნივერსიტეტში სწავლება იგივე ფორმით ხდებოდეს. ვაღიარებ, ბევრი კარგი ლექტორი შემხვდა, მაგრამ არც ხელის დაფარებას ვაპირებ ვინმეზე“, — განაცხადა მან.

ᲚᲐᲓᲝ ᲞᲐᲞᲐᲕᲐ: ᲜᲣ ᲛᲝᲛᲗᲮᲝᲕᲗ ᲝᲠ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲠᲔᲑᲐᲡ, ᲝᲗᲮᲘ ᲬᲚᲘᲗ ᲕᲐᲠ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲕᲐᲓᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ.

სტუდენტთა პრეტენზიები ასევე შეეხებოდა ინგლისური ენის სწავლების საკითხს. აღინიშნა, რომ ენის სასწავლად არ არის გამოყოფილი საკმარისი კრედიტები, სასწავლო პროგრამა კი არ არის აგებული ისე, რომ უნივერსიტეტის დასრულებისას სტუდენტმა B2 დონეს მიაღწიოს. „სავალდებულო ინგლისურს ვსწავლობთ მხოლოდ პირველ კურსზე და შემდეგ უკვე, ინგლისურთან შეხება, ფაქტობრივად, აღარ გვაქვს. ენა ისეთი რამაა, თუ სისტემატურად არ სწავლობ, ან კერძო მასწავლებელი არ აიყვანე, გავიწყდება, არადა, სამეცნიერო ლიტერატურის კითხვას უფრო მაღალი დონე სჭირდება უცხო ენაში“, — განაცხადა ანამარია ბრაგვაძემ.

უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებულ პრობლემაზე და წელს შემუშავებულ მოდელზე ისაუბრა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ნანი მაჭარაშვილმა: „გეთანხმებით, რომ 10 კრედიტი არაა საკმარისი ენის შესასწავლად. ზოგს 10 სჭირდება, ზოგს — გაცილებით მეტი, ამიტომ, თუ მხარს დამიჭერთ, რომ გაიზარდოს ინგლისური ენის სწავლების კრედიტები, მივიღებთ შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროგრამას, ანუ გაითვლება სტუდენტის საჭიროებაზე მორგებული სასწავლო პროგრამა B2 დონის მისაღწევად.

ჩემი ინიციატივით, წელს პირველკურსელებისთვის ჩატარდა ტესტირება დონეების განსაზღვრის მიზნით. ამ სტუდენტების სწავლებაც იმის მიხედვით მოხდება, რა დონის ინგლისური იცის და რა ეტაპიდან სჭირდება გაძლიერება. წლევანდელ ტესტირებაზე ძალიან მაღალი შეფასებები დაფიქსირდა, ამდენად, მათი სწავლებაც შესაბამისი სიძლიერის პროგრამით და კრედიტების რაოდენობით მოხდება.

ასევე უნდა გითხრათ ახალი ინიციატივის შესახებ – მომავალში თუ ამ ტურებში B2 დონე დაფიქსირდება და შესაბამისი სერტიფიკატიც იქნება წარმოდგენილი, სტუდენტი გათავისუფლდება 10 კრედიტიანი საგნის გავლის ვალდებულებისგან. თუმცა, ეს არის მხოლოდ ინიციატივა, რომელიც ჯერ ფაკულტეტის საბჭოზე იქნება გატანილი და შემდეგ მიეცემა მსვლელობა.

ასევე პრობლემურია ზოგიერთი ლექტორის საკითხი — არის ლექტორთა კატეგორია, რომელიც არ აკმაყოფილებს სტუდენტის მოთხოვნას. ასეთ შემთხვევაში შევიმუშავებთ სტუდენტების შეფასების კითხვარს და მას ექნება შესაძლებლობა, ყოველი ლექციის შემდეგ შეაფასოს ლექტორი. შედეგები თავს მოიყრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და, ჩემი აზრით, ეს უნდა გახდეს დოკუმენტი ლექტორის სწავლების დონის განსაზღვრისთვის“, — აღნიშნა ნანი მაჭარაშვილმა.

შეხვედრაზე დაისვა საკითხი სილაბუსების სასწავლო პროგრამასთან შეუთავსებლობის შესახებ. სტუდენტებმა მოითხოვეს უნივერსიტეტის საიტზე დაიდოს ყველა საგნის სილაბუსი, რომ მათ არჩევანის გაკეთება შეძლონ. „პირადადაც გამოვცადე და როგორც ვიცი, ხშირად ხდება, რომ ერთ ლექტორთან გავლილი საგნის პირველი ნაწილი არ ემთხვევა მეორე ნაწილს, რომელსაც სხვა ლექტორთან სწავლობ, რადგან ლექტორებს ეს საგანი სხვადასხვანაირად აქვთ მომზადებული. ამის გამო გვიწევს პირველი ნაწილის თავიდან სწავლა“, — განაცხადა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ალექსანდრე ხანთაძემ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ყველა საგნის სილაბუსი დაიდოს საიტზე. „უფრო მეტიც, საიტზე უნდა იდოს არა მხოლოდ უნივერსიტეტის სასწავლო საგნების, არამედ უცხოური უნივერსიტეტების ძირითადი, წამყვანი საგნების სილაბუსებიც, რათა სტუდენტმა ნახოს, როგორ ისწავლება ეს საგანი იქ. ეს დავალება ასევე მიეცემათ ფაკულტეტების დეკანებს“, — აღნიშნა მან.

შეხვედრის ერთერთი საკვანძო საკითხი იყო სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო მუშაობაში და მათი საერთაშორისო კონფერენციებზე მივლინების ხელშეწყობა. „არ ხდება უცხოეთის სამეცნიერო კონფერენციებზე სტუდენტთა მივლინების დაფინანსება ან გასაიდუმლოებულია დაფინანსებული მივლინებები. მაგალითად, შარშან იყო შემთხვევა, როცა ჩეხეთში სამეცნიერო კონფერენციაზე წარსაგზავნი სტუდენტთა ჯგუფი Facebook-ით, ნაცნობობით შეირჩა“, — აღნიშნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა მეგი საჯაიამ.

სტუდენტთა სამეცნიერო კვლევაში ჩართვის აუცილებლობას ხაზი გაუსვა უნივერსიტეტის რექტორმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ აუცილებელია, ფაკულტეტებზე არსებობდეს სამეცნიერო წრეები. პროფესორები უნდა დაინტერესდნენ ამ წრეების მუშაობით. „ხარისხის მართვის სამსახურმა ალბათ უნდა გაითვალისწინოს, რომ სტუდენტებთან მუშაობის ეს ფორმა აისახოს პროფესორის დატვირთვაში. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში პროფესორის დაინტერესება გაიზრდება“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

„სტუდენტისთვის ხარისხიანი სასწავლო მასალის მიწოდება ჩემი საარჩევნო პროგრამის ერთერთი პრიორიტეტი გახლდათ. წინა შეხვედრაზე ყველა დეკანს მიეცა დავალება, რომ არა უგვიანეს 10 ოქტომბრისა, მათ უნდა წარმოადგინონ სრული სია ყველა იმ სახელმძღვანელოსი, რომელიც არის დასაწერი ან სათარგმნი არის. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს აქვს 126 ათასი ლარი საჭირო სახელმძღვანელოების თარგმნისთვის. დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ნანი მაჭარაშვილმა მოითხოვა, რომ ეს თანხა დარჩეს ფაკულტეტზე და არ დაუბრუნდეს უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტს, რადგან მისი ათვისება ვერ მოესწრება. ჩვენ დავთანხმდით, მაგრამ აუცილებელია ეს თანხები ავითვისოთ და ხარისხიანი ლიტერატურა მივიღოთ.

თარგმნასთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია იგივე რჩება — ჩვენ არ გვჭირდება მთარგმნელები, ლიტერატურა უნდა თარგმნონ ჩვენმა პროფესორებმა.

გარდა ამისა, უნდა მოვახერხოთ არსებული ლიტერატურის ციფრულ ფორმატში გადაყვანა, რადგან სახელმძღვანელოს დაბეჭდვა ფუფუნებაა და ციფრულ ფორმატში გადაყვანილი ლიტერატურა სამომავლოდაც დაგვრჩება. აქვე უნდა ვთქვა, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თავად შემოგვთავაზა დაფინანსება ლიტერატურის შესასყიდად. ამ საკითხსაც განვიხილავთ და ახლო მომავალში კონკრეტული პროექტებით წარვდგებით განათლების სამინისტროს წინაშე.

რაც შეეხება პროფესორთა კვალიფიკაციას, ყველაზე კარგი შემფასებელი პროფესორის სალექციო კურსისა და მისი პედაგოგიური მოღვაწეობისა, არის სტუდენტი. აქ ისეთი მაგალითები მოიყვანეს, რომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ძალიან გთხოვთ — მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდოთ პროფესორების შეფასების საკითხს. ვთხოვ ხარისხის მართვის სამსახურს — ერთად ვიმუშაოთ, რომ კონკურსში აყვანის დროს გავითვალისწინოთ, როგორია სტუდენტების მიერ ლექტორის შეფასების მაჩვენებელი. შეიძლება გავაჩინოთ მუხლი კონტრაქტში, რომ თუ პროფესორი ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ დონეს, იგი შეიძლება გახდეს ჯერ გაფრთხილების და მერე კონტრაქტის შეწყვეტის საფუძველი.

უნივერსიტეტში არსებობს „ა“ და „ბ“ კონტრაქტი და ძირითადად პროფესორის ანაზღაურება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ აუდიტორიულ საათს ჩაატარებს. მისი ანაზღაურება მიბმული არ არის მის სხვა აქტივობასთან: სამეცნიერო მუშაობასთან, სტუდენტების კონსულტაციასთან... ანუ სრულდება ხელფასის ერთი კომპონენტი და იგულისხმება, რომ პროფესორი მეორე კომპონენტს ასრულებს. შეხვედრა მქონდა ხარისხის მართვის სამსახურის უფროსთან, რომელმაც საინტერესო სქემა წარმოადგინა სწორედ ამ მეორე კომპონენტის შესავსებად. ეს მოიცავს დოქტორანტის ხელმძღვანელობისთვის, მაგისტრანტის ხელმძღვანელობისთვის პროფესორის ანაზღაურებას... პროექტი უკვე წარმოდგენილია და მას უახლოეს პერიოდში მივაწვდი ფაკულტეტებს განსახილველად... არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს პროექტი იდეალურია, მაგრამ განხილვისთვის მზად არის“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

მოამზადა **ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ**

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲧᲐᲣᲮᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ

26 სექტემბერს თსუ-ის ემიგრაციის მუზეუმს საქართველოს პირველი პარლამენტის — საქართველოს ეროვნული კრების წევრის, მიხეილ ყაუხჩიშვილის არქივის ნაწილი გადაეცა.

არქივი საქართველოში ჩამოიტანეს და უნივერსიტეტს გადასცეს მიხეილ ყაუხჩიშვილის შვილიშვილმა ელენე ყაუხჩიშვილმა და რძალმა – ფრანჩესკა მელური-ყაუხჩიშვილმა.

არქივის გადაცემისადმი მიძღვნილი ღონისძიება გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის დირექტორმა მაია გურაბანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ისეთი პატარა ქვეყნები, როგორიც საქართველოა, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ თავისი წარსულის მიმართ, რაც მათი თვითგადარჩენის ერთერთი განმსაზღვრელია. „მემკვიდრეობა, რომელიც მიხეილ ყაუხჩიშვილის ოჯახმა გადმოგვცა, ჩვენთვის ძალიან ძვირფასია, რადგან ამით საქართველოს დაუბრუნდა ემიგრანტი შვილის ნაშრომი და ნააზრევი. მადლობა ამისთვის მის ოჯახს“, — განაცხადა მან.



მიხეილ ყაუხჩიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრა ემიგრაციის მუზეუმის ხელმძღვანელმა რუსუდან კობახიძემ. „ემიგრაციის მუზეუმში დაბინავებულ უმდიდრეს და უმნიშვნელოვანეს ხელნაწერ და ბეჭდურ ფონდს კიდევ ერთი დიდი ქართველი მამულიშვილის მიხეილ ყაუხჩიშვილის არქივი შეემატა. დღეს ჩამოვიდა არქივის ნაწილი, უახლოეს მომავალში დანარჩენსაც მივიღებთ“, — განაცხადა რუსუდან კობახიძემ.

მიხეილ ყაუხჩიშვილის რძალმა, ფრანჩესკა მელური-ყაუხჩიშვილმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულითადი მიღებისთვის.

იტალიელ სტუმრებს მიხეილ ყაუხჩიშვილის ძმის, სიმონ ყაუხჩიშვილის ოჯახმა – შვილიშვილმა ლია ჯინორიამ და სიძემ – თსუ-ის პროფესორმა რისმაგ გორდეზიანმა უმასპინძლეს. „ერთერთი გამორჩეული ქართველი ემიგრანტის არქივი დაბრუნებას იწყებს საქართველოში და აქ, ემიგრაციის მუზეუმში დაიმკვიდრებს სამუდამო ადგილს. მინდა, მადლობა ვუთხრა ემიგრაციის მუზეუმის ხელმძღვანელობას, თსუ-ის მუზეუმს, რათა აქ ასეთ თბილ გარემოში შექმნეს შესაძლებლობა ამ მასალების გადმოცემისა“, — განაცხადა რისმაგ გორდეზიანმა.

მოამზადა **ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ**

სტუდ-ეტიკეტი

№3

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა გადასახედია

16 სექტემბერს რექტორთან შეხვედრაზე სტუდენტებმა, სხვა პრობლემურ საკითხებთან ერთად, სტუდენტური თვითმმართველობის საკითხიც დასვეს.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა თეკლა ჯამრულიძემ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა კომუნიკაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის პრობლემას: „ეს ორი პრობლემა ურთიერთკავშირშია — დღეს სტუდენტური თვითმმართველობა წარმოდგენილია, როგორც საფაკულტეტო საბჭოებში, ასევე, წარმომადგენლობით საბჭოში, თუმცა სტუდენტების უმრავლესობას წარმოდგენა არ აქვს, რა ხდება ამ საბჭოებში, როგორ იღებენ გადაწყვეტილებას და რაზეა საუბარი. ეს იმის ბრალია, რომ სტუდენტური თვითმმართველობა არ არის წარმომადგენლობითი. ვფიქრობ, რომ სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა გადასახედია — თვითმმართველობას უნდა გაუძლიერდეს წარმომადგენლობითი ფუნქცია. ხოლო რაც შეეხება აღმასრულებელ ფუნქციას, უნდა არსებობდეს თავისუფალი საგრანტო განრიგი, როგორც ეს ნორმალურ უნივერსიტეტებში ხდება – ანუ თვითმმართველობას არავითარი ბიუჯეტი არ უნდა ჰქონდეს, პირიქით, უნდა გაუძლიერდეს წარმომადგენლობითი ფუნქცია“, — აღნიშნა მან.

ამავე ფაკულტეტის სტუდენტმა ანამარია ბრაგვაძემ თვითმმართველობის წარმომადგენელს მიმართა, გაეხსენებინა გასულ სემესტრში ჩატარებული ღონისძიებები და ჩამოეთვალა, რომელი იყო მათ შორის ისეთი, რომელიც სტუდენტის ცოდნისა და თვალსაწიერის გაფართოებას ემსახურებოდა: „მინდა თვითმმართველობის პრეზიდენტმა სტუდენტებს გაგვცეს პასუხი: რა „ივენთებსაც“ გადავხედე, მთელი წლის განმავლობაში იყო ორ ჯუჯასთან შეხვედრა, „ცეკვავენ ვარსკვლავების“ წყვილებთან შეხვედრა, პირველობა ფეხბურთში (რაც ძალიან კარგია), ასევე, შეხვედრა ვიღაც პოეტ ზურა სალუქვაძესთან, რომელიც მისივე ფილმის ჩვენებით დასრულდა. მაინტერესებს, რა გააკეთა თვითმმართველობამ ამ „ივენთების“ გარდა? თვითმმართველობის და, ზოგადად, საუნივერსიტეტო ღონისძიებებზე მე უნდა ვვითარდებოდე და არ უნდა ვუყურებდე ზურა სალუქვაძის ვიდეოებს, რომლის ნახვა YouTube-ზე, სურვილის შემთხვევაში, თავადაც შემიძლია. მაინტერესებს, რას აკეთებდა თვითმმართველობა წინა ერთი წლის განმავლობაში, როცა ვიყავი პირველ კურსზე? აქვე მინდა ვთქვა, რომ ეს მხოლოდ ნაწილია თვითმმართველობის მიერ ჩატარებული „ღონისძიებებისა“. არაფერს ვიტყვი იმაზე, თუ როგორ სცემდნენ ისინი თავიანთ თანატოლებს და როგორ რჩებოდნენ დაუსჯელნი. ის კი არა და, მათი ნაწილი სამინისტროებში მოგვევლინა დიდ თანამდებობებზე, ნაწილი – უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში... “

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ნინო ტურიაშვილმა თვითმმართველობის მიერ წინა წლებში ინსპირირებული ძალადობის ფაქტები გაიხსენა და იკითხა: „რატომ იკავებენ დღემდე თანამდებობებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში თვითმმართველობის ის წევრები, რომლებიც შემჩნეულნი იყვნენ სტუდენტების ცემაში. როდის დასრულდება ეს დაუსჯელობის სინდრომი?“

> ლადო პაპავა: უნივერსიტეტში არ უნდა არსებობდეს ერთი პრივილეგირებული ორგანიზაცია, რადგან ეს ძალიან ჰგავს კომკავშირს

შეხვედრაზე სტუდენტთა წარმომადგენლობის გაზრდაზე ისაუბრა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ნანი მაჭარაშვილმა, რომელმაც შესთავაზა შეკრებილ სტუდენტებს აირჩიონ წარმომადგენელი იმ კომისიაში, რომელიც ფაკულტეტზე შემოსული პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებაში მიიღებს მონაწილეობას. დარბაზიდან წამოსული რეპლიკების მიხედვით, სტუდენტები არ დაკმაყოფილდნენ კომისიაში ერთი წევრის წარდგენით, რადგან, მათი აზრით, თვითმმართველობას ასეთ კომისიებში და წარმომადგენლობით ორგანოებში უპირატესობა აქვთ, რაზეც უპასუხეს, რომ სტუდენტური თვითმმართველობა არსებული რეალობაა — მისი არსებობა ამ ფორმით კანონითაა განსაზღვრული.

შეხვედრის ბოლოს უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ განაცხადა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ თავადაც იცის და მომავალში ამ ორგანიზაციას საკუთარი ბიუჯეტი აღარ ექნება, პროექტების დაფინანსება კი მოხდება კონკურსის წესით. „თვითმმართველობა არც მე მომწონს, მაღიზიანებს და მისი შექმნის დღიდანვე მაქვს ჩემი პროტესტი. რეალობა არის ასეთი: ამ სტრუქტურის არსებობა უნივერსიტეტში კანონით არის განსაზღვრული. ჩვენ კანონს ვერ დავარღვევთ, მაგრამ არის ასეთი ცნობა: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ინტენსიურად მუშაობს ახალ კანონზე და დიდი ალბათობით (არ მინდა შეცდომაში შეგიყვანოთ, მაგრამ იმ ინფორმაციით, რაც მე გამაჩნია), ასეთი ორგანიზაცია აღარ იქნება დაფიქსირებული“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

შეხვედრაზე მკაფიოდ ითქვა, რომ უნივერსიტეტი არის აპოლიტიკური ორგანიზაცია და ადამიანები პოლიტიკური შეხედულებების გამო არ უნდა იდევნებოდნენ. „მეგობრებო, თუ რომელიმე თქვენგანი იგრძნობთ პოლიტიკური ნიშნით ზეწოლას, არ მოგერიდოთ, დაუყოვნებლივ მობრძანდით ჩემთან. თვითონ ვარ მოწინააღმდეგე ნებისმიერი პოლიტიკური ზეწოლისა – არანაირი პოლიტიკური ვალდებულება არცერთ პოლიტიკურ ძალასთან არ გამაჩნია და ჩათვალეთ, რომ მზად ვარ, ვიყო იმის გარანტი, რომ ასეთი პოლიტიკური თამაში არ მიმდინარეობდეს“, — მიმართა რექტორმა სტუდენტებს.

მოამზადა **მაია ტორაძემ**

თვითმმართველობა რექტორთან შესახვედრად ემზადება

ეოთხე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობა სწავლის დაწყებასთან ერთად თავის საქმიანობას შეუდგა. ამ წელსაც იგი, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით, თითოეული ფაკულტეტის, თითოეული კურსის სტუდენტს შესთავაზებს სხვადასხვა ღონისძიებებს, იქნება ეს საგანმანათლებლო, კულტურული თუ სპორტული. სახელმწიფო უნივერსიტეტებში კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტური თვითმმართველობის არსებობასა და საქმიანობას, არ შეცვლილა. შესაბამისად, ეს სტრუქტურა მუშაობს ჩვეულ რეჟიმში და აგრძელებს სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას.

სოფიო ჩიტაძე

უნივერსიტეტს ახალი სისხლი შეემატა პირველკურსელების სახით. თვითმმართველობა იმედოვნებს, რომ ნორჩი სტუდენტები მაქსიმალურად ჩაერთვებიან საუნივერსიტეტო საქმიანობაში, თავად კი მზად არიან მხარში დაუდგნენ მათ ახალ იდეებს, პროექტებსა და წამოწყებებს.

16 სექტემბერს ლადო პაპავა სტუდენტებს შეხვდა და მათი მხრიდან პრობლემების შესახებ მოსაზრებები მოისმინა. შეხვედრას ვერ დაესწრო სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი სოფიო ჩიტაძე. მან განაცხადა, რომ იგი არ ფლობს ინფორმაციას კონკრეტულ საკითხებზე, თუ რაზე მიმდინარეობდა საუბარი შეხვედრისას, შესაბამისად კომენტარისგან თავი შეიკავა.

სტუდენტების გარკვეული ნაწილი პროტესტს გამოთქვამს, რომ არ არის უნივერსიტეტში მათი უფლებები დაცული. ხშირად ამაში სტუდენტურ თვითმმართველობასაც ადანაშაულებენ. ორგანიზაცია კი მიმართავს ყველა სტუდენტს — ნებისმიერი პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში, რომელიც ხელყოფს და ლახავს კანონით განსაზღვრულ მათ უფლებებს, მიმართონ თავიანთი ფაკულტეტის სტუდენტურ თვითმმართველობებს ან მიბრძანდნენ ცენტრალურ თვითმმართველობაში. ისინი გვპირდებიან, რომ შეძლებისდაგვარად აუცილებლად დაეხმარებიან მათ, რათა სტუდენტის უფლებები იყოს დაცული ჩვენს უნივერსიტეტში.

სტუდენტებს ძირითადი პრობლემები აქვთ განათლების ხარისხთან დაკავშირებით, თუმცა სოფიო ჩიტაძე თვლის, რომ თუ სტუდენტი მოტივირებული და მონდომებულია, უნივერსიტეტში არსებობს საკმაოდ დიდი რესურსი იმისათვის, რომ სტუდენტმა მიიღოს კარგი განათლება. რა თქმა უნდა, არსებობს რიგი პრობლემებისა, მაგალითად სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების არარსებობა და სხვა, რომელიც უნდა გამოსწორდეს.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი არ ეთანხმება იმ აზრს, რომ სტუდენტებს არ მოსწონთ და არ აინტერესებთ ის ღონისძიებები, რასაც თვითმმართველობა ატარებს. მან ამ კითხვაზე დასაბუთებული პასუხი გაგვცა: „ჩამოვთვალი იმ ღონისძიებებს, რომელიც ჩავატარეთ: ინტელექტუალური თამაში — „რა? სად? როდის?“, რომელშიც 1000-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა; გაეროს მოდელირება; ნატოს მოდელირება; დასაქმების ფორუმი; იმიტირებული სასამართლო პროცესები და სხვა, რომელშიც სტუდენტების დიდი აქტიურობაა დაფიქსირებული; მურმან ჯინორიას მონო სპექტაკლი, რომელსაც 1000-ზე მეტი სტუდენტი ესწრებოდა; სპორტული ღონისძიებები და აშ. — ამ ჩამონათვალის შემდეგ ვერ ჩავთვლი, რომ ეს არის ის ღონისძიებები, რომლებიც სტუდენტებს არ აინტერესებთ. ამ ფაქტებისა და არგუმენტების შემდეგ ცოტა რთულია მათი უინტერესობის მტკიცება, რადგან რეალურად, უნივერსიტეტის მასშტაბით, საკმაოდ დიდი რაოდენობა არის ჩართული ამ პროექტებში. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ — ჩვენი ღონისძიებებით მოვიცვათ სტუდენტების სხვადასხვა სექტორი, თითოეულ სტუდენტს განსხვავებული ინტერესები აქვს, შესაბამისად შეუძლებელია ყველას აინტერესებდეს ერთი და იგივე პროექტი“, — გვითხრა მან.

თვითმმართველობა ღიაა ნებისმიერი იდეისთვის, ნებისმიერი წამოწყებისთვის. იგი შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად დაუდგება გვერდით იმ ადამიანებს, ვისაც ექნებათ ახალი, განსხვავებული და საინტერესო პროექტები, თუნდაც არ იყვნენ ისინი სტუდენტური თვითმმართველობის წევრები. წინა სემესტრში მათ მხარი დაუჭირეს სტუდენტების რამდენიმე ახალ წამოწყებას. ამ სემესტრშიც მათთან უკვე შესულია სხვადასხვა სტუდენტური ჯგუფების მიერ ინიცირებული პროექტები.

სტუდენტების გარკვეული ნაწილი ალაპარაკდა იმის თაობაზე, რომ შეიძლება საკითხი დადგეს თვითმმართველობების გაუქმების შესახებ. „მე ერთი რამ შემიძლია ვთქვა რეალურად, რომ დღეს სტუდენტური თვითმმართველობა არსებობს, აგრძელებს თავის საქმიანობას, მზად არის ახალი გამოწვევებისთვის, გარდა იმისა, რომ იდგეს სტუდენტობის გვერდით და მზად არის დაეხმაროს მათ ახალ საინტერესო წამოწყებებში,“ — განაცხადა სოფიო ჩიტაძემ.

სოფიო ჩიტაძეს თსუ-ის ახალ რექტორთან შეხვედრა ჯერ არ ჰქონია. მან განაცხადა, რომ წინასწარ საუბარი რაიმე სახის ცვლილებებზე ნაადრევია. რექტორთან შეხვედრა ახლო მომავალში იგეგმება.

თაკო ჯავახიშვილი
სტუდენტური თვითმმართველობის წევრი, სტუდენტი

„ახალგაზრდა ადვოკატები“ სტუდენტებისგან საუკეთესო საპროექტო წინადადებებს ელიან

ნატო ოგოლაძე

„ახალგაზრდა ადვოკატები“ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის სამართლებრივი ანალიზის დაწყებას სთავაზობენ. პროექტის — „სტუდენტები გამჭვირვალე სტუდენტური თვითმმართველობისთვის“ ფარგლებში ახალგაზრდებს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის პრიორიტეტებისა და ფინანსების ხარჯვითი ნაწილის შესწავლა დაევალებათ, ისინი ასევე გააანალიზებენ, თუ რამდენად შეესაბამება თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტები სტუდენტების ინტერესებს და ა.შ. პროექტი სამი თვის განმავლობაში გაგრძელდება და მის განხორციელებაში მონაწილეობას სტუდენტთა ის ჯგუფი მიიღებს, რომელიც „ახალგაზრდა ადვოკატებს“ საუკეთესო საპროექტო წინადადებას შესთავაზებს. იგეგმება სპეციალური გაზეთის გამოშვებაც, სადაც პროექტის მიმდინარეობისა და ჩატარებული კვლევების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება.

„გაზეთი 4 გვერდიანი იქნება და თვეში 2-ჯერ გამოიცემა. ვფიქრობ, რომ აღნიშნული პროექტი სტუდენტებს პროფესიულ ზრდაში დაეხმარება და საზოგადოებას სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის დეტალებსაც უკეთ გააცნობს. პროექტში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტებმა 4-5 კაციანი ჯგუფები უნდა შექმნან და ორგანიზაციაში საპროექტო განაცხადი საინიციატივო ჯგუფის სახელით შემოიტანონ. ეს იქნება სამ თვიანი პროექტი, რომლის დასრულებასაც დეკემბრის თვეში ვგეგმავთ. მინდა გითხრათ, რომ კანონით სტუდენტებს აქვთ უფლება დაინტერესდნენ, თუ რას საქმიანობს სტუდენტური თვითმმართველობა, რამდენად სწორია მათი პრიორიტეტები და რამდენად სწორად იხარჯება სტუდენტური ცხოვრებისთვის გამოყოფილი ფინანსები“, — განაცხადა „ახალგაზრდა ადვოკატების“ ერთერთმა ხელმძღვანელმა არჩილ კაიკაციშვილმა. მან სტუდენტებს „ახალგაზრდა ადვოკატების“ სტრუქტურა, საქმიანობა, მიმდინარე და სამომავლოდ განხორციელებული პროექტებიც გააცნო.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას აპირებენ და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის გამოცემას იწყებენ, სადაც სხვადასხვა სამართლებრივ თემატიკაზე სტატიების გამოქვეყნება თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებსაც შეეძლებათ.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ანალოგიური შეხვედრის გამართვას თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებთანაც გეგმავენ. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებენ, ისინი დაინტერესებულები არიან საგამოძიებო ჟურნალისტიკის განვითარებით და შეუძლიათ ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს ბევრი აქტუალური საკითხის შესახებ საჯარო ინფორმაცია მიაწოდონ.

სამოქალაქო პოზიცია

არა! — ხუდონჰესის მშენებლობას

ბაახლოებით 25 წლის წინ, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ ჩვენი სასწავლებლის სტუდენტები ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის დამანგრეველ ზემოქმედებაზე წერდნენ და მის მშენებლობას ფართომასშტაბიან დემონსტრაციებზე აპროტესტებდნენ. როგორც ჩანს, ქართული საზოგადოება „მოჯადოებულ წრეზე“ სვლას მონდომებით განაგრძობს. მეოთხედი საუკუნის შემდეგ, სვანეთში მდებარე სოფლებსა და უნიკალურ ეკოსისტემებს უდიდესი საფრთხე კიდევ ერთხელ ემუქრებათ. მიმდინარე წლის 16 სექტემბერს, შუახევში გამოსვლისას, საქართველოს მთავრობის მეთაურმა ხუდონჰესის მშენებლობის აუცილებლობაზე ისაუბრა და ელექტროსადგურის ინვესტორ კომპანია „ტრანსელექტრიკას“ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. სამწუხაროდ, ქვეყნის ფაქტობრივ ლიდერს აღარ გახსენებია არჩევნებში გამარჯვებული პარტიული პროგრამის შინაარსი, სადაც სეისმოაქტიურ ზონებში გიგანტური კაშხლების აკრძალვის დებულებაა ჩამოყალიბებული.

დატბორვის ზონაში მცხოვრები შეუპოვარი მოსახლეობა, ფაქტობრივად, მარტოდმარტო ცდილობს უძლიერეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ აქტორებთან დაპირისპირებას. ალბათ, მათ ყველაზე მეტად საზოგადოების სხვა ფენების სოლიდარობა სჭირდებათ. პირველი ამგვარი ნაბიჯი უკვე გადაიდგა: ქართველ მწერალთა ნაწილმა ჩაძირვისთვის განწირულ დასახლებას — ხაიშს „გმირი სოფლის“ სტატუსი მიანიჭა და ბრძოლა გამოუცხადა ბუნებრივი გარემოს განადგურების პროცესს. ჯერი ჩვენზეა, სტუდენტებს ეკოლოგიური პასუხისმგებლობით მოქმედება გვმართებს. აქედან გამომდინარე, ჩემს თანატოლებსა და თანაუნივერსიტეტელებს მინდა გავუზიარო „ხუდონის“ მშენებლობის საწინააღმდეგო არგუმენტები, რათა ჩვენ კიდევ ერთხელ მოვახერხოთ მცირემიწიანი რეგიონებისათვის გამოუსწორებელი სოციალური და ეკოლოგიური ზარალის თავიდან აცილება.

„ტრანსელექტრიკას“ მიერ შეკვეთილი და გამოქვეყნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დოკუმენტიდან მრავალი უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის მოპოვებაა შესაძლებელი. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ხუდონჰესის მშენებლობის საპროექტო არეალის საერთო ფართობი 1538 ჰექტარს უტოლდება. საინჟინრო სამუშაოების შედეგად უნდა დაიტბოროს 528 ჰა მიწის ფართობი, 1109,9 ჰა ტყის მასივი კი უნდა გაიკაფოს და სამუდამოდ ამოღებულ იქნას მოხმარებიდან. ამასთანავე, 200 მეტრიანი კაშხლის აგების პროცესს პირდაპირი ან ირიბი ზემოქმედება ექნება სვანეთში მცხოვრებ 2000-ზე მეტ მოქალაქეზე. ხაიშისა და ჭუბერის თემის 14 სოფლის მკვიდრ 184 ოჯახს კერძო საკუთრების იძულებითი დათმობა, დაუზუსტებელი თუ გაურკვეველი კომპენსაციის აღება და განუსაზღვრელი მიმართულებით გადასახლება მოუწევს. წყლის ქვეშ აღმოჩნდება არა ერთი კულტურული ძეგლი (წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, პირველი საუკუნით დათარიღებული კონსერვირებული არქეოლოგიური უბანი), რამდენიმე სასაფლაო და ჯვარი-მესტიის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა. ტყის მასივის გაანადგურება, ათასობით კუბური მეტრი წყლის დაგუბება, დაგეგმილი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები გამოიწვევს ადგილობრივი ეკოსისტემების რადიკალურ გარდაქმნას, ლანდშაფტური გარემოსა და ლოკალური კლიმატის ცვლილებას, გაძლიერდება მეწყრული და სხვა სტიქიური პროცესები. მდინარე ენგურის წყალში ნაშალი მასალის კონცენტრაციის შემცირება გააძლიერებს ზღვის დონის ამაღლების პროცესს.

საინტერესოა, რის ფასად ახორციელებენ დამანგრეველ ზემოქმედებას ზემო სვანეთის რეგიონზე?

წინასწარი გათვლებით, ხუდონჰესის საერთო წლიური გამომუშავება 1,5 მილიარდი კვტ/სთ ელექტროენერგია იქნება, რომლის 91% რუსული კომპანიების მფლობელობაში არსებული მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებით თურქეთის მრეწველობის მოსამარაგებლად გაიგზავნება. ჩვენი ქვეყანა კი წარმოებული რესურსის რამდენიმე პროცენტს უნდა დასჯერდეს. შიდა მოხმარებისათვის მხოლოდ და მხოლოდ 133,9 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიაა გამოყოფილი, თანაც თითოეულ კილოვატში 5,84 ცენტის გადახდაც მოგვიწევს. ვითარების უკეთ გასაგებად საქართველოს 2013 წლის ელექტროენერგიის ბალანსის ცხრილში ჩავიხედოთ. დოკუმენტის მიხედვით, გასული თვეების განმავლობაში ზაჰესის მუშაობის შედეგად უკვე მივიღეთ 126 მლნ კვტ/სთ ელ.ენერგია, სადგურ „ხრამი 2-საგან“ ქართულ ბაზარზე 134 მლნ კვტ/სთ ელ.ენერგია შემოვიდა. მაშასადამე, საქართველოში გიგანტური კაშხალი შენდება იმისათვის, რომ მცირე და საშუალო ჰესების მიერ წარმოებული ენერგიის ექვივალენტური რაოდენობა მივიღოთ.

პარალელურად, არავინ ფიქრობს ენერგოეფექტურობისა და ენერგოდამოუკიდებლობის ალტერნატიული გზების მოძებნაზე, რაც თავიდან აგვარიდებდა სოციალური და ეკოლოგიური სივრცის ტრანსფორმაციასა თუ მისგან გამომდინარე უარყოფით შედეგებს. მსოფლიოს ბანკის 2011 წლის მონაცემებით, საქართველოში ელექტროენერგიის გადაცემისა და დისტრიბუციის დანაკარგები 11%-იან ნიშნულს უთანაბრდება. გაზეთ „რეზონანსის“ 18 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი დავით ადეიშვილი ამგვარი დანაკარგის შემცირების სტრატეგიაზე ამახვილებს ყურადღებას. ეკონომისტის მტკიცებით, შესაბამისი სახელმწიფო თუ სხვა ტიპის ინვესტიციის განხორციელების შემთხვევაში, მაღალი ძაბვის გადამცემი ინფრასტრუქტურის მოდერნიზებით შესაძლებელია დანაკარგის 5%-მდე შემცირება. შედეგად, 700 მლნ კვტ/სთ რესურსის გენერირება გახდებოდა შესაძლებელი (ხუდონჰესის გამომუშავების თითქმის ნახევარი).

აქედან გამომდინარე, დაბეჯითებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ კაშხლის დაპროექტებისას, მეტწილად, გაუთვალისწინებელი და იგნორირებულია გარემოზე ზემოქმედების სოციალური და ეკოლოგიური ფაქტორები. მშენებლობის მთავარი ამოცანა კი განუზომელი ეკონომიკური სარგებლის მოპოვება გახლავთ, რომლითაც ჯერეროვნად ვერ ისარგებლებს ვერც საქართველოს მოსახლეობა და ვერც არარსებული ქართული ინდუსტრია. სარფიანი გარიგებით მხოლოდ ინდოელი ინვესტორები, რუსი დისტრიბუტორები და თურქი მომხმარებლები იხეირებენ. შესაბამისად, გამოვთქვამ იმედს, რომ სტუდენტთა ნაწილი მაინც კვლავ დადგება უგულებელყოფილი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების სადარაჯოზე.

ლევან ლორთქიფანიძე
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტოლოგიის მიმართულების სტუდენტი

აქცია პარლამენტის შენობის წინ

 კონფერენცია

საჯარო მმართველობის ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში

ნატო ოგოლაძე

ორ ათეულ წელზე მეტია, საქართველო აქტიური რეფორმირების პროცესში იმყოფება. ცვლილებები განხორციელდა ჯანდაცვის, ეკონომიკის, თავდაცვის, განათლების, სასამართლოს და ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სხვა სფეროებში, თუმცა დღეს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, რეფორმების კიდევ ერთი ეტაპის დაწყება გახდა აუცილებელი. რეფორმირების ახალი ტალღის პროცესში ცვლილებები საჯარო მმართველობის სისტემასაც შეეხება. ამ დროისთვის მიმდინარეობს მუშაობა საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრის მიერ სპეციალურად შექმნილი სამთავრობო კომისიის მიერ მზადდება და რაც რეფორმის შედეგად „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში ძირეული ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილებების გატარება რომ გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს, ამაზე როგორც სახელმწიფოს, ასევე სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებიც თანხმდებიან და ახალ კანონში ამა თუ იმ მუხლის ინტერპრეტაციის პრევენციისა და მომავალში სახელმწიფო მართვის სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით ერთმანეთთან აქტიურ დისკუსიებსაც მართავენ. საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის შემმუშავებელი სამთავრობო კომისია თსუ-ის სამეცნიერო წრეების იმ წარმომადგენლებთან თანამშრომლობს, რომლებიც საჯარო მმართველობის სფეროში წლების მანძილზე დაგროვილ პრობლემებზე და, ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, მათი აღმოფხვრის გზებზე მუშაობენ. ამ მიმართულებით აქტიური სამეცნიერო-კვლევითი პროცესი თსუ-ის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტშიც მიმდინარეობს, რომლის ორგანიზებითაც 16-17 სექტემბერს რეგიონალური სამეცნიერო კონფერენცია „საჯარო მმართველობის ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში: გამოცდილება და პერსპექტივები“ გაიმართა. კონფერენციაში თსუ-ის მეცნიერებთან ერთად საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, გერმანიის შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის მეცნიერები და სომხეთისა და აზერბაიჯანის უნივერსიტეტის პროფესორები მონაწილეობდნენ. წარმოდგენილ მოხსენებათა შორის აღსანიშნავია თსუ-ის პროფესორის, ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის აკადემიური დირექტორის გიორგი ხუბუას კვლევა „საჯარო მმართველობა რეფორმებსა და მდგრადობას შორის საქართველოს მაგალითზე,“ სადაც ავტორმა სახელმწიფო აპარატში არსებულ პრობლემებზე, მათი წარმოშობის მიზეზებსა და ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის მათი მოგვარების აუცილებლობაზე ისაუბრა.

„განვლილ პერიოდში სახელმწიფო აპარატი უფრო ეფექტური და მოქნილი გახდა, გასუფთავდა კორუფციისგან, მაგრამ ამ რეფორმებმა ვერ უზრუნველყო ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მოქალაქეს და პიროვნებას სახელმწიფოს თვითნებობისგან დაიცავდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ სახელმწიფო მართვის სფეროში ცვლილებები გაცილებით უფრო მდორედ წარიმართა, ვიდრე პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართულებით. სახელმწიფო მართვის რეფორმას დღეს ყველა განვითარებული, ინდუსტრიული ქვეყანა ახორციელებს, რადგან ეს სისტემა ყოველთვის მოითხოვს ცვლილებას, მაგრამ ჩვენთან სხვა აქცენტებზეა საუბარი — ჩვენთან ბიუროკრატია ვერ ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი მმართველი კლასი და, შედეგად, პატრიმონიული სახელმწიფო მივიღეთ. ასეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბება რამდენიმე ფაქტორმა განსაზღვრა: 1. საჯარო და კერძო ინტერესი ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული; 2. მივიღეთ ჰიბრიდული სახელმწიფო; 3. მოქმედებს მართვის ზედმეტად პერსონიფიცირებული სტილი და თვითნებობა. ამის ერთერთი მიზეზი, ალბათ, ისიც არის, რომ ჩვენთან რევოლუცია არ განხორციელებულა. ჩვენთან ძველმა ელიტებმა მოდერნიზებული სახით განაგრძეს არსებობა. ახლა კი საქართველოსთვის ყველაზე დიდი საშიშროება და გამოწვევა ამ თვითნებური ქმედებების აღკვეთაა. თუმცა არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოში აპოკალიფსური სიტუაციაა, ასეთი ვითარება დამახასიათებელია სხვა ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნებისთვისაც. ჩვენ ბევრი რამის შეცვლა მოგვიწევს. საჭიროა აღნიშნულ საკითხზე სამეცნიერო დისკუსიები გაგრძელდეს ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან ერთად და დავსახოთ გზები, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო ქმედითი, პოლიტიკურად ნეიტრალური ბიუროკრატიის ფორმირებას, არამედ სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი თვითნებობის რეციდივს

გამორიცხავს და უზრუნველყოფს ამ თვითნებობისგან დაცვის ქმედითი საშუალებების შექმნას“, — აღნიშნა კონფერენციაზე პროფესორმა გიორგი ხუბუამ.

საქართველოს საჯარო სამსახურებისთვის დამახასიათებელი სისტემური ხარვეზების შედეგად სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის გამჭვირვალობის პრობლემაც შეიქმნა. აღნიშნულ საკითხს წლების განმავლობაში აქტუალურობა არ დაუკარგავს — საჯარო ინფორმაციაზე ხელმიუწვდომლობის პრობლემაზე საუბარი იყო როგორც ადგილობრივი არასამთავრობო, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებშიც.

თსუ-ში გამართულ რეგიონალურ სამეცნიერო კონფერენციაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სამართლის მიმართულების პროფესორმა პაატა ტურავამ, რომელიც იმავდროულად საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციაზე მომუშავე სამთავრობო ჯგუფის წევრია, საერთაშორისო ორგანიზაციის „ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტის“ ანგარიშის შესახებ ისაუბრა. ანგარიშში იმ საჯარო სამსახურთა ჩამონათვალია მოცემული, საიდანაც ინფორმაციის მოპოვება სირთულეებთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ ასეთი დაწესებულებების რიცხვში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც მოხვდა. რაც შეეხება, ზოგადად, საჯარო სამსახურებში არსებულ ვითარებას, ამ საკითხზე სამართლის დოქტორმა, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) ექსპერტმა ირაკლი კობახიძემ თავის მოხსენებაში „საჯარო სამართლის გამჭვირვალობა და სახელმწიფო საქმიანობის კონტროლის მექანიზმები“ ისაუბრა.

„ერთი თვის წინ მთავრობის დადგენილება გამოიცა, რომელიც ინფორმაციის პრაქტიკულ გამოქვეყნებას ეხება. თითოეულ საჯარო დაწესებულებას დაევალა შეექმნა თავისი ვებ-გვერდი, სადაც საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინფორმაციას გამოაქვეყნებს. ახლა დაწყებულია იმპლემენტაციის პროცესი. იმედია, რომ ეს პროცესი საქართველოში მოქალაქეთა გააქტიურებასაც წაახალისებს“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

საჯარო სამსახურის რეფორმის მიზანი, იმ სისტემური ხარვეზების გამოსწორებაა, რის შესახებაც კონფერენციაზე „საჯარო მმართველობის ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში: გამოცდილება და პერსპექტივები“ მომხსენებლებმა ისაუბრეს — ამის შესახებ საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციაზე მომუშავე სამთავრობო კომისიის წევრმა, პროფესორმა პაატა ტურავამ აღნიშნა. მისი თქმით, რეფორმის კონცეფციის შემუშავების პროცესში სამთავრობო ჯგუფი სხვადასხვა ქვეყნების საჯარო მმართველობის მოდელებსაც განიხილავს. მათ შორის არის გერმანიის მართვის სისტემაც, რის შესახებაც კონფერენციაზე მოხსენებები გერმანიის შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის სამეცნიერო დელეგაციის წევრებმა წარმოადგინეს. სამეცნიერო ღონისძიებაზე პროფესორმა ებერჰარდ ბონემ მმართველობის მოდიფიცირების თანამედროვე მეთოდების შესახებ ისაუბრა; საჯარო სამსახურის სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი საკითხები განიხილა პროფესორმა კრისტიან კოხმა; პროფესორმა კარლ-პეტერ ზომერმანმა კი მოხსენება „მმართველობის ნაციონალური კულტურის ევროპეიზაცია“ წარმოადგინა. კონფერენციაზე სპეციალური მოწვევით იმყოფებოდა ჰამბურგის საჯარო მოხელეთა განათლებისა და გადამზადების ცენტრის ხელმძღვანელი სანდრა ბუდიც, რომელმაც ქართველ მეცნიერებსა და სახელმწიფო მოხელეებს კადრების გადამზადების, შერჩევისა და კარიერული ზრდის გერმანული სისტემა გააცნო.

წიგნის თარო

წიგნი დამსხვრეული ფსიქიკის რეაბილიტაციის შესაძლებლობებზე

ბლიც ინტერვიუ პროფესორ თამარ გაგოშიძესთან

როგორ გამოვიყენოთ ფსიქოლოგია ნევროლოგიური და თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეული დარღვევების რეაბილიტაციისათვის? – ამ მიმართულებას დღეს ნეიროფსიქოლოგია სწავლობს, რომელიც შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა და, თუ შედეგებით ვიმსჯელებთ, საკმაოდ პერსპექტიულიც. ნეიროფსიქოლოგია მრავალ დისციპლინურ ცოდნას აერთიანებს და შეისწავლის ტვინიდან მომდინარე ფსიქიკურ პროცესებს და მათ კავშირს ტვინის ცალკეულ უბნებთან. ნეიროფსიქოლოგიის ერთერთ ფუძემდებლად ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ალექსანდრე ლურია მიიჩნევა, რომლის მოსწავლეებმაც შემდეგ უკვე ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში განავითარეს ეს მიმართულება. საქართველოში ნეიროფსიქოლოგიას პეტრე სარაჯიშვილის მიერ დაარსებულ ნევროლოგიის ინსტიტუტში იკვლევდნენ, თუმცა, სხვა კვლევით ინსტიტუტებთან ერთად 90-იან წლებში სარაჯიშვილის ნევროლოგიის ინსტიტუტიც დაიშალა. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა დარგის გადარჩენა და 2005 წელს უნივერსიტეტის ბაზაზე ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი დაფუძნდა. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური მემორანდუმი უნივერსიტეტსა და ინსტიტუტს შორის დღემდე არ გაფორმებულა, ის მაინც ერთადერთი ბაზაა, სადაც თსუ-ის მაგისტრანტები და დოქტორანტები მაღალი დონის, კონკურენტუნარიან სპეციალისტებად ყალიბდებიან.

ალ. ლურიას მოსწავლე და მისი სკოლის გამგრძელებელია თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების პროფესორი, ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის დამფუძნებელი თამარ გაგოშიძე, რომელიც 1987 წლიდან პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობას ეწევა ნეიროფსიქოლოგიაში და უკვე რამდენიმე წელია მუშაობს წიგნზე, რომელიც ბავშვთა და მოზარდთა ნეიროფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას შეეხება.

* * *

— *მეთოდიკა, რომელსაც რეაბილიტაციისას იყენებთ, აპრობირებულია თუ უშუალოდ თქვენი კვლევის შედეგადაა შემუშავებული?*

— მთელ მსოფლიოში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის მეთოდოლოგია, თუმცა ვიყენებთ უშუალოდ ჩვენსავე ინსტიტუტში აპრობირებულ მეთოდებს. ჩვენი მეთოდოლოგია ალ. ლურიას თეორიას ეყრდნობა, რომელიც გულისხმობს ტვინის დაზიანებული ნაწილის კომპენსაციას შენახული უნარების საშუალებით და, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, სოციალურ-კულტურულ გარემოს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს და ადამიანს დაეხმაროს იმ მექანიზმების ამოქმედებაში, რომელიც მას პოტენციაში აქვს. ამიტომ, ბავშვებთან მუშაობის შემთხვევაში, გვიწევს იმ რესურსის გათვალისწინება, რაც ოჯახსა და სკოლას გააჩნია.

— *როდის გამოვა და რა ტიპის ნაშრომი იქნება თქვენი წიგნი?*

— ვფიქრობ, დაახლოებით ერთი წელი კიდევ დამჭირდება, რომ სისტემურად გადამუშავდეს მთელი ის გამოცდილება, რაც ორი ათეული წლის განმავლობაში დაგროვდა ამ ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ. ეს გამოცდილება საინტერესოა იმით, რომ თითოეულ პაციენტთან მუშაობა ჩვენგან მოითხოვდა განსხვავებულ და უნიკალურ მიდგომას. თავიდან წიგნი ჩაფიქრებული იყო, როგორც სახელმძღვანელო, თუმცა რადგან ყველა შემთხვევა უნიკალურია და კონკრეტული ადამიანური ისტორიიდან გამომდინარეობს, ძნელია თერაპიის მეთოდები ერთ სქემაში მოაქციო. როდესაც ჩემს კოლეგებს ვეკითხები, რას განიცდიან ნეიროფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე მუშაობისას, ყველა აღნიშნავს, რომ ეს იმას ჰგავს, როდესაც დამტვრეული ჭურჭლის ნატეხებიდან ხელახლა უნდა მოახერხო ჭურჭლის აწყობა, თან ისე, რომ იმ ადამიანმა, ვის დამტვრეულ ჭურჭელსაც აწყობ, თვითონ შეძლოს ამის გაკეთება. ჩვენ ახლა ვცდილობთ ამ გამოცდილების სისტემატიზაციას, რაც ადვილი არ არის, თუმცა წიგნი ძალიან საინტერესო იქნება განსაკუთრებით მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის.

მოამზადა
ლელა კურდღელაშვილმა

მთის ფერდობზე აღმოჩენილი სარიტუალო მოედანი

მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტთა ჯგუფმა, პროფესორ ვახტანგ ლიჩელის ხელმძღვანელობით, გასულ ზაფხულს ბოლნისის რაიონში მდებარე არქეოლოგიური ძეგლის გათხრებზე იმუშავა.

კვლევის საგანს წარმოადგენდა ბოლნისის რაიონის კვირაცხოვლის ენეოლითური ნამოსახლარი (რომელსაც შუასაუკუნეებში აბულმუგს უწოდებდნენ) და სახოცელას ფერდობი, სადაც აღმოჩენილია სარიტუალო კონსტრუქცია. ექსპედიციამ მუშაობა მაისში დაიწყო და შეისწავლა შუასაუკუნეების სამაროვანი და ნამოსახლარი, რომელსაც რამდენიმე წლით ადრე მიაკვლია კომპანია „RMG Gold“-ის პარტნიორმა ექსპედიციამ (საქართველოს ეროვნული მუზეუმი) და მისი შესწავლა მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი. ძეგლი განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეს, ანუ ქრისტიანობის საწყის ეტაპს.

„საველე პრაქტიკის პერიოდში ჩვენ 100-მდე სამარხი გავთხარეთ. ამ პერიოდის სამარხებში ნივთები ძალიან იშვიათია, მაგრამ აღმოჩნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი არტეფაქტი, მაგალითად, საკინძი, რომლის მიხედვითაც ჩვენ შევძელით დათარიღებაც. ძალიან საინტერესოა ამავე პერიოდის სამოსახლოს ნაშთიც. ეს გახლავთ ერთოთახიანი სივრცე, რომელშიც აღმოჩნდა ხელსაფქვავი, კერამიკის ფრაგმენტები და, რაც მთავარია, მერხი და მცირე ზომის საკურთხეველი, რომელიც აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ამ პერიოდში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო წარმართული ტრადიციები. შენობის ინტერიერი ორგანიზებულია ისე, როგორც ეს ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში იყო მიღებული. აქ ჩანს ნიშნები იმ ტრადიციებისა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა ხანებიდან ძალიან კარგად იყო ცნობილი“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ექსპედიციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა.

მკვლევართათვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ერთერთი ძეგლი, რომელიც მთის ფერდობზე — პატარა ტერასაზე იქნა მიკვლეული. აქ აღმოჩნდა ძვ.წ.აღ-ის V ათასწლეულის მიწურულისა და IV ათასწლეულის დასაწყისის სარიტუალო მოედანი. მათი თქმით, ეს უაღრესად საინტერესო აღმოჩენაა, რადგან ამ პერიოდის ასეთი ძეგლები საქართველოში ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. „ამ კომპლექსის შესწავლის შედეგად ვნახეთ ადამიანების მსხვერპლად შეწირვის დამადასტურებელი ნიშნებიც. ეს არის წრიული ნაგებობა, რომელსაც გარშემო ქვის სარტყელი აქვს. გათხრების დროს ცენტრალური ნაყარის ქვეშ გაიწმინდა ადამიანის ჩონჩხები და დადასტურდა კრემაციის გარკვეული ნიშნები, ყოველგვარი ინვენტარის გარეშე. თვითონ ნაყარში აღმოჩნდა ოფსიდიანის სხვადასხვა სახის ნივთები და კერამიკული ნაწარმის რამდენიმე ფრაგმენტი“, — განაცხადა ვახტანგ ლიჩელმა.

რაც შეეხება კვირაცხოვლის ნამოსახლარს, მისი ერთი ნაწილი სამშენებლო საქმიანობის დროს, ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ექსპედიციის ჩასვლამდე, განადგურდა, მაგრამ, საბედნიეროდ, გადარჩა სხვადასხვა ზომის გეგმაში წრიული ფორმის სათავსოები, რომელიც დამახასიათებელია ამ პერიოდის კულტურისთვის. ყოველ სათავსოს გუმბათოვანი გადახურვა აქვს. აქ აღმოჩენილ ინვენტარში განსაკუთრებით საინტერესოა სახვრეტები, საფხეკები და საჭრისები, რომლებიც იმ დროს ხორცისა და ტყავის დასამუშავებლად გამოიყენებოდა, „განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი მეთოდიკას, რომლის მეშვეობითაც ეს ნამოსახლარი შევისწავლეთ. ჩვენ ვიღებდით 5 სანტიმეტრის სისქის ფენებს მხოლოდ ფუნჯებით და დანებით. ყოველი ფენის აღების შემდეგ დოკუმენტურად ფიქსირდებოდა არსებული სიტუაცია, ხოლო ის მიწა, რომელიც ამ სათავსოებიდან ამოვიღეთ, საცერში ტარდებოდა, რაც ძალიან შრომატევადი საქმეა, მაგრამ ჩვენმა სტუდენტებმა დაძლიეს ეს ურთულესი სამუშაო. ამან საშუალება მოგვცა, შეგვეგროვებინა და შეგვენარჩუნებინა უმცირესი ნამცეცებიც კი, მაგალითად, შეგროვებულია პალეობოტანიკური მასალა, ხორბლის დამწვარი, დამტვრეული ნამცეცებიც. ჩვენ დაწყებული გვაქვს პალინოლოგიური ანალიზი, როგორც ამ ენეოლითური ხანის ძეგლზე, ასევე, შუა საუკუნეების ძეგლზე, რაც მოგვცემს საშუალებას, ერთ მხრივ, დავადგინოთ როგორი კლიმატი არსებობდა და როგორ ეკოლოგიურ ნიშაში ცხოვრობდა 5 000 წლის წინ ეს ხალხი და, მეორე მხრივ, სამარხებში აღებული სინჯებით გავარკვიოთ, კვების როგორი რეჟიმი ჰქონდათ იმ ადამიანებს, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ. სხვათა შორის, უკვე არის პირველი შედეგები და როგორც პალინოლოგმა ე. ყვავაძემ გვაცნობა, ძვ.წ. V-IV ათასწლეულის ერთერთ ნაგებობაში აღმოჩნდა ფიჭის ნაშთები, რაც უაღრესად იშვიათი ფაქტია. დადგენილია სამარხებში აღმოჩენილი ადამიანების ასაკი და სქესი, მაგრამ ყველაზე დიდი ლაბორატორიული სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს“, — განაცხადა მან.

სარიტუალო მოედანი (რეკონსტრუქცია)


ვახტანგ ლიჩელი

თსუ-ის არქეოლოგიური მიმართულება მადლობას უხდის თსუ-ის კავკასიის მინერალოგიის ინსტიტუტს და მის ხელმძღვანელს რევაზ კვატაშიძეს დახმარებისა და თანამშრომლობისთვის, რადგან ამ ინსტიტუტში ისეთი კატეგორიის ინტერდისციპლინარული ანალიზები კეთდება, როგორიც აქამდე არასდროს გაკეთებულა. აღსანიშნავია ის ყურადღება, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ და აკადემიის წევრებმა გამოხატეს არქეოლოგიური ძეგლის დათვალიერების დროს.

არქეოლოგიური სამუშაოები ბოლნისის რაიონში გრძელდება. მისი მიზანი, გარდა ისტორიული მნიშვნელობის არტეფაქტების მოძიებისა, არის იმ არქეოლოგიური ნაშთების გადარჩენა, რომელიც შესაძლოა აქ მომუშავე კომპანიის საწარმოო ტერიტორიაზე არსებობდეს.

| ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ |

თსუ-ში მთარგმნელის საერთაშორისო დღე აღინიშნა

ნატო ოგოლაძე

თსუ-ში მთარგმნელის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად 30 სექტემბერს თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ორგანიზებით სამეცნიერო კონფერენცია „თარგმანი და კულტურათშორისი ურთიერთობები“ გაიმართა. კონფერენციაზე მოხსენებები თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებმა წაიკითხეს.

„ჩვენმა ინსტიტუტმა გადაწყვიტა, რომ მთარგმნელის საერთაშორისო დღეს რამდენიმე საინტერესო ღონისძიებით გამოხმაურებოდა. სამეცნიერო კონფერენციასთან ერთად მოვაწყვეთ მთარგმნელთა ფიცის (წმინდა იერონიმეს ფიცი) დადების საზეიმო ცერემონია, რომელიც სამაგისტრო პროგრამის „თარგმნის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის“ კურსდამთავრებულებმა წარმოსთქვეს. დღეიდან ფიცის დადება ჩვენს მიმართულებაზე ტრადიციად იქცევა და იმედი მაქვს, რომ მას ჩვენი კურსდამთავრებულები პირუთვნელად შეასრულებენ“, — განაცხადა თსუ-ის სრულმა პროფესორმა, თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ნანა გაფრინდაშვილმა.

მთარგმნელის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თსუ-ის პირველი კორპუსის ფოიეში ფოტოგამოფენა „XIX საუკუნის ქართველი მთარგმნელები“ მოეწყო, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდება.

კონფერენცია თეორიულ ფიზიკაში

ნატო ოგოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თეორიულ ფიზიკაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას უმასპინძლა, რომელშიც თეორიული ფიზიკის რეგიონულ საგანმანათლებლო ქსელში ჩართული უნივერსიტეტების — თსუ-ის, ბონის უნივერსიტეტის და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიების ფარგლებში გერმანიის სიგენის უნივერსიტეტთან მემორანდუმიც გაფორმდა, რის მიხედვითაც თეორიული ფიზიკის რეგიონული საგანმანათლებლო ქსელის მუშაობაში სიგენის უნივერსიტეტის პროფესორებიც ჩაერთვებიან. თეორიული ფიზიკის რეგიონული საგანმანათლებლო ქსელის პროექტი თეორიულ ფიზიკაში 4–ვე უნივერსიტეტის ერთობლივი სადოქტორო პროგრამის ამოქმედებას გულისხმობს, რაც ქართველ დოქტორანტებს თეორიულ ფიზიკაში ცნობილი პროფესორების სალექციო კურსების მოსმენის საშუალებასა და გერმანულ უნივერსიტეტებში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში ჩართვის შესაძლებლობას მისცემს.

თსუ-ში თეორიულ ფიზიკაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 23 სექტემბერს გაიმართა. ასევე იგეგმება ბაზალეთის ტბაზე დოქტორანტებისათვის საერთაშორისო საშემოდგომო სკოლის ჩატარებაც, სადაც ლექციებს სპეციალურად მოწვეული პროფესორები წაიკითხავენ, მათ შორის არის ევროპაში მოღვაწე ქართველი მეცნიერი ზურაბ ბერეჟიანიც. საშემოდგომო სკოლაში მონაწილეობის მიღება თეორიული ფიზიკის სპეციალობის წარმატებულ მაგისტრანტებსაც შეეძლებათ.

თეორიული ფიზიკის რეგიონული საგანმანათლებლო ქსელი ოფიციალურად მიმდინარე წლის თებერვლიდან „ფოლკსვაგენის“ საქველმოქმედო ფონდის მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში ამოქმედდა. პროექტის თანადამფინანსებელი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიც გახლავთ.

ბიზანტინოლოგია საქართველოში

შურთხია ბეროშვილი

24 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია — „ბიზანტინოლოგია საქართველოში“ გაიხსნა. ღონისძიება ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს ეროვნული კავშირის, თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოს გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, საბერძნეთის საელჩოს ორგანიზებითა და მხარდაჭერით გაიმართა.

კონფერენციის საზეიმო გახსნას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოში საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ელეფთერიოს პროიოსი, ქართველი და უცხოელი მეცნიერები დაესწრნენ, რომლებმაც საქართველოში ბიზანტინოლოგიის განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

„ეს დარგი ათწლეულების მანძილზე ვითარდებოდა კომუნისტურ ხანაშიც. მეტად სასიამოვნო და მისასალმებელია, რომ თანამედროვე ბიზანტიონისტთა უფროსი თაობა სწორედ გამოჩენილ მეცნიერთა დასახულ გზას მიჰყვება. ბოლო 8 წლის განმავლობაში გამართული 4 საერთაშორისო კონფერენცია ამის საუკეთესო დასტურია. ეს მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინიციატივა არ განხორციელდებოდა, ამ დარგს რომ არ ჰქონდეს ხელშეწყობა როგორც საქართველოში, ისე საბერძნეთის საელჩოს მხრიდან, რისთვისაც განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადაუხადოთ საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, მის აღმატებულებას, ბატონ ელეფთერიოს“, — განაცხადა რექტორმა ვლადიმერ პაპავამ. საერთაშორისო კონფერენციის მნიშვნელობაზე ისაუბრა თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა რისმაგ გორდეზიანმაც.

ბიზანტინოლოგთა მეოთხე საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ბათუმში გაგრძელდა და 30 სექტემბერს კაბადოკიაში მოგზაურობით დასრულდა, მეცნიერებმა ერთგვარად შეაჯამეს ბოლო 3 წლის სამეცნიერო კვლევის შედეგები და უცხოელ კოლეგებთან ერთად დასახეს დარგის განვითარებისა და პრობლემათა დაძლევის პერსპექტიული გეგმები, რაც, მათი თქმით, პირველ რიგში, სწორედ ახალგაზრდა კადრების მომზადებასა და სამეცნიერო მუშაობაში მათ ჩართულობას გულისხმობს.

ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო ფორუმი წელს ქართველი საზოგადო მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 150-ე წლისთავს მიეძღვნა.

ინეზა გაგნიძე: „რაც უფრო ზევით მიდიხარ, მეტ კომპრომისებთან შეგუება გიწევს...“

ლექტორობა ჯერ კიდევ 10 წლის ასაკში გადაწყვიტა, როცა თავისი მეგობრის „დღიურში“ კითხვაზე: — რა პროფესიას აირჩევდა, უპასუხია: — „ლექტორობას“. ბავშვობისდროინდელი გადაწყვეტილება არც სამომავლოდ შეუცვლია და დღეს **ინეზა გაგნიძე** *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სენატის წევრი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორია. მასწავლებლის ყველაზე დიდ ღირსებად განათლებას, პასუხისმგებლობას და საგნის სიყვარულს თვლის, ხოლო წარმატების მისეული რეცეპტი ასეთია: შრომისმოყვარეობა, წესრიგი, პასუხისმგებლობა და საქმისადმი ერთგულება. ინეზა გაგნიძის სამეცნიერო კვლევის სფეროა ქვეყნების კონკურენტუნარიანობა, კლასტერები და განათლების სისტემა, ასევე, მართლმადიდებლური სწავლებისა და ეკონომიკის თეორიის თანაკვეთის არეალების კვლევა. იგი მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო (ავსტრია, იტალია, ესპანეთი, ბულგარეთი, უკრაინა) და ადგილობრივ კონფერენციაში, გახლავთ 1 მონოგრაფიის, 2 ბროშურისა და 40-ზე მეტი სტატიის ავტორი. იგი 10 სახელმძღვანელოს თანაავტორია, მათ შორის ორი სახელმძღვანელო ფრანგ და ბერძენ თანაავტორებთან ერთად აქვს მომზადებული. მკითხველისთვის საინტერესოა ისიც, ცხოვრებისა და მოღვაწეობის თუ რა გზა გამოიარა მეცნიერმა დღემდე, რა გეგმები აქვს და რა არის მისი წარმატების საიდუმლო...*

ინეზა გაგნიძე,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თამარ დადიანი

— რატომ გადაწყვიტეთ, თავის დროზე, თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი გამხდარიყავით?

— ბავშვობაში ყველა ვაკეთებდით „მეგობრობის დღიურს“, სადაც შეკითხვებს ვსვამდით, ვასურათებდით. ამ „დღიურებს“ შემდეგ მეგობრებს ვუზიარებდით საკუთარი აზრის გამოსათქმელად. ჩემმა მეგობარმა IV კლასში შევსებული ასეთი „დღიური“ მაჩვენა, სადაც კითხვაზე — სად ჩავაბარებდი სკოლის შემდეგ, მეწერა — „ლექტორობაზე“. მაშინ, რა თქმა უნდა, არაფერი მესმოდა, მაგრამ „ლექტორობაზე“ რომ უნდა ჩამებარებინა, ეს ვიცოდი! ეს მომენტი მახსოვს, მაგრამ საიდან მოვიდა არჩევანი, უკვე აღარ ვიცი...

ეკონომიკის ფაკულტეტზე ის საგნები ბარდებოდა, რომელიც მიყვარდა. მისაღები გამოცდები წარმატებით ჩავაბარე. სტუდენტობა შედარებით მშვიდ წლებში გავატარე. კომკავშირელიც ვიყავი, მაგრამ ეს არ იყო წმინდა პარტიული, იდეური საქმიანობა. პირიქით, კომკავშირი მონდომებულ, მიზანდასახულ, მოტივირებულ ახალგაზრდებს გვაერთიანებდა. მახსოვს, II კურსზე ვიყავი, როცა შრომის ეკონომიკის კათედრის გამგემ, დოცენტმა მერი ნარგიზაშვილმა გამომარჩია და ამ სპეციალობის სტუდენტთა სამეცნიერო წრე ჩამაბარა.

— ალბათ, აქედან დაიწყო თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობა?

— ასე გამოდის... წარჩინებული კურსდამთავრებული თბილისის ბამბეულის კომბინატში გამანაწილეს. ამ დროს, სრულიად შემთხვევით, კათედრაზე ლაბორანტის ადგილი გათავისუფლდა. კათედრის წევრებმა: ჰენრი ყარაშვილმა და დოცენტმა ივანე გიგოშვილმა ხელი შეუწყვეს ჩემს კათედრაზე დატოვებას. ეს, მართლაც, საოცრება იყო, რადგან მაშინ უნივერსიტეტში დარჩენა არც ისე ადვილი საქმე გახლდათ. ასე დაიწყო ჩემი მოღვაწეობა უნივერსიტეტში. მას შემდეგ 26 წელი გავიდა...

ჩემი სადისერტაციო თემა იყო „უმუშევრობა და მისი დაძლევის გზები (ქალაქ რუსთავის მაგალითზე)“. თემის ხელმძღვანელი პროფესორი ოთარ საღარეიშვილი ბრძანდებოდა. სხვათა შორის, უმუშევრობის კვლევა კათედრაზე პირველებმა ჩვენ დავიწყეთ. ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და უმუშევრობა გამეფდა. ეს თემა, სამწუხაროდ, დღესაც აქტუალურია. ჩემი პირველი სტატიები სწორედ უმუშევრობის პრობლემებს ეხებოდა. კათედრაზე ბატონი ოთარ საღარეიშვილი ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევდა. უნდოდა, სულ მეცნიერულ მუშაობაში ვყოფილიყავით ჩართულნი. ის ყველასთვის წესიერების, შრომისმოყვარეობის და პატიოსნების განსახიერება იყო. ბატონმა ოთარმა ერთხელ სამი ახალგაზრდა შეგვკრიბა და გვითხრა, მიკროეკონომიკის საგანი უნდა შემოვიღოთ და სახელმძღვანელოზე მუშაობა უნდა დაიწყოთო. მახსოვს, სამ თვეში 400 გვერდი ვთარგმნე. დიდი პასუხისმგებლობა გვეკისრებოდა, ჯერ ჩვენ უნდა გვესწავლა ეს სიახლე და მერე სტუდენტებისთვის გვესწავლებინა. ასე დავიწყე მიკროეკონომიკის სწავლება.

შინაგანად ყოველთვის მინდოდა და მომწონდა ახალგაზრდებთან მუშაობა, და დღეს ვფიქრობ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. წლები გადის. მიხარია, რომ ჩემი ყოფილი სტუდენტები ყოველთვის კარგად მიხსენიებენ. ასევე ქედს ვიხრი ჩემი სკოლის, უნივერსიტეტის მასწავლებლების წინაშე, თითოეული მათგანი ჩემთვის სამაგალითოა!

— სამეცნიერო გზაზე ყველაზე დიდ წარმატებად რას თვლით?

— მონოგრაფია, რომელიც 2012 წელს გამოვეცით, ქვეყნების კონკურენტუნარიანობასა და კლასტერებს ეხება, რაც ჩემთვის, როგორც ეკონომისტისთვის, ძალიან ღირებულია.

რამდენიმე წლის წინ ქვეყნების კონკურენტუნარიანობისა და კლასტერების სამეცნიერო კვლევით დავინტერესდით, რომელიც ჩემი სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულება გახდა. ზოგადად, ნებისმიერი მთავრობის წინაშე დგას ორი ამოცანა: პირველი — კონკურენტუნარიანობის მისაღწევად მას კერძო სექტორსა და სხვა მხარეებს შორის ეფექტიანი დიალოგისა და საქმიანობის წარმართვა ესაჭიროება და მეორე — საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებისთვის აუცილებელია ეფექტიანი რეგიონული პოლიტიკა, ინვესტიციების მოზიდვა, სათანადო უნარების განვითარება და ინოვაციურობა. ორივე ამოცანა წარმატებით წყდება კლასტერების საშუალებით. კლასტერის კონცეფცია ქვეყნის ეკონომიკის ხედვის ახალ საშუალებას წარმოადგენს, რომელიც კომპანიების, უნივერსიტეტების, მთავრობისა და სხვა ორგანიზაციების ახალ როლზე მიუთითებს. როგორც მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები ამტკიცებენ, ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობები გლობალურ ეკონომიკაში, ხშირად, კლასტერის ნიადაგზე აღმოცენდება. ვფიქრობთ, მათი გამოყენება საქართველოს ეკონომიკის პირობებშიც ასევე წარმატებული იქნება.

სამეცნიერო კვლევის მეორე მიმართულება, რაზედაც დიდი სიამოვნებით ვმუშაობ, მართლმადიდებლური სწავლებისა და ეკონომიკის თეორიის თანაკვეთაა. ამ ორი მიმართულების ერთმანეთთან დაკავშირების პირველი მცდელობა 1996 წელს მქონდა. შემდგომში კი თავად გავხდი სამეცნიერო კონფერენციის — „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი. აღნიშნულ თემატიკაზე მიმდინარე წელს ქალაქ გორში გამართულ VII კონფერენციაზე წარმოდგენილმა 26 მოხსენებამ დაადასტურა, რომ საქართველოს უნივერსიტეტებსა და სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციებში კვლევები ამ მიმართულებით ინტენსიურად მიმდინარეობს.

— ეკონომიკისა და რელიგიის თანაკვეთა მართლაც საინტერესო საკითხია. როგორ უნდა მოხდეს ამ მოდელით ეკონომიკის მოწყობა, როგორი ეფექტის მიღწევა შეიძლება ამ გზით?

— ჩემი ნაშრომი ეხება რელიგიისა და მეცნიერების, ეკონომიკაში მოქმედი ძირითადი პრინციპების, შიდა საფირმო ურთიერთობების, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის პრობლემების ხედვას მართლმადიდებლური მოძღვრების ასპექტით.

ბევრი მიფიქრია იმაზე, თუ როგორ შეიძლება ეკლესიამ და სამონასტრო კომპლექსებმა განათლების სისტემის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანონ. მაგალითად, ალავერდის მამათა მონასტერში კასრებში დაყენებულმა 3-წლიანმა საფერავმა და ქვევრში დაყენებულმა ტრადიციულმა კახური ტიპის ღვინომ უმაღლესი ჯილდოები დაიმსახურეს ჟურნალ — „დეკანტერი“-ს მიერ ლონდონში ჩატარებულ 2012 წლის კონკურსზე, სადაც 11000-მდე ღვინის ნიმუში იყო წარმოდგენილი. მსოფლიო ღვინის მწარმოებელთა პირველი ათეულის წევრმა დონატო ლანატიმ ამ მარანში გაწეული საქმიანობა შეაფასა, როგორც „ზეენოლოგია“. ალავერდის მონასტრის მარნის მაგალითთან ერთად შესაძლებელია აღვნიშნოთ სხვა სამონასტრო მეურნეობებში საკალმახე და შინშილების, მეღორეობისა და კინოლოგიის პროფილის მეურნეობები და სხვა.

ვფიქრობთ, მონასტრების კვლევით სივრცეში ჩართვის იდეა ორმხრივად სასარგებლოა, კერძოდ: მონასტრის ინტერესი — საკუთარი მეურნეობის ხარჯზე ირჩინოს თავი, თანხვედრაშია სახელმწიფოს ინტერესთან — მინიმალური დანახარჯებით მიიღოს სამეცნიერო კვლევისა და სწავლების პროცესისთვის საუკეთესოდ გამართული ბაზები (აგრარული მიმართულებით). აღნიშნულის დასაბუთების მიზნით, გავიხსენოთ ის, რომ ალავერდის მონასტრის ტერიტორიაზე გაშენებულია 80 სახეობის ენდემური ვაზი. ასეთი მრავალფეროვანი საცდელი მეურნეობის სათანადო დონეზე მოვლა-შენახვა სახელმწიფო უნივერსიტეტებისგან დიდ ძალისხმევასა და თანხებს მოითხოვს. მონასტერს კი შეუძლია აქტიურად მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო კვლევასა და განსაკუთრებით წარმატებული სტუდენტებისთვის გამოცდილების გაზიარებაში. ასევე თავის მხრივ, მონასტერი თავად იქნება მზად საკუთარ მეურნეობაში დანერგოს ის სიახლეები, რასაც სამეცნიერო საზოგადოება მას შესთავაზებს მეურნეობაში წარმოებული პროდუქტების გაუმჯობესების მიზნით.

— უნივერსიტეტში დიდი ხანია მუშაობთ, მის განვითარებას თვალს ადევნებთ, მისი ნაკლიც იცით და პლუსიც. თუ გაქვთ თქვენეული ხედვა და პოზიცია — როგორ უნდა განვითარდეს უნივერსიტეტი?

— სამწუხაროდ, ჩვენი უნივერსიტეტის დღევანდელი მოდელი არის ის, რაც განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტებში ერთი საუკუნის წინ იყო. ჩვენთან წინ წამოწეულია სასწავლო ფუნქცია, ხოლო კვლევითი ფუნქცია მეორე პლანზეა.

უნივერსიტეტებმა მსოფლიოში ორი აკადემიური რევოლუცია გაიარეს. პირველი რევოლუციის დროს სასწავლოს კვლევითი ფუნქცია მიუმატეს, ხოლო მეორე რევოლუციის შემდეგ — სამეწარმეო ფუნქცია იკისრეს, ანუ სამეწარმეო უნივერსიტეტებად ჩამოყალიბდნენ.

ჩვენთვის პრობლემას წარმოადგენს მეცნიერული აქტივობის უზრუნველყოფა. როცა დავითვალე, თუ რა დროს ვანდომებდი სასწავლო ფუნქციის შესრულებას, გამოვიდა, რომ 70% ჩემი საქმიანობისა სასწავლო აქტივობაზე მოდიოდა, ხოლო სამეცნიერო მუშაობისთვის დროის მხოლოდ 30% მრჩებოდა. არადა, მეცნიერული კვლევა და მუშაობა დიდ დროს მოითხოვს. აქედან გამომდინარე, საჭიროა ამ ორი კომპონენტის დაბალანსება, რათა ოქროს შუალედი გამოიძებნოს. შარშან ეს საკითხი დავსვი სენატის სხდომაზე (როცა თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წესდებას ვიხილავდით) და წერილითაც მივმართე დეკანს, მაგრამ რატომღაც საკითხის განხილვა შეჩერდა.

— სტუდენტებიც ნაკლებად არიან ჩართულნი სამეცნიერო კვლევებში...

— უცხოეთში საერთაშორისო სიმპოზიუმებზე გაკეთებული ჩემი მოხსენებები სწორედ განათლების ეფექტიანი მრავალდონიანი პოლიტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობას ეძღვნებოდა. ვფიქრობთ, აუცილებელია განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკის შემუშავება მრავალი მიმართულებით, კერძოდ: განათლება განათლებისთვის (სასკოლო, უმაღლესი, პროფესიული და სხვა); განათლება როგორც ბიზნესი (სტატისტიკური მონაცემები ადასტურებენ, რომ საქართველოში სასწავლებლად შემოსული სტუდენტების რაოდენობა ჭარბობს იმავე მიზეზით გასულთა რიცხვს, რაც რეგიონში კონკურენციულ უპირატესობაზე მიუთითებს, ამიტომ ეს მიმართულებაც მნიშვნელოვანია); განათლება – ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო კვლევებში ჩასართავად; განათლება — ქვეყნის პრიორიტეტულ დარგებში ცოდნის სამკუთხედის მოდელის (განათლება – მეცნიერება — ბიზნესი) შესაქმნელად. რუსთაველის ფონდი, მართალია, მეცნიერების სხვადასხვა დარგს აფინანსებს, მაგრამ ეკონომიკას ნაკლებ ყურადღებას უთმობს. როდესაც მეცნიერი ამას აწყდება, იქ უკვე მოტივაცია და ინტერესიც იკლებს. არსებობს ასეთი გამოთქმა „ძველ ტიკებში ახალ ღვინოს არ ასხამენ“. განათლების ძველი მოდელით თანამედროვე სპეციალისტი, მეცნიერი ვერ გაიზრდება.

— დღეს უნივერსიტეტს ახალი რექტორი ჰყავს. თუ მიიტანეთ თქვენი ნაზრევი რექტორამდე? ბატონი ლადო ხომ ეკონომიკური სექტორის წარმომადგენელია...

— რექტორის რანგში ბატონ ლადოსთან ორჯერ მქონდა შეხვედრა, თსუ-ის აკადემიური საბჭოსა და სენატის გაერთიანებულ სხდომაზე და ერთ-ერთი პროექტის პრეზენტაციაზე, სადაც ჩემი მოსაზრებები ზოგადად გამოვთქვი. კარგი იქნებოდა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მართვის საკითხებისთვის ერთი კონფერენცია მიგვეძღვნა. აქ დასმული საკითხები საჯარო მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. თუ უნდა, რომ განათლებისა და მეცნიერების ახლანდელმა სამინისტრომ რამე ღირებული დადოს, იგი უფრო ახლოს უნდა მივიდეს უნივერსიტეტთან, პროფესურასთან, ვისაც ეს პრობლემები უშუალოდ ეხება...

— უნივერსიტეტში საკმაოდ დიდი ხანია მუშაობთ, თქვენი სტუდენტობაც გახსოვთ და მისწრაფებებიც, დღევანდელ თაობაზე რას იტყვით?

— ოცი წლის წინ და ცოტა უფრო ადრე მოდუნებული თაობა იყო და ამას, რა თქმა უნდა, სოციალიზმი განაპირობებდა. ახალგაზრდებს ნაკლები ამბიცია ჰქონდათ — სწავლის შემდეგ სადაც გაანაწილებდნენ, იქ მიდიოდნენ. თითქოს დაგეგმილი იყო შენი ცხოვრება... ახლა ასე აღარ არის. ახალგაზრდას სრული თავისუფლება აქვს — არჩევანი თვითონ გააკეთოს და ეს მომწონს.

დღეს ახალგაზრდობა უფრო მოტივირებული და მონდომებულია. ერთი განსხვავებაა კიდევ — ჩვენი დროის ახალგაზრდები ზრდილობიანნი იყვნენ, დღევანდელი ახალგაზრდობის ნაწილს კი აღზრდა აკლია. ისინი გაზარდეს, მაგრამ ვერ აღზარდეს! ეს სკოლის ბრალიც არის და ოჯახისაც. როცა სტუდენტებთან ამაზე ვსაუბრობ, გულმოდგინედ მისმენენ. უნივერსიტეტის მისია მარტო პროფესიული ცოდნის მიცემა არ არის, ჩვენ ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად მათ აღზრდაზეც უნდა ვიზრუნოთ. ზრდილობიან სტუდენტთან შემიძლია ძალიან თავმდაბალი ვიყო, უსაზღვროდ დავიხარჯო, მაგრამ ხისტი ვხდები, როცა უზრდელობას ვაწყდები...

— როგორ ფიქრობთ, შეიძლება იყოთ კარგი მეცნიერი და, ამავე დროს, ოჯახის სამაგალითო დედაც?

— ოჯახმა ხელი უნდა შეგიწყოს. რთულია ოჯახს, ქმარს, შვილებს და მეცნიერებას ერთნაირად ემსახურო. მე, სამწუხაროდ, პირად ცხოვრებაში არ გამიმართლა... „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი შვილის მშობელი“ — ზუსტად ჩემზეა ნათქვამი...

— რა გჭირდებათ იმისათვის, რომ თავი კომფორტულად იგრძნოთ?

— სასწავლო გარემოში თავი კომფორტულად რომ იგრძნო, ამისათვის სასწავლებლის ინფრასტრუქტურაც უნდა გიწყობდეს ხელს. ეფექტიან დაფინანსებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. შესაცვლელია აკადემიურ პერსონალთან თსუ-ის შრომითი ხელშეკრულების ფორმაც. ამ ოთახში ხუთი პროფესორი ზის, თითოეულს თორმეტი საკონსულტაციო საათი გვაქვს და ეს მაშინ, როცა არც კომპიუტერი, არც ინტერნეტი და არც სიმყუდროვეა. არადა, მეცნიერს ყველაზე მეტად ეს სჭირდება. კვირაში 12 საათის განმავლობაში ასეთ პირობებში ყოფნა დროის ფუჭად ხარჯვაა და მეცნიერს ძალზედ აზარალებს. რა თქმა უნდა, აუცილებელია საკონსულტაციო საათები, მაგრამ შედარებით მცირე რაოდენობით. ინფრასტრუქტურა და შესაფერისი გარემო — მეცნიერისთვის საჭირო ორი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ცნობილია, რომ კანტმა მისი ფანჯრის წინ გაზრდილი ხე მოაჭრევინა, ვინაიდან მან სამუშაო გარემო შეუცვალა. გონებრივ შრომას სხვა გარემო სჭირდება...

— როგორ შეაფასებთ განვლილი ცხოვრების გზას?

— აუცილებლად იგივე გზას გავივლიდი. ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე. რა თქმა უნდა, შემეძლო უფრო მეტად წარმატებული ვყოფილიყავი, მაგრამ ეს გზა არ ავირჩიე. როგორც პიროვნება, ალბათ, შევიცვლებოდი. ეს ხომ ქანქარას პრინციპია — რაც უფრო ზევით მიდიხარ, მეტ კომპრომისებთან შეგუება გიწევს და ეს არც ისე ადვილია. ჩემი საქმე მიყვარს, ამ საქმეს ვაკეთებ კარგად, აქ ვიხარჯები... კარიერის გამო პრინციპებისთვის არასდროს მიღალატია. შინაგანი თავისუფლება ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია!

2013 წელი ნიკო ლორთქიფანიძის წლად გამოცხადდა

ნიკო ლორთქიფანიძე, რასაც ვერასოდეს შეეგუებოდა, მონობა და ღირსების შელახვა იყო — ეს მან მისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაადასტურა. იმერეთის პატარა სოფელ ჩუნეშში დაბადებული, თავადაზნაურთა ჩამომავალი, ევროპაში „პრინც ლორთქიფანიძედ“ წოდებული ცნობილი მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე, თუ საჭირო იყო, დუელზეც არ იხევდა უკან და ყოველთვის ახერხებდა დაერწმუნებინა მკითხველი, რომ თავისუფლებისთვის ებრძოლა, რადგან მონობაზე დათანხმება სიკვდილის ტოლფასი იყო.

ნიკო ლორთქიფანიძემ ლიტერატურული მოღვაწეობა 1902 წელს დაიწყო. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა თემატური მრავალფეროვნებითა და ჟანრთა ნაირსახეობით (200-მდე მინიატურა, ნოველა, მოთხრობა, 1 რომანი, 2 პიესა) გამოირჩევა. მან მნიშვნელოვნად განსაზღვრა XX საუკუნის ქართული პროზის განვითარება.

როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებებში პერსონაჟთა ხატვის ზოგიერთ თავისებურებაზე დაკვირვებას ქართული ეროვნული ხასიათის კვლევამდე მიჰყავს მკითხველი. განსაკუთრებით საინტერესოა ამ კუთხით მწერლის პუბლიცისტიკა, რომელიც, რაც უნდა გასაკვირი იყოს, დღემდე ბოლომდე საფუძვლიანად არ არის შესწავლილი.

2010 წელს XX საუკუნის ერთერთ თვალსაჩინო ქართველ კლასიკოსს დაბადებიდან 130 წელი შესრულდა, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი თარიღი არავის გახსენებია. მოგვიანებით „შეცდომა“ თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა გამოასწორა და 2013 წელი ნიკო ლორთქიფანიძის წლად გამოაცხადა. სწორედ ამ მნიშვნელოვან მოვლენას მიეძღვნა თელავში გამართული სამეცნიერო კონფერენცია, ეგიდით — „კლასიკოსთა გაკვეთილები“, რომელიც თსუ-ის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივით გაიმართა.

„ბოლო დროს, სამწუხაროდ, კლასიკოსი მწერლების საიუბილეო თარიღები დავიწყებას მიეცა. ასეთი მასშტაბის მოღვაწეებს მეტი დაფასება და პატივისცემა სჭირდებათ. ამ რანგის მწერალი, როგორიც ნიკო ლორთქიფანიძეა, ევროპაში რომ დაბადებულიყო, იგი დღეს ცნობილი მსოფლიო კლასიკოსების რიგში იქნებოდა და მისით ნებისმიერი კულტურული ერი იამაყებდა. სამწუხაროდ, ჩვენ სათანადოდ ვერ ვაფასებთ მის შემოქმედებას. ამიტომაც გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ „გაგვეცოცხლებინა“ მისი შემოქმედება და ყოველწლიური სემინარის — „კლასიკოსთა გაკვეთილების“ — ფარგლებში ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაზე გვესაუბრა“, — აღნიშნა კონფერენციის ორგანიზატორმა, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა. მისი ინფორმაციით, კონფერენციაზე წარმოდგენილმა მასალებმა ცხადყო, რომ მწერლის შემოქმედებას ჯერ კიდევ საფუძვლიანი კვლევა სჭირდება.

„დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“

გიორგი გოგოლაშვილის მოსაზრებით, შესასწავლია ძველი აკადემიური გამოცემები, სადაც ხშირად არასწორად არის შერჩეული ძირითადი ვარიანტები.

მაგალითად, „თავსაფრიანი დედაკაცის“ ეპიგრაფი ავტორის სიცოცხლეში განხორციელებულ ბოლო გამოცემებში (1937-1941 წწ) შეკვეცილია, რაც მაშინდელი ცენზურის „დამსახურებაა“. პირველ გამოცემებში ეპიგრაფი უფრო ვრცელია. ბოლო წინადადების წინ გამოტოვებულია: „ნუ დამიწუნებთ! არ შემიძლია გრძნობა-გონება შევაჩერო დიდ პიროვნებებზე, ისინი აშლიან სულის შემხუთავ სურათებს... შემდეგ, ოდესმე, მათ აღმოუჩნდებათ მოციქული მარკოზი, ან იოანე“.

„აღსანიშნავია, რომ ეს მოთხრობა მწერლის სიცოცხლეში 5-ჯერ დაიბეჭდა, ეპიგრაფიც სრულად იბეჭდება პირველ გამოცემებში, 30-იან წლებში კი შეამოკლეს, არადა, გამოტოვებული ადგილის გარეშე ეპიგრაფი აზრს კარგავს. ავტორი წინასწარ გვაცნობს პერსონაჟს, როგორც „დიდ პიროვნებას“, ისეთად, რომლის ცხოვრებაც ღირსია მოციქულთა სწორმა მწერალმა აღწეროს. იგი წმინდანად წარმოაჩენს პერსონაჟს და მკითხველს წინასწარ განწყობას უქმნის. ამიტომ ამ მონაკვეთის ამოღება ეპიგრაფის მიზანს აუბრალოებს. როგორც ჩანს, 1937 წლის გამოცემაში ცენზორს „უყოჩაღია“ და შეუმჩნევია, რომ მარკოზისა და იოანეს სახელები ქრისტესთანაა დაკავშირებული და ამას შეეწირა ეს ადგილი. როგორც ჩანს, ავტორიც იძულებული იყო დათანხმებოდა ცენზორის მოთხოვნას.

აქ ერთი საინტერესო დეტალიც არის: ძირითადად მიჩნეულ ვარიანტში (1937 წ.) არ ჩანს მოთხრობის ბოლო წინადადებაც: „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“. ეს ფაქტი, გარკვეულწილად, უნდობლობას იწვევს ამ აკადემიური გამოცემის მიმართ. მოწოდებაც არის რედაქტორების მიმართ — რომ მეტი ყურადღებაა საჭირო, როდესაც კლასიკურ მწერალზე ვსაუბრობთ“, — აღნიშნა გოგი გოგოლაშვილმა.

ნიკო ლორთქიფანიძის პუბლიცისტური მემკვიდრეობა დღემდე შეუსწავლელია

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბოლომდე არ არის შესწავლილი ნიკო ლორთქიფანიძის პუბლიცისტიკაც, რაც, პუბლიცისტის და მეცნიერებათა მკვლევრის იოსებ ჭუმბურიძის აზრით, ქართული ჟურნალისტიკისმცოდნეობის სერიოზულ ნაკლზე მიუთითებს. ამიტომ საინტერესოა მკვლევრის მოსაზრება, რომელიც ამ მიმართულებით კვლევას მომავალშიც აპირებს.

„კაფანდარა იყო, მეჩხერი ულვაშით და კოხტად შეკრეჭილი მოკლე წვერით. სათვალიდან დაღლილი იცქირეგოდა, მუშიდი ნაბიჯით დადიოდა, სახეზე მუდამ ნაღვლიანი შთაგონება ეფინა და ჩუმი ირონიით შეფერილი „მწარე“ ღიმილი იცოდა. ძალზე თავისებური და შეუცნობელი გარეგნობა ჰქონდა“, — წერდა მასზე სიმონ ჩიქოვანი. დიდ ნოველისტს, რომელიც მინიატურული პროზის დიდოსტატად იქცა, თხროგის განსაკუთრებული მანერა ჰქონდა და, პირველ რიგში, ადამიანის „სული“ აინტერესებდა. „უმთავრეს მიზნად დავისახე მკითხველში ერთგვარი სულის განწყობილება გამომეწვია... სიტყვის საშუალებით მუსიკის საწადელი მიმეღწია... სულის დახატვა სხეულის დახატვას არ ჰგავს, სულის დახატვა უფრო ძნელია“, — წერდა ნიკო ლორთქიფანიძე.

იოსებ ჭუმბურიძე: ნიკო ლორთქიფანიძე, რა თქმა უნდა, იმ დიდ მწერალთა რიცხვშია, ვისი შემოქმედებითაც უდგას სული ჩვენს სამშობლოს. მისი ,,იყიდება საქართველო“ ყველა დროის ქართველობას ისევე აფხიზლებს, როგორც ილიასეული ,,ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს.“ ნიკო ლორთქიფანიძეს ვრცელი პუბლიცისტური მემკვიდრეობა არ დაუტოვებია, მაგრამ რაც დატოვა, დღემდე თითქმის შეუსწავლელია. ცნობისთვის: მისი თხზულებების ოთხტომეულში პუბლიცისტიკა მხოლოდ ოცდაორი სტატიითაა წარმოდგენილი და ორმოცდაათიოდე გვერდზეა დატეული. ყველაზე ვრცელი სტატია ხუთ გვერდს ძლივს ავსებს. ლაკონიზმი ნიკო ლორთქიფანიძის პუბლიცისტიკას ისევე გამოარჩევს, როგორც მის პროზას. ეს თვისება პუბლიცისტურ ტექსტს განსაკუთრებულ ექსპრესიულობასა და სიმძაფრეს სძენს.

თუ ნიკო ლორთქიფანიძის პუბლიცისტიკას ამავე საზომებით განვსჯით, როგორც არჩილ ჯორჯაძე აფასებდა ილიას პუბლიცისტიკას, დავინახავთ, რომ ისიც იმასვე ემსახურებოდა და ეთაყვანებოდა, რასაც ილია.

„ხელიდან გვეცლება მიწა, იკარგება ენა, თავს გვენგრევა ციხე-ტაძარი...“ ეს სიტყვები ილიასეულ სულისკვეთებას ეხმიანება, თუმცა, არსებობს ერთი პრინციპული განსხვავება: თუ ილია სამი ღვთაებრივი საუნჯის მოვლა-პატრონობას გვიქადაგებდა, ნიკო ლორთქიფანიძე უკვე შედეგზე ნუხს — იმაზე, რომ ვერ მოვუარეთ და ხელიდან გვეცლება.

საინტერესო პუბლიცისტურ ხერხს მიმართავს ნიკო ლორთქიფანიძე სტატიაში ,,ოცნება და სინამდვილე”. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სტატია დაწერილია 1936 წელს. კარს მომდგარია ავად სახსენებელი 1937 წელი –მწერალმა გარკვეული ხარკი უნდა გაიღოს, თავი რომ გადაირჩინოს. ხოტბაც კი უნდა აღუვლინოს საბჭოთა ხელისუფლებას. ნიკო ლორთქიფანიძე სახოტბო სტილს თავს ოსტატურად აარიდებს და მკითხველს ოცი წლის წინანდელ საქართველოში გადაიყვანს: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ოთახში შეკრებილან ქართული საქმის იმჟამინდელი მესვეურნი და ბაასობენ, სინამდვილეში, ოცნებობენ უნივერსიტეტის გახსნაზე, კოლხეთში ჭაობების ამოშრობაზე, სამგორის უდაბნოს გაცოცხლებაზე, გაზეთების ტირაჟების გაზრდაზე, ილიასა და აკაკის რჩეული თხზულებების გამოცემაზე... ბოლოს მწერალი დასძენს: ,,ეს ოცნებები ხომ გადაჭარბებით განახორციელა საბჭოთა ხელისუფლებამ”.

სტატია, თითქოს, დამთავრებულია. აუცილებელი ხარკიც გაღებულია. მაგრამ უცებ გვხვდება ასეთი პასაჟი: ,,სინამდვილეზე აღარაფერს იტყვი, მწერალო? – იქნება მომაძახოს მკითხველმა. თქვენს წამოძახილშია უკვე პასუხი, მეგობარო — მკითხველო. ამ წამოძახილისთვის დავწერე რამდენიმე სტრიქონი და მიზანს მივაღწიე.” ჩვენი აზრით, მართლაც, არაჩვეულებრივი ხერხია მოძებნილი ცენზურისთვის თვალის ასახვევად, მკაცრ დროში სიმართლის სათქმელად.

ასეთი ფინალი სულ სხვა დატვირთვასა და მნიშვნელობას სძენს სტატიის, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ სათაურს, რაც თვალსაჩინოდ ადასტურებს იმას, რომ დიდი მწერლები დიდ პუბლიცისტიკასაც ქმნიან...“

ნიკო ლორთქიფანიძე 64 წლის ასაკში, 1944 წელს გარდაიცვალა. ის ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს, საიდანაც 1954 წელს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

მოამზადა **შურთხია ბეროშვილმა**

სტუმრად ჭაბუა ამირეჯიბთან

ამბობენ, რომ პირველი ინტერვიუ პირველ სიყვარულს ჰგავს — არასდროს დაგავიწყდება და თან საოცარი ღელვა ახლავს. არ დაგავიწყდება მით უფრო, თუ პირველი რესპონდენტი... არც მეტი, არც ნაკლები — ჭაბუა ამირეჯიბია.

ხატია სამხარაძე, მარი ფალელაშვილი, თეა ლუსმანაშვილი თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები არიან, მაგრამ მეორად პროფესიად ჟურნალისტიკა აქვთ არჩეული — მათ „ნამდვილ“ ჟურნალისტობამდე ჯერ კიდევ დიდი გზა უნდა გაიარონ, მაგრამ მიზნის მისაღწევად მზად არიან დაბრკოლებებს არ შეუშინდნენ..

ჭაბუა ამირეჯიბთან ინტერვიუს ჩაწერის იდეა მაშინ დაიბადა, როდესაც მეგობრები მწერლის შემოქმედებაზე საუბრობდნენ. მათი გადაწყვეტილება — პირადად მწერლისგან გაეგოთ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალები, თავიდან ცოტა არ იყოს, „სახიფათოდ“ მოეჩვენათ — ამიტომ ინტერვიუზე წასვლამდე სათანადოდ მოემზადნენ. „თავდაპირველად, რაც გავაკეთეთ, ის იყო, რომ კიდევ ერთხელ გადავიკითხეთ ბატონი ჭაბუას ნაწარმოებები და მისი ბიოგრაფია. გვაღელვებდა ის ფაქტი, რომ ასეთ გენიალურ ადამიანთან, რომელიც საბედნიეროდ, ჩვენი თანამედროვეა, პირისპირ მოგვიწევდა შეხვედრა. გარკვეულწილად, გვეშინოდა კიდეც, რომ იგი არ მოისურვებდა დამწყებ, გამოუცდელ ჟურნალისტებთან შეხვედრას, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავდით“, — ამბობს ხატია სამხარაძე.

ერთი თვის ლოდინის შემდეგ სტუდენტებს ჭაბუა ამირეჯიბის მეუღლემ თამარ ამირეჯიბმა ნება დართო შეხვედროდნენ მწერალს და ინტერვიუ ჩაეწერათ.



„ჭკუით, ქართველებო!“

— ბატონო ჭაბუა, ზოგადად, ერისკაცობასა და ბერობას შორის დიდი სხვაობაა, არის თუ არა განსხვავება ჭაბუა ამირეჯიბსა და ბერ დავითს შორის?

— ბერად შედგომა ოფიციალური რამ იყო, ამას არავითარი ცვლილება ჩემს ხასიათში არ მოუტანია. მე ისევ ის მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი ვარ, თუმცა სიბერის გამო ღირებულს ვეღარაფერს ვწერ.

— თქვენმა შემოქმედებამ დადებითად იმოქმედა ქართველ ერზე, ხალხში ღირსების, სამართლიანობის, პატრიოტიზმის ის ნაპერწკალი გააღვივა, რომელიც ჩამქრალი იყო. რა როლი ეკისრება მწერალს დღევანდელობაში და როგორ შეაფასებთ თანამედროვე მწერლობას?

— თქვენს პირს შაქარი! ქართველი მწერალი, ვფიქრობ, სხვათაგან იმით განსხვავდება, რომ ძალიან თავისებური ერის მსახური და ჟამთააღმწერელია. რასაც ვწერდი, ჩემი ერის აზრი, სურვილი და საკუთრება იყო.

— ბატონო ჭაბუა, ჩვენ ვართ ქართული ფილოლოგიის სტუდენტები, თუმცა გვსურს ჟურნალისტის პროფესიასაც დავეუფლოთ. თქვენ ჩვენი პირველი რესპონდენტი ბრძანდებით, რაც ძალიან გვახარებს. თითქმის ყველას ჰყავს მისაბაძი ადამიანი, ვისაც აფასებს და ვინც მისთვის იდეალურია. პირადად თქვენ გყავდათ თუ არა მისაბაძი ადამიანი?

— რა თქმა უნდა, მაგრამ მისაბაძი ადამიანი კი არ მყოლია, ადამიანის ეტალონს ვეძიებდი მთელი სიცოცხლის მანძილზე, რათა ამ უძნელეს და უძვირფასესი კითხვის პასუხით წარვდგომოდი ჩემსავე თავს და ჩემი ერის ინტელექტს.

— თქვენ სწავლობდით იურიდიულ ფაკულტეტზე და გადახვედით ქართულ ფილოლოგიაზე, რაც ჩვენთვის, მომავალი ფილოლოგებისთვის, ძალიან საამაყოა. რამ განაპირობა თქვენი ეს გადაწყვეტილება?

— ეგ ცვლილება და სურვილი ჩემს არსებობაში გამოიწვია იმან, რომ მინდოდა ვყოფილიყავი არა მარტო ეროვნებით ქართველი, არამედ ერისა და სამშობლოს ისეთივე სასურველი და სასარგებლო პიროვნება, როგორც უკლებლივ ყოველი ჩემი წინაპარი იყო.

— ამქვეყნად მრავალი ადამიანი ახერხებს თავისი კვალის დატოვებას, მაგრამ მთავარია, ეს კვალი არ წაიშალოს. მინდა გითხრათ, რომ თქვენ ხართ პიროვნება, რომლის ნაკვალევსაც ვერავითარი თოვლი და წვიმა ვერ წაშლის... დღეს საქართველოში ძალიან რთული ვითარებაა კულტურული, ტერიტორიული და პოლიტიკური თვალსაზრისით. თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს და რა რჩევას მოგვცემთ მდგომარეობის გამოსასწორებლად?

— ეგ კითხვა ერთობ რთული პასუხის გასაცემია. პრაქტიკულად, თქვენ მეკითხებით — როგორ უნდა მივაღწიოთ, რა გზებითა და ხერხებით უნდა მოხდეს ჩვენი ერის ზნეობრივი, გონებრივი და კულტურული სრულყოფა. ამის პასუხი, მგონია, ქართველმა მომავალმა თაობებმა უნდა მონახონ, გააცნობიერონ და აღსრულებულ ფაქტად აქციონ. ისე კი რამდენჯერმე მაქვს ნაწერებში გამოყენებული შეძახილი — „ჭკუით ქართველებო!“

— ხშირად ადამიანს ცხოვრებისეული სირთულეები ასუსტებს და ბრძოლის უნარს უკარგავს, თქვენ პირიქით გაგაძლიერათ. როგორ უნდა გადავლახოთ დაბრკოლებები ღირსეულად?

— მაგაზე ასე გიპასუხებთ: ჩემმა ბავშვობის აღმზრდელმა ქალბატონმა მელანო მეძმარიაშვილ-გველესიანმა ჩამაგონა, რომ ადამიანის, კერძოდ, ქართველის საქციელი უნდა გამომდინარეობდეს ქართველი ერის ინტერესებიდან და არა ეგოიზმიდან. „აკეთე და იცხოვრე ისე, როგორც შენი ერის წარსულმა, აწმყომ და მომავალმა მოგთხოვოს და არა ისე, როგორც შენმა პატივმოყვარეობამ.

ხატია სამხარაძე,
მარიამ ფალელაშვილი,
თეა ლურსმანაშვილი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები

ბრძანება

№101/01-01 11.09.2013

„ა(ა)იპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2013 წლის 8 ივლისის №71/01-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ს“ ქვეპუნქტების, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ნ. მაჭარაშვილის 2013 წლის 9 სექტემბრის №25847/02 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „ა(ა)იპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2013 წლის 8 ივლისის №71/01-01 ბრძანებაში და ბრძანების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კონკურსი გამოცხადდეს 2013 წლის 8 ივლისს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2013 წლის 16 აგვისტოდან 2013 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2013 წლის 10 ოქტომბრისა.

2. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს;

3. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“.

4. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, აკადემიკოსი
ვლადიმერ პაპავა

ბრძანება

№102/01-01 11.09.2013

ა(ა)იპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ს“ ქვეპუნქტების, 46-ე მუხლის, 47-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის 31 დადგენილებით დამტკიცებული ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ამავე წესის მე-3 მუხლის, ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 3 სექტემბრის №13/04 ერთობლივი ბრძანების „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ნ. მაჭარაშვილის 2013 წლის 5 სექტემბრის №25304/02 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ და ასისტენტ - პროფესორთა სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტი;

4. კონკურსი გამოცხადდეს 2013 წლის 11 სექტემბერს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2013 წლის 15 ოქტომბრიდან 2013 წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2013 წლის 15 ნოემბრისა.

5. კონკურსი გამოცხადდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა სამსახურში მისაღებად შემდეგი მიმართულებებით:

ა) სოციოლოგიის მიმართულება

ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული;

ბ) ფსიქოლოგიის მიმართულება

ასისტენტ პროფესორი – 2 საშტატო ერთეული;

6. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი.

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

7. ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) სამოტივაციო წერილი.

8. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2013 წლის 15 ოქტომბრიდან 2013 წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით. 9^{30}-დან 18^{00} საათამდე. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. № 8 (VI კორპუსი) ოთახი №202;

9. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

10. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს;

11. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა;

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, აკადემიკოსი
ვლადიმერ პაპავა

ბრძანება

№110/02-01 30.09.2013

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ლაბორანტის (ფიზიკური და ანალიზური ქიმიის ლაბორატორია) თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 15-ე მუხლის პირველი პუნქტის, 16-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' და ,,პ" ქვეპუნქტების, „ა(ა) იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 11 სექტემბრის №14/04 ერთობლივი ბრძანების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის რამაზ ბოჭორიშვილის 2013 წლის 25 სექტემბრის №30135/02 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ლაბორანტის (ფიზიკური და ანალიზური ქიმიის ლაბორატორია) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად;

2. კონკურსი გამოცხადდეს 2013 წლის 30 სექტემბერს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2013 წლის 7 ოქტომბრიდან 2013 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით;

3. კონკურსი ჩატარდეს საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 თვის ვადაში.

4. კონკურსი ცხადდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ლაბორანტის (ფიზიკური და ანალიზური ქიმიის ლაბორატორია) - 1 საშტატო ერთეულზე.

5. ლაბორანტის თანამდებობაზე ხელფასი განისაზღვრება თვეში 385 (სამას ოთხმოცდახუთი) ლარით.

6. ლაბორანტის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;

დ) უმაღლესი განათლების, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

ე) სამოტივაციო წერილი;

ვ) სამუშაო გამოცდილება პროფილის შესაბამისად.

7. ვაკანტურ თანამდებობაზე შერჩეულ პირს ეზღუდება სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება;

8. დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ლაბორანტის (ფიზიკური და ანალიზური ქიმიის ლაბორატორია) თანამდებობაზე შესარჩევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) შოთა სამსონია – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი – კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ნუნუ ლაბარტყავა – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ლაბორატორიის გამგე - მდივანი;

გ) ელენე კაცაძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ლაბორატორიის გამგე;

დ) ელიზა მარქარაშვილი - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ლაბორატორიის გამგე;

ე) რუსუდან ვარდიაშვილი - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ლაბორატორიის გამგე;

ვ) თეა ლობჟანიძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ლაბორატორიის გამგე;

9. დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ლაბორანტის (ფიზიკური და ანალიზური ქიმიის ლაბორატორია) თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი კომისიის მუშაობის წესი (დანართი №1);

10. საბუთების მიღება იწარმოებს 2013 წლის 7 ოქტომბრიდან 2013 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით 10^{00}-დან 17^{00} საათამდე, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თსუ II კორპუსი;

11. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ და განთავსდეს თსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

12. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაინტერესებული პირისა და დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა.

13. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
დ. ჩომახიძე

დანართი №1

დამტკიცებულია სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის „30. 09“ №110/02-01 ბრძანებით

1. კონკურსის მიზანი

1. კონკურსის მიზანია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ლაბორანტის შერჩევა.

2. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით იქმნება კომისია.

2. კომისიის შემადგენლობა

კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი;

3. საკონკურსო კომისიის ფუნქციები

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

კონკურსის წესით ლაბორანტის შერჩევა.

საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს კონკურსანტი გასაუბრებაზე;

4. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

კომისია კონკურსანტის დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ლაბორანტის თანამდებობრივ მოთხოვნებთან.

კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის წევრს არ აქვს უფლება თავისი ხმა გადასცეს კომისიის სხვა წევრს.

კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.

იმ კანდიდატების შორის, რომლებმაც თანაბარი ხმები მიიღეს, კენჭისყრა ეწყობა ხელახლა.

გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ სპეციალისტთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

5. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ვულოცავთ!

ვახტანგ აბაშიძე — 85

დაბადებიდან 85 წელი უსრულდება ცნობილ მეცნიერ-გეოფიზიკოსს და უმაღლესი სკოლის პედაგოგს, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო და აკადემიკოს მ. ალექსიძის სახელობის პრემიების ლაურეატს, ღირსების ორდენის კავალერს, პროფესორ ვახტანგ გრიგოლის ძე აბაშიძეს. იგი იმ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც თავიანთი ხანგრძლივი და დაუღალავი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული გეოფიზიკური მეცნიერების საგანძურში.

ვ. აბაშიძე დაიბადა 1928 წლის 9 სექტემბერს ხარაგაულის რაიონის სოფელ ისლარში. 1947 წელს დაამთავრა ხარაგაულის ვაჟთა I საშუალო სკოლა, ხოლო 1951 წელს ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის რუსული სექტორი, ფიზიკის განხრით. შემდეგ ექსტერნად დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიიღო გეოფიზიკოსის კვალიფიკაცია.

1952-1958 წლებში ვ. აბაშიძე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტის გეოფიზიკის კათედრაზე ჯერ ლაბორანტად, ხოლო 1954 წლიდან – ასისტენტად. 1958 წლიდან დღემდე იგი მუშაობს თსუ-ის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში: 1958-1965 წლებში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, 1965-1969 წლებში – უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1970-2005 წლებში ხელმძღვანელობდა დედამიწის ქერქის დინამიკის განყოფილებას. 2006 წელს იგი დაამტკიცეს მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე და დაევალა მსხვილ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებსა და მათ ფუძეში გეოდინამიკური მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელობა.

ვ. აბაშიძემ სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაციები — 1963 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1995 წელს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებლად.

ფართოა ვ. აბაშიძის მეცნიერული კვლევის დიაპაზონი, მაგრამ მეცნიერული მოღვაწეობის ძირითად მიღწევად მაინც ენგურჰესის რაიონში დედამიწის ქერქის დეფორმაციული პროცესების უწყვეტი გეოფიზიკური მონიტორინგი უნდა ჩაითვალოს, რომელსაც იგი ამ ბოლო 45 წლის მანძილზე შესაშური ენთუზიაზმით და მიზანდასახულობით აწარმოებს.

ბატონი ვახტანგი 150-მდე მეცნიერული შრომის ავტორია, რომელთაგან ორი რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული მონოგრაფიებია, რომლებიც ეძღვნება ენგურის უნიკალური მაღლივი თაღოვანი კაშხლისა და მისი ფუძის ქანების დაძაბულ-დეფორმაციული პროცესების კვლევის შედეგებს. აღსანიშნავია, რომ ძირითადად ამ კვლევების საფუძველზე ევროსაბჭომ 1996 წლიდან საქართველოში დააფუძნა „მაღლივი კაშხლების გეოდინამიკური რისკის“ ცენტრი, მისი მიზანია განავითაროს კომპლექსური მიდგომა გეოდინამიკურ რისკებზე, რომლებიც დაკავშირებულია დიდი კაშხლების მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან. ამავე დროს ეს ცენტრი მოწოდებულია საერთაშორისო მასშტაბით ხელმისაწვდომი გახადოს ენგურჰესზე მიღებული შედეგები ანალოგიური ობიექტებისთვის.

ვ. აბაშიძეს ჩატარებული მრავალწლიანი კვლევების საფუძველზე 1994 წელს თავის კოლეგებთან ერთად მიღებული აქვს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში უმაღლესი ჯილდო – საქართველოს სახელმწიფო პრემია, ხოლო 2002 წელს მონოგრაფიისათვის

„გეოდინამიკური პროცესების გეოფიზიკური მონიტორინგი ენგურის მაღლივი კაშხლის რაიონში“ აკადემიკოს მ. ალექსიძის სახელობის პრემია მიენიჭა.

სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ვ. აბაშიძე კარგად უთავსებს პედაგოგიურ მოღვაწეობას უმაღლეს სასწავლებლებში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მან მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო და 1954-1966 წლებში სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს დედამიწის ქერქის ფიზიკასა და ზოგად გეოფიზიკაში. 1988 წლიდან ვ. აბაშიძე შეთავსებით მუშაობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჯერ დოცენტად, ხოლო 1996 წლიდან პროფესორად. იგი ლექციებს კითხულობს სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტში და მიჰყავს გეოდეზიური გრავიმეტრიისა და გეოდეზიური ასტრონომიის კურსები. იგი თავის ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას გადასცემს ახალგაზრდა თაობას — ბაკალავრებს, ხელმძღვანელობს მაგისტრანტებს და დოქტორანტებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მომავალი სპეციალისტების მომზადებაში.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწეობის დროს მან გამოსცა „ლაბორატორიული პრაქტიკუმი გეოდეზიურ გრავიმეტრიაში“ (1999წ.) და „გეოდეზიური გრავიმეტრიის მოკლე კურსი“ (2004წ.), რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.

2000 წელს ვ. აბაშიძე გეოფიზიკური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ქვეყნის მაღალი ჯილდოთი – ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ იგი დღესაც ახალგაზრდული ენერგიითა და მომავლის დიდი გეგმებით განაგრძობს მუშაობას, რაც ფასდაუდებელს ხდის მის მოღვაწეობას გეოფიზიკის ინსტიტუტში. ნიშანდობლივია, რომ სულ ახლახან ტექნიკურ უნივერსიტეტში იგი ერთხმად აირჩიეს ახალი ოთხწლიანი ვადით სრული პროფესორის თანამდებობაზე. ჩვენ ისღა დაგვრჩენია უსურვოთ მას დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა, მხნეობა და წარმატებები სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექცია და სამეცნიერო საბჭო

იუბილე

პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა

თამარ დადიანი

პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალურ პრობლემებზე იმსჯელეს თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომლის თემა გახლდათ: „პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“. კონფერენციის სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტის წევრები იყვნენ: თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის, ვ. გეტმანის სახელობის კიევის ეროვნული ეკონომიკური უნივერსიტეტის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის პროფესორი ალი ალირზაევი, ვ. გეტმანის სახელობის კიევის ეროვნული ეკონომიკური უნივერსიტეტის პროფესორი ოლგა იაცენკო, ასევე, მეცნიერები უკრაინის, რუსეთისა და ჩეხეთის სამეცნიერო წრეებიდან.

საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენციის მეორე დღე გამოჩენილი ქართველი მეცნიერის და პედაგოგის გიორგი პაპავას ხსოვნას მიეძღვნა, რომელიც 89 წლის ასაკში გარდაიცვალა და რომლითაც დღესაც ამაყობს ქართველ ეკონომისტთა მრავალათასიანი არმია.

პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა, რომელსაც ქართველი მეცნიერები, კოლეგები და მეგობრები ესწრებოდნენ, გახსნა თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა რამაზ აბესაძემ. მან დიდი მეცნიერის ბიოგრაფიასა და სამეცნიერო მიღწევებზე ისაუბრა. ასევე, ხაზგასმით აღნიშნა ბატონი გიორგის იშვიათი ადამიანური თვისებები, რომელიც ყოველთვის აღფრთოვანებასა და პატივისცემას იწვევდა: „როდესაც ინსტიტუტის დირექტორად ამირჩიეს, ბატონი გიორგი ინსტიტუტში ველარ დადიოდა. შევჩივლე: — ნეტავ, შეგეძლოთ მოსვლა, თქვენი მხარდაჭერა ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანია ჩემთვის-მეთქი. მან მიპასუხა: — მხარდაჭერას სიარული არ სჭირდება, კარგ საქმეში აქედანაც დაგიჭერ მხარსო. მართლაც, ხშირად მიგრძვნია მისი დახმარება და გვერდში დგომა.

მასთან ვერასდროს მოიწყენდით, დადებითი მუხტი წამსვე გადმოგედებოდა. მიუხედავად ასაკისა და ავადმყოფობისა, იგი ბოლომდე არ წყვეტდა სამეცნიერო მუშაობას, სიახლეების ძიებას“, — აღნიშნა პროფესორმა რამაზ აბესაძემ.

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ლეო ჩიქავამ, რომელსაც გიორგი პაპავასთან 66 წლიანი მეგობრობა აკავშირებდა, ისაუბრა მეცნიერის ღვაწლსა და პიროვნულ თვისებებზე.

„გიორგიმ მეტად რთული ცხოვრების გზა განვლო, მაგრამ თავისი შეუპოვრობითა და არაჩვეულებრივი ნებისყოფით ყველა დაბრკოლება წარმატებით გადალახა და დასახულ მიზანს მიაღწია. მან თავის სახელოვან მასწავლებლებთან, კოლეგებთან და მოწაფეებთან ერთად, თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

გიორგი პაპავა ცნობილია როგორც ნოვატორი მკვლევარი, მეცნიერებაში გაუკვალავი გზით სიარულის მოყვარული სწავლული ეკონომისტი, რაც მისი ადრინდელი ნაშრომებიდანაც ჩანს, მაგრამ განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა ბოლო ორ მონოგრაფიაში: „შერეული საბაზრო ეკონომიკის რეალიების თვისებათა შემეცნების მეთოდოლოგია და პარალოგიზმები“ და „ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია“, — განაცხადა აკადემიკოსმა ლეო ჩიქავამ. მან ვრცლად ისაუბრა ბატონი გიორგის მეცნიერული სიახლეების შესახებაც.

„ღირსეული მამულიშვილი, ნოვატორი მეცნიერი“ — ასე დაახასიათა პროფესორი გიორგი პაპავა აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ: „იშვიათია ეკონომისტი მეცნიერი, რომელმაც რეალურად შეძლო კონკრეტულად ეჩვენებინა თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთგანპირობებულობის ხარისხი, მათი სიმბიოზის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა, როგორც ეს ბატონმა გიორგიმ შეძლო უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული ორიგინალური შრომებით. მისი ნაშრომები მეცნიერული კვლევის სიღრმით, მრავალმხრივობით, და რაც მთავარია, ინოვაციური სტილით, პრობლემების ხედვის ფართო დიაპაზონითა და არაორდინალური დასკვნებით გამოირჩევა“.

ბატონი გიორგის ღვაწლსა და პიროვნულ ხიბლზე ისაუბრეს მეცნიერებმა: თეიმურაზ შენგელიამ, გედევან ხელაიამ, უშანგი სამადაშვილმა და სხვებმა.

აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ მადლობა გადაუხადა კოლეგებს მამის, გიორგი პაპავას ღვაწლის დაფასებისა და თბილი მოგონებებისათვის და თვითონაც გაიხსენა რამდენიმე მომენტი მამასთან ურთიერთობისა: „მამაჩემს, როგორც ბუნებით მეცნიერს, არასდროს მოუხვევია თავს ჩემთვის საკვლევი თემა. ის თვლიდა, რომ თავად ვიყავი მეცნიერი, თუნდაც დამწყები, და თემაც ჩემი სამეცნიერო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა შემერჩია...

ყველაზე მძიმე პერიოდშიც კი, როცა კოლეგებმა მამაჩემს ომი გამოუცხადეს ახალი თეორიის — „ეკონომიკური ბირთვის“ გამო, მას არასოდეს დაუკარგავს ოპტიმიზმის გრძნობა. არ დამავიწყდება მისი სიტყვები: „მზად ვარ, შევიცვალო სამსახური, მაგრამ საკვლევ თემას კი არასოდეს შევცვლი! სწორედ კომუნისტურ ეპოქაში ჩამოყალიბებულმა მისმა თეორიამ განვითარება დამოუკიდებელ საქართველოში ჰპოვა, რადგან ამ თეორიის ობიექტური საფუძველი საბაზრო ეკონომიკა გახლდათ“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

პროფესორ გიორგი პაპავას ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული აქვს 130-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 18 მონოგრაფია. იგი თავის კოლეგებს შორის სარგებლობდა ავტორიტეტით, რაც განპირობებული იყო მისი ღრმა პროფესიონალიზმით, ფართო ერუდიციითა და მახვილგონიერებით. იგი დაჯილდოვებული გახლდათ საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიით, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის პრემიითა და ღირსების ორდენით.

იუბილარი

06/10
უშანგი სამადაშვილი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

07/10
მერაბ ჯიქია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

09/10
მერაბ ელიაშვილი, ვიცე-რექტორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

10/10
ლავრენტი მაღლაკელიძე, იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

11/10
ეკა ჩოხელი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

13/10
ზვიად კვიციანი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

14/10
ნაზირა კაკულია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

14/10
რომან ჯოგავა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

15/10
ბეჟან თუთბერიძე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

17/10
დავით ჩომახიძე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

17/10
ნინო დურგლიშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

17/10
ნანა მაჭარაშვილი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი.

18/10
კახაბერ ლორია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

19/10
ნოდარ ბელქანია, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

23/10
თამაზ გამყრელიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

27/10
დავით გოსტოღანაშვილი, იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

29/10
ქეთევან ჭკუასელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

ჭაბუა ამირეჯიბი: „იმისთვის, რომ მყარად იდგე, ბევრი უნდა ირბინო“.

ტრისტან მახაური: „მინდა, ადამიანში ადამიანი არ გაცივდეს...

უნივერსიტეტის სტუდენტთა ის ნაწილი, რომელსაც ბედნიერება აქვს პროფესორ ტრისტან მახაურს მოუსმინოს, მის მიმართ პატივისცემას ხშირად გამოხატავს. ის უყვართ, როგორც პროფესიონალი, ქართული ზეპირსიტყვიერების ზედმიწევნით მცოდნე და ფოლკლორის მოამაგე, უყვართ, როგორც ადამიანი და მაღალი ზნეობით გამორჩეული პიროვნება, რომელსაც ხალხური მარგალიტები გულით და გრძნობით დააქვს. მასთან მეგობრობა ბედნიერებაა, მასთან საუბარი — სიამოვნება.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ შეეცადა, მკითხველისთვის იგი ჩვეულებრივი და განსხვავებული გაეცნო.

მაია ტორაძე

— უნივერსიტეტი კარგად გიცნობთ, მაგრამ სტუდენტებს გავაცნოთ — ვინ არის ტრისტან მახაური?

— ჩემი ბავშვობა არაგვის ხეობასთან არის დაკავშირებული. დავიბადე ფშავის სოფელ გომეწარში 1959 წლის 1 ოქტომბერს. როგორც მეცნიერები ამბობენ, ქრისტიანობის გავრცელების პირველ წლებში, როცა ფხოვლებმა ქრისტეს რჯული არ მიიღეს, ამ სოფლიდან მოსახლეობა თუშეთს გადაიხვეწა და ეს ტოპონიმი – გომეწარიც თან წაიღო. დღეს კავკასიონს იქით მთელი ხეობაა, რომელსაც გომეწარი ჰქვია, მაგრამ მე ფშავის გომეწრიდან გახლავართ.

დუშეთის სკოლა-ინტერნატი დავამთავრე. პირველ წელსვე ვცადე ბედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ ვერ ჩავაბარე და ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციაში დავიწყე მუშაობა. ეს ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა დღევანდელი წყალსაცავის ფსკერზე და რამდენიმე უბნად იყო დაყოფილი. მე სამაროვანის გათხრებზე ვიმუშავე და, ჯერ კიდევ აბიტურიენტმა, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე – იმთავითვე ფოლკლორისტიკით ვიყავი გატაცებული და ამ ექსპედიციამ ჩემი ცოდნა გაამდიდრა.

1978 წელს გავხდი უნივერსიტეტის სტუდენტი. მას შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ადგილზე მომიწია მუშაობამ, უნივერსიტეტი ჩემი ცხოვრებიდან აღარ წასულა. 1985 წლის აპრილიდან ვმუშაობ აქ — ჯერ ლაბორანტი ვიყავი, მერე უფროსი მასწავლებელი, შემდეგ — დოცენტი. დღეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ვარ.

— გაიხსენეთ ადამიანები, რომლებმაც თქვენს ცხოვრებასა და შეგრძნებებზე დიდი გავლენა მოახდინეს...

— ჩემზე დიდი გავლენა იქონია გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მუშაობამ და მწერლებთან ურთიერთობამ. „ლიტერატურულ საქართველოს“ მაშინ ვახტანგ ჭელიძე ხელმძღვანელობდა. გარეგნულად თითქოს ანჩხლი კაცი იყო, მაგრამ შინაგანად დიდბუნებოვანი და ნიჭიერების დამნახავი ადამიანი გახლდათ. ერთ შემთხვევას გავიხსენებ — მე იქ სამეურნეო ნაწილს ვხელმძღვანელობდი, რადგან ჩემი სპეციალობით ადგილი ვერ ვნახე. ერთხელ ბატონმა ვახტანგმა თავის ოთახში სკამის შეკეთება დამავალა. ცხადია, დავეთანხმე და სკამი დროებით (იმ განზრახვით, რომ მოვბრუნდებოდი და შევაკეთებდი) თავის ადგილზე დავდგი. ეს საქმე, როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე — დამავიწყდა. ერთ დღესაც მწერალი რევაზ ჯაფარიძე შემოვიდა რედაქციაში — იმ პერიოდში მისი რომანი „მძიმე ჯვარი“ სასტიკად გააკრიტიკა თამაზ წივნივაძემ და საპასუხო წერილის დაბეჭდვა სურდა. შევიდა რევაზ ჯაფარიძე ბატონ ვახტანგთან და სწორედ იმ სკამზე ჩამოჯდა, რომელიც დაზიანებული იყო... ცხადია, სკამი დაიშალა... მე დერეფანში ვიდექი, როცა ბატონი ვახტანგის ყვირილი გავიგონე: „მოიყვანეთ ტიტე!..“ (ტიტეს მეძახდა)... შევედი, კარგად დამტუქსა და „დამეკარგე აქედან, თვალით აღარ დამენახოო“ — გამომისტუმრა... წამოვედი შეწუხებული... რამდენიმე დღე აღარ მივსულვარ რედაქციაში... მერე თავად ბატონმა ვახტანგმა დააბარა თანამშრომლებს, მოვიდეს და განაგრძოს მუშაობაო...

ვახტანგ ჭელიძეს ასეთი პრინციპი ჰქონდა — რახან ეს ლიტერატურული გაზეთია, ყველა თანამშრომელს მოუნდება აქ საკუთარი ნაწარმოებების გამოქვეყნება და სანამ მის შემოქმედებას კარგად არ გავიცნობ, გამოქვეყნებაზე არავინ შემაწუხოსო. მე ამის პრეტენზია არც მქონია. არასოდეს მისაუბრია მასთან ფილოლოგიაზე და არასოდეს წარმიდგენია ჩემი ლექსები. ერთ დღესაც ქალბატონი ანა კალანდაძე გვესტუმრა და ვახტანგ ჭელიძემ ჩემი თავი ასე წარუდგინა: „გაიცანი, ეს არის ძალიან კარგი ფილოლოგი, რომელმაც ზეპირად იცის ხალხური პოეზია და კლასიკური ლიტერატურა, თვითონაც მშვენიერ ლექსებს წერს...“ ძალიან შემრცხვა და გამიკვირდა... მეგონა ბატონი ვახტანგი არ მიცნობდა...

— როგორია ტრისტან მახაური უნივერსიტეტის გარეთ?

— ჩვეულებრივი. სოფელში რომ ავდივარ, ჩემი მეზობლებისგან არაფრით გამოვირჩევი, იქ ჩვეულებრივი სოფლელი გლეხი კაცი ვარ.

— თავისუფალ დროს რით ავსებთ? რა გიყვართ, რა განიჭებთ სიამოვნებას?

— ძალიან მიყვარს ქალაქში ხეტიალი. რევაზ ინანიშვილი წერდა: ხშირად იქ მინდა აღმოვჩნდე, სადაც მეტად ჩქეფს სიცოცხლე — ბაზარი იქნება თუ ქუჩაო. მეც მიყვარს უბრალო ადამიანებთან ურთიერთობა — მათგან ხშირად ისეთ რამეს გავიგონებ, რასაც უნივერსიტეტში ვერ მოვისმენ.

მიყვარს ექსპედიციები — მთებში სიარული... ამ ბოლო დროს ავადმყოფობამ შემიშალა ხელი, მაგრამ იმედი მაქვს, მალე ჩავდგები ფორმაში...

— გახსოვთ პირველი წიგნი, რომელმაც თქვენზე დიდი გავლენა მოახდინა?

— ეს იყო გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“... IV თუ V კლასში ვსწავლობდი მაშინ. სკოლა-ინტერნატში გაკვეთილების მომზადების დროს სხვა წიგნის კითხვა არ შეიძლებოდა. მახსოვს, მერხზე გადაშლილი მქონდა მათემატიკის წიგნი, მუხლებზე კი ჩემთვის საინტერესო წიგნს ვიდებდი და მალულად ვკითხულობდი. ასე წავიკითხე „ნატვრის ხეც“ და საოცრად იმოქმედა ამ წიგნის წინასიტყვაობამ: „დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო – ხშირად იტყოდნენ ჩემს ბავშვობაში. ჩემი სოფლის ტყის პირებში ია ბღუჯეულად ამოდიოდა. მეგონა მთელი ქვეყნის დედებს აქ ეტირნა“... დიდხანს მახსოვდა ეს ფრაზა... ცოტა რომ წამოვიზარდე, ასევე მალულად ვკითხულობდი გერონტი ქიქოძეს, ვახტანგ კოტეტიშვილს და სხვა ავტორებს... ბოლო კლასებში უკვე სამეცნიერო ლიტერატურამ გამიტაცა.

— თქვენ საქართველოს იმ კუთხიდან ხართ, ფოლკლორისტიც რომ არ იყოთ, მაინც სიღრმისეულად გეცოდინებოდათ ხალხური პოეზია. რომელი გამოთქმა მოგწონთ ყველაზე მეტად... რომელი ფრაზა აგეკვიატებათ ხოლმე?

— ფოლკლორულ გარემოში გავიზარდე და ვიცი, რა არის ფოლკლორი. ჩემს გარშემო ტრიალებდნენ ხალხური მთქმელები, ხევისბერები, შელოცვის ოსტატები, მოკაფიავები და ეს ღრმადაა გამჯდარი ჩემში. ბევრი რამ მომწონს, მაგრამ უფრო ფილოსოფიური ლირიკა მიტაცებს: „რავქნისა ციხე ავაგე,/ ჯავრი შევაბი კარადა,/ საიქიოდან მოვიდნენ ამ ციხის სანახავადა./ ბევრი უარეს მურგვალთა,/ კარ ვერ გატეხეს ძალადა,/ მერე თქვეს, დრო რომ მოვალის,/ კარ გაიღების თავადა“.

ძალიან მიყვარს ხმით ნატირალი პოეზია. მათში უბრალო ადამიანების ფილოსოფიური აზროვნება თვალსაჩინოდ არის გამოკვეთილი. ამ ხმით ნატირლებში დედები, უბრალო ადამიანები, სიკვდილს ამარცხებენ.



— ვინ იყვნენ თქვენი მეგობრები, რომლებთან ურთიერთობისას სულიერ საზრდოს იღებდით? ბევრმა მათგანმა მთის პოეზია პირველად ჩამოიტანა ბარში და ამ სასწაულს გვაზიარა. როგორ გაიხსენებდით ეთერ თათარაიძესთან, გოდერძი ჩოხელთან გატარებულ წლებს?

— გოდერძი აქვე, ყურის ძირში, ვაკის სტუდქალაქში გავიცანი. ძალიან წყნარი ბიჭი იყო. მახსოვს, როგორ მუშაობდა და წერდა თავის მოთხრობებს... როგორ ამწიფებდა აზრებს... ხანდახან გამოვუშვივართ კიდეც ოთახიდან – წადით, უნდა ვწეროო... ზოგჯერ მეც მიმიცია მისთვის საგზალი – მოვუყვებოდი რაღაც ამბავს ზეპირსიტყვიერებიდან, ის ჩაიწერდა და ცოტა ხნის მერე წამიკითხავდა ამ ამბავზე აგებულ მინიატურას ან მოთხრობას. ასე დაწერა მან „ძობანა“ — შესანიშნავი მინიატურა...

ერთხელაც იღებდა ფილმს „ბაკურხეველი ხევსური“ და უნდოდა მეც მეთამაშა რაღაც პატარა როლი... ავედი ჩოხში, სადაც გადაღება მიმდინარეობდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სცენარი სხვაგვარად წარიმართა და ამ როლის თამაშმაც აღარ მომიწია. სამაგიეროდ ერთი ძალიან საინტერესო და შინაარსიანი ღამე გავატარე გოდერძისთან და დედამისთან... მთელი ღამე ვლაპარაკობდით – რა უნდა დაეწერა, რას აპირებდა. სწორედ მაშინ მიამბო სიუჟეტი მოთხრობისა „სამანს იქით დასახლებულნი“... ქეიფი მეც ძალიან მიყვარს და გოდერძისაც უყვარდა, მაგრამ ის ღამე დედამისის მოხვეულ ხაჭოს ხინკალზე და ადუღებულ რძეზე გავატარეთ...

— გაქვთ რამე გამორჩეული სადღეგრძელო, რომელსაც ამბობთ ხოლმე, როგორ ქეიფის მოყვარული?

— არა, გამორჩეული სადღეგრძელო არ მაქვს, მაგრამ ძალიან მახალისებს ერთი სადღეგრძელო, რომელიც სტუდენტობისას მოვისმინე მოხევეებთან: „ჯერ ჩვენ გაგვიმარჯოს და მერე ყარტა-ყურტა ქართველებსო...“ ამას ვამბობ ხოლმე ხუმრობით მოხევურ დიალექტზე... სხვათა შორის, მოხევეებმა ყველაზე კარგად შეინარჩუნეს კილო. მიუხედავად იმისა, რომ იმ გზაზე იყვნენ, საიდანაც რუსეთს ვუკავშირდებოდით და ყველაზე მეტი ასიმილაცია მათ ემუქრებოდათ, დღესაც და მაშინაც ყველაზე კარგად თავის დიალექტზე მოხევე ლაპარაკობს. ხევსურმაც დაივიწყა საკუთარი კილო-კავი, თუშმაც და ქიზიყელმაც, მოხევემ — არა. ამას წინათ დიდუბის სადგურზე ახალთახალ ავტომანქანაში იჯდა მოხევე და მობილურს ჩასძახოდა: „დიდუბეჩი ვარ, დიდუბეჩი-ო“..

— თქვენ და უნივერსიტეტი...

— უნივერსიტეტი ჩემი სიცოცხლეა. მიხარია აქ მუშაობა, რადგან ახალგაზრდობასთან მაქვს საქმე. ეს არის ყველაზე მართალი და ალალი ძალა. მათ წინაშე დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, რადგან ხვალ ქვეყანა უნდა ჩაიბარონ, თუმცა ახალგაზრდობის სიყვარული კიდევ მეტად მავალდებულებს პატივი ვცე უფროს თაობას... ეს ორი ძალა ერთმანეთს ავსებს.

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ანა ბოლქვაძე**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ნოდარ ბელქანია, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11°
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62